



საქართველოს
 სახელმწიფო
 ბიბლიოთეკა

საღვთისმეტყველო
 კურსული



2

თბილისი
 1986

სრულიად საქართველოს საპატრიარქო

ს ა ღ ვ თ ი ს მ ე ტ რ ი ა

ქ რ ე ბ უ ლ ი

№ 2

ქრისტიანობისა და მონმარგბინის სრულიად
საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის

ი ლ ი ა II

ღვაწილი და ღვგვა-კურთხეგვა

თ ბ ი ლ ი ს ი

1986

ელ. ლსკი

„ღვთისმხილველობა“
ბიზანტიურ ღვთისმეტყველებაში*

ვიდრე გამოვიკვლევდეთ მიმართულებას, რომლითაც ბიზანტიელი მწერებელი ავითარებდნენ ღირსისესა და მაცსიმეს სულიერ მოძღვერებას, უნდა შევჩერდეთ ღვთის ხილვის ზოგიერთ ასპექტზე, რომელთაც ისინი არასპეციალურად, მაგრამ მაინც, ეხებებიან ღვთაბატოკური კამათის ღრს.

მე შემოვისაზღვრები მხოლოდ ერთი საინტერესო ადგილის მითითებით წმ. ანასტასი სინელთან, სინას მთის ერთ-ერთი მონასტრის წინამძღვართან, „ახალ მოსესთან“, როგორც მას უწოდებდნენ, რომელიც VII საუკუნის დასაწყისში გარდაიცვალა. თავის პოლემიკურ თხზულებაში მონოფიზიტების წინააღმდეგ, სათაურით „Ὁδὴς (წინამძღოლი) I, წმ. ანასტასი ბრალს სდებს თავის მოწინააღმდეგეებს

13904

* [ეს არის ბოლო ნაწილი იმ კურსისა, რომელიც ელ. ლსკიმ 1945-46 სასწავლო წელს Ecole des Hautes Etudes -ში საერთო სათაურით „ღვთისმხილველობა“. წიგნში Vision de Jean Dieu იგი შესულია VIII თავად სახელწოდებით Saint Damascène et la spiritualité byzantine, Neuchâtel, 1962, pp. 117-125].

პირველი ორი თავი იხილეთ: „სადღვთისმეტყველო კრებული“ 1986, № I.

I. თავი 8: PG, t. 89, col. 122.

იმაში, რომ ისინი ერთმანეთში ურევინ ღმერთის ბუნებასა (ფრწეს) და პროფანოვ -ს, ტერმინს, რომელიც ჩვეულებრივ აღნიშნავს პირ-
ონებას, სიტყვა-სიტყვით კი - „სახეს“. იმისათვის, რომ დაასა-
ბუთოს განსხვავება. ფრწეს-სა და პროფანოვ -ს შორის, წმ. ანას-
ტასი მოიხმობს საბარების ტექსტს მცირე ძალის ანგელოზთა შესახებ,
რომელნიც ზეციური შამის მხოლოდ სახეს (პროფანოვ -ს) ხედავენ.
ღმერთის ბუნების (ფრწეს) ხილვის შეუძლებლობა მისთვის იმდენად
ნათელი ვიწმარტებაა, რომ წმ. ანასტასი პროფანოვ-სა და ფრ-
წეს-ს შორის განსხვავების საჩვენებლად იფარგლება მხოლოდ სახის
ხილვის დამადასტურებელი ტექსტის მოყვანით. შემდეგ იგი ეყრდნობა
მოციქულ პავლეს სიტყვებს პირისპირ ხილვის შესახებ პირველ ეპის-
ტოლეში კორინთელთა მიმართ და შენიშნავს, რომ აქ ლაპარაკია პრო-
ფანოვ უბნ პროფანოვ-ის შესახებ და არა ფრწეს უბნ ფრწეს-
ზე. ბუნება კი არ ხედავს ბუნებას, არამედ პიროვნება - პიროვნ-
ებას.

იმავე იღვას გამოულობთ ხატის თაყვანისმცემელბთან ხატმებრ-
ძოდა წინააღმდეგ ბრძოლის პერიოდში. ხატმებრძოლთა კრებამ 754
წელს ხატის თაყვანისმცემელთა წინააღმდეგ მოიტანა იმპერატორ კონ-
სტანტინე V-ის მიერ შემდეგნაირად ფორმულირებული არგუმენტი: რას
წარმოადგენენ ქრისტეს ხატნი? თუ ამ კითხვას ასე უპასუხებენ:
ორ შეერბებულ ბუნებას, ეს იქნება მონოფიზიტური მწვიალებ-
ლობა, ღვთაებრივისა და კაცებრივის შერევა, ამასთან ეს შეცდომა
კიდევ უფრო მძიმდება იმიტ, რომ სურთ ღვთაება შემოსახლერონ გა-
მოსახლებით. მეორეს მხრივ, თუ უპასუხებენ, რომ ხატი წარმოსა-
ხავს ქრისტეს მხოლოდ კაცებრიობას, ეს იქნება გადაფარვანა ნეს-
ტორიანობაში, ანუ ორი განუყოველი ბუნების გაყოფა. წმ. თეოდორე
სტუდიტი ხატმებრძოლთა არგუმენტზე მარადმადიდებლურ პასუხს ს იძ-



ღვთა, როდესაც ახალი ბეჭდები თუ რაღაც მდგომარეობას მსგავსებდა და განსხვავებდა სახესა და პირველსახეს შორის. სახე არ ჰგავს პირველსახეს თავისი არსებით (*κατ' οὐσίαν*), მაგრამ ჰგავს მას თავისი იპოსტასით (*κατ' ὑπόστασιν*) და თავის სახელით (*κατ' ὄνομα*). სწორედ განსხვავებული სიტყვის იპოსტასი და არა მისი ღვთაებრივი ან ადამიანური ბუნება არის გამოსახული ქრისტეს ხატებში². ხატის თაყვანისცემის ამ დოგმატურ დასაბუთებას დიდი მნიშვნელობა აქვს ღვთისმშობილველობის მოძღვრებისათვის: ღაპარაკი ურთიერთობაზე ქრისტეს პიროვნებასთან, რომელშიც ორი ბუნების ენერჯიები - ქმნილი და უქმნილი ბუნებისა - ურთიერთს, შესვლადაცენ. ეს უკანასკნელი იღვთა განაეიოთარა - წმ. მიქაილეს, შემდგომ - წმ. იოანე დამასკელმა (+ 749) -

წმ. იოანე დამასკელი თავის თხზულებას - „მარტოდადილებური სარწმუნოების ზედმიწეინით გადმოცემა“ - იწყებს ღმერთის ბუნების შეუწყნობლობის კატეგორიული მტკიცებით. „არცა ადამიანებს, არცა ზეციურ ძალებს - ქერუბიმებსა და სერაფიმებს - არ ძალუძთ შეყნობა ღმერთისა სხვაგვარად, თუ არა გამოცხადებში. თავისი ბუნებით იგი ზეადმატებულია შემეცნებაზეც. მისი რაობის განსაზღვრა შესაძლებელია მხოლოდ აპოთატიკურად, უარყოფათა გზით, რასაც დაღებიოთად ვამბობთ ღმერთზე (*καταφασκῶς*) აღნიშნავს არა მის ბუნებას, არამედ მის ატრიბუტებს - იმას, რაც ბუნების „თანხლებია“ (*τὰ περὶ τῆς φύσεως*)³, ეს იგივეა, რაც გამოვლენანი,

2 *Antirhetica*, III: PG, t. 99, col. 405 B.

3 თავი IV: PG, t. 94, col. 800

დიონისეს ძარნი (*ΔΟΥΝΗΣΙΣ*), ან კაბალოკოდო ენერგები. ღამასკელი ენერგებზე უმთავრესად ქრისტოლოგიურ კონტექსტში ღამასკობს და, წმ. მაქსიმესთან ერთად, ღმერთკაცში განასხვავებს ღვთაებრივსა და ადამიანურ ენერგებს. ჩვენთვის განსაკუთრებით საინტერესოა ენერგიათა შესახებ მოძღვრების მიხედვება ფეროსცვალებებისადმი - ღვთაების ამ გამოვლენისადმი განსხვავებულ სიტყვაში. წმ. იოანე ღამასკელი ორჯერ ღამასკობს ამის შესახებ „მართლმადიდებლური სარწმუნოების ზღვიწვენით გადმოცემითი“⁴ და სიტყვაში ფეროსცვალების შესახებ⁵. „სხული (ქრისტესი) იმავე მემენტში იქნა განდიდებული, როგორც კი არყოფნიდან უფნაში გადმოვიდა, ამდენად დიდება ღვთაებისა სხულის დიდებადაც იწოდება. (..αὶ ἡ τῆς θεότητος δόξα καὶ δόξα τοῦ ὑψίστου ἀνεψεύστου)“⁶ ეს წმინდა სხული ღვთაებრივი დიდებისათვის არასოდეს უფოდა უბო⁶. ფეროსცვალებით ქრისტე არ ქველდა იმად, რაც მანამდე არ იყო, არამედ იგი თავის მოწაფეებს გამოცხადდა ისედაც, როგორც იყო, აუბიდა მათ ფადნი და ბრმათ მინიჭა მხედველობა“⁷.

თაბორის მთაზე მოწაფეებმა იგივე პიროვნულად განკაცებული სიტყვა იხილეს, მათ მხოლოდ უნარი მიიღეს მარადიულ დიდებაში ექვემდებარებინათ, ადექვამ ღვთაებრივი ბუნების ენერგია: „რამეთუ უფოდა ღვთაებრივდება განსხვავებულ სიტყვაში: ისიც, რაც სხულის ეცოდნის, და ისიც, რაც უსახრლო ღვთაებრიობისაა (εἰς ὑψίστου ὑψίστου)“⁷; მაგრამ ჩვენ გვგებნის, რამ სხვაა მიზეზი

4 იქვე, თავი XVIII: PG, t. 94, col. 1188 BC.
 5 PG, t. 96, col. 564-565.
 6 იქვე, col. 564.
 7 იქვე.



დღაეებისა და სხეულის ზიარი დიდებისა და სხვა - ენების გან-
 უდის საერთო უნარისა. დღაეება უფლობს (შექმნილზე) და აწიყებს
 მას თავისი დიდების ეღვარებას, თავის მხრივ კი (როგორც დღა-
 ებრივი ბუნება) უმონაწილო რება იმის ვნებაში, რაც ივნებაში
 ეს არის ქრისტოლოგიისადმი ენერჯიათა შესახებ მოძღვრების მიყუ-
 ნება: თუშეა დღაეებრივი ბუნება თავისთავად მიუჯგომელია, მისი
 ენერჯია, მისი მარადიული დიდება მსჭვანავს შექმნილ ბუნებას,
 ეწიყება მას. იბსტანსურ ერთიანობაში ქრისტეს კაცებრიობა მონა-
 წილობს დღაეებრივ დიდებაში ჟა საშუალებას გვაძლევს ვიხილო
 დმერთი.

წმ. იოანე დამასკელი ეკითხება თავს - რატომ უწოდებს წმ.
 ბასილი ეექტარისტოას ქრისტეს სისხლისა და ხორცის გამოსხატულებას
 (ἐκτέλεσις)? იგი მარ უწოდებს გამოსხატულებას - ამბობს წმ.
 იოანე დამასკელი; - მომავალი საუკუნის რეალობებთან მიმართე-
 ბაში. ეს იმას რადი ნიშნავს, თითქოს ეექტარისტია არ იყოს ჭეშ-
 შარტად ქრისტეს სისხლი ჟა ხორცი, არამედ იმანე მიუთითებს,
 რომ ახლა ჩვენ ვეზიარებით დღაეებას ეექტარისტული შესაწირავით,
 ხოლო შემდგომ ვეზიარებით მას სულიერად, მხოლოდ მჭვრეტელობით
 (διὰ μόνης τῆς θέας). დღაეებრივ დიდებასთან ზიარებით „მარ-
 თაღნი და ანგულოზნი მზეებრ გაბრწყინდებიან მარადიულ სიცოცხლე-
 ში ჩვენს უფად იესო ქრისტესთან, მუდამ მჭვრეტეული მისი და გან-
 მჭვრეტეული მის მიერ, იღებენ მისგან დაუსრულებელ სიხარულს და
 ადრდებენ მამასა და სულიწმიდასთან ერთად უკუნითი უკუნისამდე“?

მ იქვე, col. 565.

9 მარადმადიდ. სარწმუნოების ზუსტი გადმოცემა, IV, 27:
 PG, t. 94, col. 1228

პირისპირ ხიჯვა არის ურთიერთობა ქრისტეს პიროვნებასთან, რომელი მიმართება - ჩვენ ვხედავთ და ჩვენ გვხედავენ, ხედვა-ზიარება ღვთაებასთან იუდაებრივ ღიჯებაში, განანათლებს მართალ იმგვარად, რომ ისინი ვარსკვლავთა მსგავსად კაშკაშებენ.

წმ. იოანე დამასკელი, ბიზანტიელი სქოლასტიკოსი, რომელმაც შეაჯამა ქრისტოლოგიური ეპოქის, ანუ პირველი შვიდი საუკუნის, ეკლესიის მამათა მოძღვრება, ამ მოძღვრების ფიქსაციას ახდენდა მოგვიანო ბიზანტიური ღვთისმეტყველებისათვის ქრისტოლოგიური დოგმატიკის ასპექტით. მაგრამ ღმერთის ხილვის პრობლემას აქვს სხვა ასპექტიც, რომელიც წმ. იოანეს არ განუვიტარებია; ეს არის სუბიექტური მხარე, დაკავშირებული ადამიანის პიროვნებასთან, რომელიც ღმერთთან ურთიერთობაში შედის, ანუ სულიწმიდის შესახებ საკითხის დასმა დოგმატიკური მოძღვრების პლანში. როგორც ვნახეთ, წმ. კირილე ალექსანდრიელი ნათლად დაპარაკობს სულიწმიდის მოქმედების შესახებ ღმერთთან ურთიერთობაში. სწორედ სულიწმიდაში ვეზიარებით ჩვენ ღვთაებრივი ბუნების სიღამაზეს (Καὶ ἄλλοι); სწორედ მაშინ გვევლინება ჩვენ ღმრთეება სიტყვისაჲ ასე რომ, ვჰვრტობ რა განხორციელებულ ძეს ღვთისას, „ჩვენ უკვე აღარ ვიცით იგი სხეულით“, არამედ ვიცით მისი ღვთაებრივობის თანაარსებული ღიჯებით. და მაინც, სხეული უცხო როდი რჩება ამ განცდისაგან, რადგან ქრისტეს სხეულმა ღვთაებრივი ნათლით იცყალა ფერი.



ღმერთის ხილვის ეს პნევმატოლოგიური ასპექტი სულიერ ცხოვრებაში, უპირველეს ყოვლისა, გამოიხატება როგორც მადლის ცდისეული განცდა. ვერტობის შესახებ სხეულდასხვა ასკეტიკურ მოძღვრებათა ვანხილვისას ჩვენ შევძელით რთი ძირითადი გადახრის გამოვლენა



და კონსტატირება: ევაგრეს ინტელექტუალზმისა, რომელიც მისთვის დამახასიათებელი პლატონური სპირიტუალიზმით ორიგენესაგან მომდინარეობს, და მესალიელთა გრძნობადი ცდისა, მესალიელებისა, რომელთა წარმოდგენითაც ღმერთი მატერიალიზება, იღებს გრძნობად ფორმებს და ურთიერთობაში შედის ადამიანებთან. ამ ორ საპირისპირთ მიმართულებას შორის დგას გრძნობის მისტიკა, განცხადი, შეგრძნებადი მადლისა, - მოძღვრება, გადმოცემული „სულიერ სიტყვებში“, რომელიც წმ. მაკარიოსს მიეწერება და წმ. დიადოქოს ფოტიკელის მოძღვრებაში ჭეგრეტის შესახებ, რომელიც უფრო ფიზიკურია, ვიდრე მაკარიოსის სწავლება და რომლისთვისაც, ურიდება! რა ურველგვარ გრძნობად სახეებს, მაინც უცხოა ევაგრეს ინტელექტუალიზმი. ღიონისესთან და მაქსიმესთან ევაგრეს ინტელექტუალიზმი რადიკალურადაა დაძლეული ექსტაზურ აღმადგინებაში, ქმნადი ბუნების საზღვრებს იქით ვასცლაში, ღმერთთან შეერთებაში, რომელიც ზეადმატიველია ურველგვარ ცოდნაზე, ურველგვარ შემეცნებაზე, როგორც გრძნობიერის, ასევე ინტელექტუალური ჭეგრეტის საფეროებში. მოქმედებისა და ჭეგრეტის გზით ადამიანი, მაქსიმეს მოძღვრების თანახმად, „აღვდანილი სიყვარულის ფრთებით“, მატერიისა და ფორმის შეერთებაზე მადლა დგება. აღმადგინება რა ვადგთაებრივების მღვთმარეობამდე, იგი სძლევეს დაპირისპირებას გრძნობადსა და გონებით წყდომადს შორის, რომელიც აგრეთვე ქმნილ არსებათა სფეროს განეკუთვნება. სწორედ ამიტომ; რეალობა, რომელიც ჭეგრეტისათვის გადაიხსნება, არ მიეკუთვნება რა ქმნილ სამყაროს, ვერც შესაფერისად განისაზღვრება. ისაავე ასურმა VII საუკუნის შუა წლებში ამის შესახებ აქვა: „მომადგალი საუკუნის საიდუმლონი არ ღლობენ საკუთარ და პირდაპირ სახელდებებს. მათზე შეიძლება მხოლოდ გვექონდეს რამდენადმე მარტივი მცოდნეობა“... ის იმეორებს ღიონისეს სიტყვებს: „ეს არის

არყოფნა, აღმატებული ყოველგვარ ცოდნაზე¹⁰. მაქსიმეს შიგთქმული
სებულმა დიონისეს აზრმა შექმნა ღრმადი საფუძველი ისეთი მის-
ტიური მოძღვრებისათვის, რომელშიც აღამიანი ერთიანად, თავისი
არსების მთელი სისრულით, შედის ღმერთთან ურთიერთობაში. მე არ
ვამბობ, თიქოს ასეთი სულიერ. წარმოადგენები წმ. მაქსიმემდე არ
არსებობდა: უკვე დიადოხოს ფორტიკიელთან (V ს.) ჩვენ მივხვდებით
ღმრთ. ლოცვაში გულისა და გონების (VOMY) შეერთებაზე, რაც იხი-
ხაზმის სახელით ცნობილი სულიერი მიმართულების ძირითად განმას-
ხვავებელ თავისებურებას წარმოადგენს.

ისიხასტებს დასაცვლეთში არა აქვთ კარგი სახელი. ამის მიზე-
ზი ზოგიერთი თანამედროვე კრიტიკოსის არაკეთილსინდისიერებაში
უნდა ვეძიოთ, რომელთაც სულიერი ცხოვრების ისტორიის ერთ-ერთი
საკითხის შესწავლაში ჩაბრუნეს კონფესიონალური დავა. მე სიფრთხი-
ლის გამო არ მივხედე მათ მაგალითს და არ ვიწყებ ისიხასტების
აპოლოგიას, მივხედე რომ ამ საკითხს არა აქვს უშუალო დამოკი-
ლებულება ჩვენს კურსთან. მაგრამ აუცილებელია მოვხსნათ ე. წ.
ისიხასტა ლოცვასთან დაკავშირებული ზოგიერთი მეტისმეტად აღმა-
შფოთებელი გაუგებრობა:

1) ისიხასტის არის არა გონითი მიმდინარეობა, არამედ უბრა-
ლოდ მხოლოდ მონაზვნური ცხოვრების ერთ-ერთი ფორმა, რომელიც
მდლიანად ლოცვისადმი მიმართული.

2) საპირისპიროდ იმისა, რასაც ისიხასტებზე ვამბობენ, ლოც-
ვის ეს სახეობა მექანიკური პროცესი როდია, რომელსაც მიზნად
ექსტაზის გამოწვევა უკონდეს დასახული: ისიხასტი ბერები შორს
არიან ცდისაგან მიაღწიონ მისტიურ მდგომარეობებს, პირიქით,

10 Ed. Wensinck. II, p. 8-9

ისინი ისწრაფვიან სიფხიზლისაკენ (*Ἰσχυρὸς*), შინაგანი გულთა-
სმენისაკენ, გონებისა და გულის შეერთებისაკენ და გულზე გონების
კონტროლისაკენ, გონებით „გულის დაცვისაკენ“, „გულის დუმილისა-
კენ“ (*ἤσυχία*); ეს არის ვნებათაგან განთავისუფლების (*ἀνά-
στροφή*) ნამდვილი ქრისტიანული გამოხატულება, რომლის დროსაც
ქმედება და ჭეშრება არ გაიგება როგორც ცხოვრების ორი სხვადას-
ხვა წესი, არამედ, პირიქით, შეერწყმის ერთმანეთს, რათა განხორ-
ციელდეს „გონითი ქმედება“ - *πράξις νοερά*.

3) გონითი ქმედება დაკავშირებულია ღოცვის გარკვეულ ტექნი-
კასთან, რომლის მიზანიც არის სულსა და სხეულზე პატრონობა, ეს
სრულებითაც არ გულისხმობს, რომ ისიხასტების მეოთხე დაიყვანებო-
დეს გარდგნულ საშუალებებზე და მიმართული იყოს ღოცვის შექანიკუ-
რობის მისაღწევად.

4) მომავალი საუკუნის სიკეთეთა, ღვთაებრივ რეალობათა, უქ-
მნელი ნათლის ჭეშრება ისიხასტიისათვის არის არა მიზანი, არამედ
გამოხატულება ღმერთთან ურთიერთობისა, რომელსაც იგი განუწყვეტ-
ლად ეძიებს.

5) დაბოლოს, ისიხასტი შედარებით გვიანდელი გამოგონებაა რა-
ღია ბიზანტიელი ბერებისა: დამახასიათებელ ნიშნებს ღოცვისა, რა-
მელსაც ისიხასტთა ღოცვა ჰქვია, ჩვენ უკვე ვპოულობთ დიალოგისთან,
წმ. იოანე კლემენტისთანაც, პესიხიოს სინელთანაც. შინაგანი ღოც-
ვის ხელაფნების პირველი სისტემატური გადმოცემა მიეწერება წმინდა
სვიმეონ ახალ ღვთისმეტყველს. ეს ტრაქტატი, თუნდაც გვიანდელი რე-
დაქტირების კვალს ატარებდეს, მაინც უდავოდ ძველ ტრადიციას ას-
ახავს.

წმ. სვიმეონი, რომელსაც ბიზანტიურმა ტრადიციამ შეარქვა ახალი ღვთისმეტყველი („ახალი“ - წმ. გრიგოლ ნაზიანზელის შემდგომ, რომელიც იწოდებოდა „გრიგოლ ღვთისმეტყველად“), ცხოვრობდა X საუკუნის დასასრულსა და XI საუკუნის პირველ ნახევარში. მის გარდაცვალებას, საკმაო დამაჯერებლობითაც, მიაკუთვნებენ 1022 წელს. ძალზედ რთულია (ხოლო ამ მომენტში შეუძლებელიც) სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის ახსნა-განმარტება ღვთისმხილველობის შესახებ მისი მოძღვრების გამოვლენის მიზნით. მისი ახსნებები, გამოცემული სმირნაში 1886 წელს, სრულიად მიუწევდომელია; კრუმბახერმაც კი ვერ შეძლო მათი გაცნობა. 1790 წელს ვენეციაში გამოქვეყნებულმა ახალბერძნულმა თარგმანმა, შესრულებულმა დიონისიოს ზაგორეოსის მიერ, დაასწრო ორიგინალური ტექსტის გამოცემას, მაგრამ ეს ვენეციური გამოცემაც ძალზედ დიდ იშვიათობას წარმოადგენს, ხოლო მისგან შესრულებული რუსული თარგმანი ეპისკოპოს თეოდანე მელუბანოისა უტყუარ წყაროდ ვერ გამოდგება. მინმა [თავის პატროლოგიაში] გამოაქვეყნა წმ. სვიმეონის ახსნა-განმარტება ლათინური თარგმანი, შესრულებული პონტანის მიერ 1603 წელს - 33 სიტყვა და 40 პიმიანი, რომელთაც დაურთო წმ. სვიმეონის კიდევ ორი - შედარებით ნაკლები მნიშვნელობის ნაწარმოები ბერძნულ ენაზე. და ბოლოს, წმ. სვიმეონის რამდენიმე ორიგინალური ტექსტი მოიპოვება *Holl* -სა და *Hausheer* -თან¹¹. მაინც ვსადაღოთ გავცენოთ წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველის მოძღვრებას არა იმდენად ღვთისმხილველობაზე

¹¹ სერიაში „*Sources chrétiennes*“ (N51) 1957 წელს გამოქვეყნდა „საღვთისმეტყველო, გნოსტიკური და პრაქტიკული თავები“, რომელთა გამოცემაც მზადდება მისი უსამღვდელოესობის ეასილი კრივოშეინის მონაწილეობით, ღირსი მამის სვიმეონის კატეხიზმით.



ღირსი მამის გამონათქვამთა სიზუსტეზე დაყრდნობით, რამდენადაც საერთო სულითა და ხასიათის ვათვალისწინებით.

წმ. სვიმეონი აგვითარებს იმავე *წმ. სვიმეონი* -ს იდეას, რომელსაც ჩვენ ვხვდებით ღიონისესთან, მაქსიმესთან და იოანე დამასკელთან. მაგრამ, მაშინ როდესაც წმ. მაქსიმე და წმ. იოანე დამასკელი ღვთაებრივი ღირებების ხილვაზე ლაპარაკობენ უმთავრესად ქრისტოლოგიურ კონსტიტუციში, ქრისტეს გაღვთაებრივებულ ადამიანურობასთან მიმართებაში, რომლის გზითაც ჩვენ ვმონაწილეობთ ღვთაებრივ გასხივოსნებაში, წმ. სვიმეონი ამავდენ რეალობას უღვება პნევმატოლოგიური კუჭებით. ვისთვის, უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკი შეიძლება ჩვენს შიგნით სულიწმიდის გამყოფადებაზე, მადლის მდგომარეობაში სიცოცხლეზე, რაც შეუძლებელია დაფარული დარჩეს და უმადლეს სულიერ სანთებურებზე ნათლის სახით ვლინდება.

თანამედროვე კრიტიკოსები იმდენად არიან შეპყრობილნი მესალციანობის იდეით, რომ მზად არიან იგი დაინახონ ყველგან, სადაც კი ლაპარაკია ღვთაებრივი ნათლის ხილვაზე. მაგრამ მესალციანობაზე ჩვენი ცნობების მთავარი წყარო, ექვგარეში, წმ. იოანე დამასკელია, რომელიც ფერისცვალებასთან დაკავშირებით აგვითარებს მოძღვრებას ღვთაებრივი ღირებების პირისპირ ვერცხის შესახებ, რასაც ზოგიერთი კრიტიკოსი, ის რომ „ისიხასტი“ ავტორთან შეხვედროდა, უმწველად მიაკერებდა მესალციანობის იარღიყს, მაგრამ როდესაც წინასწარაღებულ თვალსაზრისს ემყარებიან, ადამიანები ღუმილოდ უფლიან გვერჯს მათთვის არახელსაყრელ ტექსტებს, ნაცვლად იმისა, რომ გამოიყენონ ისინი მესალციელთა წინააღმდეგ დამასკელის უარყოფათა დასაბუთებლად. და მაინც, მან სრულიად ნათლად აქვა: სწორედ არამართლმადიდებლურია მათი პრეტენზია სხეულბრივი შეგროძნებებით ღვთაებრივი არსების რეალური ხილვისათ.

თუ წმ. სვიმეონს დავუბრუნდებით, ჩვენ შეიძლება დავუსვამო კითხვა საკეთარ თავს, როგორია ღვთაებრივი ნათლის ამ ხილვის ბუნება, რაც მთელი მისი ნაშრომების ცენტრალურ თემას წარმოადგენს? არის კი ეს შეგრძნებითი ან ინტელექტუალური აღქმა? წმ. სვიმეონი ამბავზე არაფერს ამბობს, მაგრამ როცა ღაპატაკობს ღვთაებრივ უქმნელ ნათლის ჯანცდაზე, იგი იყენებს ანტიწმინდურ გამოწვევამებს. იგი ამტკიცებს, რომ ეს ნათელი ხილულია, და ამასთანავე მას უწოდებს „უხილავ ნათელს“: „ეს ჭეშმარიტად ღვთაებრივი ცეცხლია, უქმნელი და უხილავი, უნივთო და მარადიული, სრულიად უცვლელი და უსასრულო, ჩაუქრობელი და უკვდავი. მიუწვდომელი, ყოველივე ქმნილის მიღმა მდებარე“¹². ამ ნათელმა „მე განმაშორა ყოველთა ხილულთა და უხილავთა არსებათაგან, მაუწყებ მუხი ხილვა უქმნელი... მე შევფერხდი მას, ვინც უქმნელი, უხრწნელი, უსასრულო და უხილავია ყოველთაგანის“¹³.

როგორც დიონისესთან - აქაც, ეს არის გასვლა ქმნილთა საზღვრის იქით, ერთობა არცოლნაში. ამიტომაც - როგორც დიონისესა და მაქსიმესთან - მარადიული რეალობები, რომელთაც აქ ეზიარება ადამიანი, პირდაპირი მნიშვნელობით, არც გრძნობისმიერნი და არც გონებით წვედომადნი არ არიან, და სწორედ იმიტომ, რომ გონებასაც და გრძნობებსაც პლემატებიან, ადამიანი მათ აღიქვამს მთელი არსებით და არა რომელიმე ცალკე აღებული უნარით. „ღმერთი არის ნათელი, - ამბობს წმ. სვიმეონი, - და იგი თავის ნათებას აუწყებს მათ, ვინც შეერთებულია მასთან იმ ზომით, რა ზომითაც ვანწმენდილია. მაშინ მისი სულის ჩამქრალი ღამბარო, ანუ დაბნელო-

12 სვიმონის გამოცემა 1886 წლისა, II, 1, 1.

13 იქვე.



ბული ვინება, იაზრებს, რომ კვლავ აენთო, რადგანაც იგი დედაებ-
რივმა ცეცხლმა ადაგზინო. საოცრებაა! ადამიანი ერწყმის ღმერთს
სულიერად და ხორციელად, რადგანაც მისი სულქმა განუყოფელია სუ-
ლისაგან, ხოლო სხეული - სულქმისაგან. ღმერთი უერთდება ადამიანის
მთელს არსებას¹⁴. ჩვენ აქ შორსა ვართ ორიგენესა და ევაგრეს ინ-
ტელექტუალისტური მისტიკისაგან - გონების წედლომაში გრძნობადის
ამ გაქცევისაგან, მაგრამ ჩვენ ასევე შორს ვართ შესაღიეღა შე-
გრძნობითი წარმოდგენებისაგან. აღექსანდრიული სკოლის წარმომად-
გენლები გრძნობადის სპირიტუალიზაციას ახდენდნენ, ხოლო შესაღი-
ელნი - სულიერის მატერიალიზაციას. წმ. სვიმეონთან დედაებრივი
ნათელი მთელ ადამიანს, ადამიანის პიროვნებას ეფლინება როგორც
შეუქმნელი რეალობა, აღმატებული მატერიალუც და სულზეც, და რუ ამ-
აში დავინახავთ სულიერ გაქცევას, ეს იქნება გაქცევა არა გრძნო-
ბადისაგან, არამედ ქმნილი ყოფიერების საზღვრებიდან სრული გას-
ვლა დედაებრიობასთან შესაერთებლად. მეორეს მხრივ, თუ ამ ცდა-
ში სურთ დავინახონ დედაებრივის მატერიალიზაცია, უფრო სწორი იქ-
ნებოდა გველაპარაკა ქმნილი ბუნების, სხეულისა და სულის გარდა-
სახვაზე დედაებრივი სიკეთით, რომელიც ეფლინება უქმნელი ნათლის
სახით და რომელსაც ადამიანი ეზიარება მთელი თავისი არსებით.
როგორც ვართ, ისე მეორე შემთხვევაში წმ. სვიმეონთან ნათელი გუ-
ლისხმობს ღმერთთან შეხვედრას - განურჩევლად იმისა ადამიანი
მაღლდება ღმერთამდე, თუ ღმერთი ჩამოდის ადამიანამდე.

„მე ხშირად მიხილავს ნათელი, - ამბობს წმ. სვიმეონი, -
ზოგჯერ ის მეცხადებოდა ჩემში, როდესაც ჩემი სული ფლობდა სი-
შვილესა და სიჩუმეს, ზოგჯერ მეცხადებოდა მიღმა სიშორეში, ან

14 სიტყვა 25: ათონის პანტიელეიმონის მონასტრის გამოცემა,
1, გვ. 228.

სულაც იმადღვოდა და როცა იმადღვოდა, უზომო მწუხარებას მკვრივად, რადგანაც მაშინ ვფიქრობდი, რომ მას ნამდვილად სრულებით აღარ სურს გამოჩენა. მაგრამ როდესაც ვიწყებდი ტირილს და ცრემლებს ღვრას, განცემოხრებოდი ყოველივეს მორჩილებითა და სიმდაბლით, ის კვლავ გამორჩეულია როგორც მზე, რომელიც ფანტავს ღრუბელთა სიმკვრივეს და ნელ-ნელა ჩნდება სიხარულის დამბადებელი, მოედგარე სფეროსმაგვარი. ასე, საბოლოოდ, შენ, გამოუთქმელმა, უბილავმა, შეუხებამა, მარად მსრბოლმა, ყველგან, ყოველთვის და ყველგან-ში მყოფმა და ყოველივეს ამსრულებელმა, ხილულმა და უბილავმა ყოველ სააქს... დღისით და ღამით, გაშორებულმა თუ მოახლოებულმა, ფარულ ქმნილმა თუ უცხრად კვლავ მოვლენილმა, თანდათანობით განდევნე ჩემში არსებული სიბნელე, გაფანტე ჩემი შემბურველი ღრუბელი, განწმიდე ჩემი გონების თვალთა ჩინი, გახსენე ჩემი სულიერი სმენა, უკრძნობელობის საფარი შემოაყრიე ჩემს გულს, ამასთანავე მიადინე ხორციელი სიტკბოებანი და განმარიდე ყოველგვარ ვნებათაგან. მაქციე რა ასეთად, შენ ყოველგვარ ღრუბელთაგან განარიდე ჩემი ცა, ანუ განწმიდელი სული, რომელშიც უჩინრად მოსული, არ ვიცი როგორ და საიდან, შენ, ყველგან მყოფი, მოულოდნელად მკვიდრდები მასში და მეცხადები როგორც სხვა მზე. ო, გამოუთქმელო მოწყალეობავ!“¹⁵.

„გმადლობ შენ, ღვთაებრივო არსებავე, ყოველ არსებაზე მაღლა მყოფო, რომ ერთსულ იქმენე ჩემთან, შეურყენელად, უცვალებელად... გმადლობ შენ, რომ განმიცხადე თავი შენი, ვითარცა დღე დაუღამებელი, ვითარცა მზე ჩაუხსლელი, ო, შენ, რომელსაც არა გვაქვს


15 სიტყვა 90, იქვე, II, გვ. 487-488. ფრანგ. თარგ. *Vie spirituelle*, #28 (1931), გვ. 76-77.



აფგილი მისაფარი; რამეთუ არასდროს იმალევი, არ გძულს არავინ; პირიქით, ეს ჩვენი გემადლებით, არ გვსურს შენთან მოახლოება" 16.

ღვთაებრივი ნათლის განცდაში წმ. სვიმეონს არაფერი აქვს საერთო პიროვნულობისაგან დაცლილ ექსტაზურ მდგომარეობასთან, რომლის დროსაც ადამიანის გონება იძირება რაღაც უპიროვნო ღვთაების ჭერტაში. პირიქით - სწორედ პიროვნულ ღმერთთან ურთიერთობა ხდის ნათლის ამ განცდას ადამიანური ენით გამოთქმვლს. ხოლო ის, რის გამომხატვასაც წმ. სვიმეონი ცდილობს ანტინომური ტერმინებით, გაბრკვეულ წარმოდგენას გვიქმნის ამ ურთიერთობაზე ღმერთთან, რომელიც უქმნელ ნათელში მკვიდრობს: „როდესაც სრულყოფილ სადნობასთან მივდივართ - ამბობს ის - მაშინ იგი უკვე აღარ მოდის უწინდებურად ხატი-უქონელი და უჩინარი... არამედ რაღაც სახით გვეცხადება, სწორედ ღმერთის სახით; რადგანაც ღმერთი არ ეღიანება რაიმე მოხაზულობაში ან ანაბეჭდში, არამედ მოდის როგორც განუფენილი, მიუწვედომელი და გამოუთქმელი, გარსისაგან უწერელი ნათელი საბჭექმნილი. ამასზე მეტის თქმა არ ძალმიძს. მაგრამ იგი თავს აცხადებს ნათლად, უმაღ გამოიცინობა. უხილავი წმინდად იხილვება, უხილავად ისმენს და ღაბარაკობს, ღმერთი არსით საუბრობს მათთან, რომელნიც მისგან სიკეთით არიან დაბადებულნი ღმერთთა მიერ, საუბრობენ პირისპირ, უყვარს შეიღნი თვისნი, ცითარცა მამას, და მიაცებენ უსაზღვრო სიყვარულს და არის მათთვის საოცნებო სახილველი და შემზარავი სასმენელი, რომელზეც გერაფრეს ამბობენ სადარსს, მაგრამ დუმილიც არ შეუძლიათ... (სულიწმიდა) ყველაფერია მათში - როგორც გვესმის და როგორც წმინდა წიგნებშია თქმული ზეციურ

16 შესავალი პივნებისათვის ღვთაებრივი სიყვარულის შესახებ; PG, t. 120. c. 509.



სასუფიველები - მარგალიტი, მღვდლის მარცხალი, საფუარი, წყალი
და ცეცხლი, პური, ცხოვრების სასმელი - სარეცელი, საქონელი
დარბაზი, სიძე, მეგობარი, ძმა და მამა. და რა ვიქვამ ბევრი გა-
მოუქმებლები? რამეთუ, როგორ გამოვხატო სიტყვით, ვით განზომება
ენით, რაც თვალს არ უნახავს, ყურს არ სმენია, რასაც ადამიანის
გულში არ გაუფლია?.. თუმც მთელივევით ესე ყოველი და შინაგანად
გვაქვს ღვთისაგან ბოძებული, მაგრამ არც გონებით ძალგვიძს მისი
განზომება და არც სიტყვით განსაზღვრა“¹⁷.

ესაა მომავალი საუკუნეების რეალობები, რომელთაც ჩვენ ნა-
წილობრივ ამსოფლად ვწვდებით - თავდაპირველად ექსტაზში, ხოლო
სრულყოფის უფრო მაღალ საფეხურებზე - ღვთაებასთან მუდმივ ურთი-
ერობაში. რადგანაც ექსტაზი და ალტაცებაში მოხვლა შეეფერება
მხოლოდ გამოუყვედელთ, რომელთა ბუნებაც ჯერ მიუჭრეველია უქმნელის
განცდას¹⁸. მიუხედავად ამისა ეს ახალი რეალობა თან ახლავს ყვე-
ლა ქრისტიანს, რადგანაც ის სხვა არაფერია, თუ არა ნათლობის მაღ-
ლი. წმ. სვიმეონი ამას ხშირად იმეორებს. ის განსაკუთრებულად უს-
ვამს ხაზს საიდუმლოთა მნიშვნელობას, რაც არ იყო მისგან მოსა-
ლოდნელი. მაგრამ საიდუმლო გზით მაღლი არა მხოლოდ უნდა მიიღო,
არამედ მოიპოვო იგი მრავალი ურვიით და რუღუნებით. ის უნდა გააქ-
ტიურდეს, აისახოს ცხოვრებაში, და შეესაბამისად, გამოვლინდეს და
ხილულ იქნეს ჩვენს სულიერ ყოფიერებაში. „თუ წყაროს თვალი ჩქვეფს
მასინ ამ წყაროდან გამომავალი მდინარე ხილვადია ხედვის მქონე-
თათვის. მაგრამ თუ ესეც მოქმედია ჩვენში და მაინც ვერ ვგრძნობთ
და ვერ აღვიქვამთ მას საკუთარ თავში, ცხადია, სრულებით ვერ ვი-

17 სიტყვა 90. ციტ. ათანის შთის გამოცემიდან, წ. 11,
გვ. 488-489.

18 სიტყვა 45. სტეფ, I, გვ. 414-416.



ურძნობით ვერც საუკუნო ცხოვრებას, რაც მისი შედეგია, ვერ დაე-
 ნახავთ ვერც სულიწმიდის ნათელს, არამედ ვიქნებით ისევ მკვდარ-
 ნი, ურძნობელნი და ბრმანი მომავალ ცხოვრებაში, როგორც აწმ-
 უში ვარს¹⁹. ქრისტიანთა კრიტიკიანად ვერ ჩაიხველება ის, ვისაც
 არა აქვს ეს ცდისეული განცდა ნათლისა, ეს ცნობიერი კავშირი
 ღმერთთან: „ჩვენ იმავით კი არ ვლაპარაკობთ, რაც არ ვიცით, არა-
 მედ რაც ვიცით, იმას ვეზიარებებით. ნათელი ბნელშივე ბრწყინავს,
 დღისით და ღამით, ჩვენს გულბში და ჩვენს გონებაში, მწუხრავ
 გვატყდა კოფრებს, მუდმივ და უცვლელად, დაუფარავად - მებრძოლებს,
 მოქმედებს, ცოცხლობს და ცხოველყოფას და სინათლედ აქცევს მათ,
 ვისაც ანათებს. ღმერთი არს ნათელი და, ყოველი ღირსქმნილი მის
 ხილვად, ხედავს მას როგორც ნათელს, და ვინც მიიღო ის, მიიღო
 როგორც ნათელი, რამეთუ მისი დიდების შარავანდედი წინ უძღვის
 სახეს მისასა და ნათლის გარეშე მას არ შეუძლია გამოუღინდეს. ვი-
 საც არ უბილავს ნათელი მისი, არ უბილავს არც თავად იგი, რამეთუ
 ღმერთი არს ნათელი. და ვისაც არ მიუღია ნათელი მისი, არ მიუღია
 უფრო არც მადლი, რადგან მიმღებელნი მადლისა იღებენ ნათელსაც ღვთი-
 სას და ღმერთსაც... შავრამ ისინი, ვინც უფრო არ გამხდარან ღმრთნი
 შვილნი იგი ანდა იგემონ იგი, უფრო კიდევ იმყოფებიან კანონის უღ-
 ელქვეშ, უფრო კიდევ დგანან წინა კართან და ხატთა ქვეშ. უფრო კიდევ
 მონათა მცოდნი არიან. თუნდ იყვნენ მეფენი, თუნდ პატრიარქნი, თუნდ
 მღვდელმთავარნი თუ მღვდელნი, თუნდ მეთაურნი თუ მათი ქვემდგომ-
 ნი, სავრონი თუ ბერნი, ყოველნი ისევ ბნელში სხედან, ბნელსა
 შინა მიმოსვლიან, და არა სურთ მონანიება ვითარცა უფრო არს. მონა-
 ნიება არს კარობჭე, რომელსაც კაცი სიბნელიდან ნათელში შეუყავს.

19 სიტყვა 57:4. იქვე, II, გვ. 47-48.

ცინც ჯერ ნათელში არ შესულა, სიკეთენაკლულ უნდა იყოს და ვერ
გადულახავს მონანიების კარი ცითარ ეგების (შენიშნავთ: „მონა-
ნიების კარს“ უჭირავს ორიგენეს „გნოზისის კარის“ ადგილი) ...
შემყოფე კი არის მონა ცოდვისა და მოძულე ნათლის, რათა არ გამ-
ეღვენდეს საქმენი მისნი“²⁰.

ნათელში ჩვენ შევიცნობთ ღმერთს, შევიცნობთ საკუთარ თავ-
საც და განვსჯით მას. ევაგრეს მოძღვრების მიხედვით, ადამიან-
რი გონება ღვთის განჭვრეტით თავის თავს წარმოუდგება ღვთისმსგავს
არსებად; წმ. სვიმეონის თანახმად, ღვთაებრივ ნათელში, უპირველეს
ყოფლისა, მელანდებია ჩვენი არამსგავსება ღვთისადმი. „ამ ეამ,
ამ ცხოვრებაში, შევდივართ რა ნათელში მონანიების გზით, საკუთარ
რი სურვილით და თვითნებურად, თუმცე განკითხულნი და მსჯადრდებულ-
ნი, ღვთის სიკეთითა და კაცთმოყვარეობით განვიკითხებით და გან-
ვისაჯებით საიდუმლოდ და ფარულად, სულს სიღრმეში, ცოდვითა ჩვენ-
თა მიტეგებისა და განწმენდისათვის. და მხოლოდ ღმერთმა, ერთად-
ერთმა, ჩვენთან ერთად იცის და ხედავს საიდუმლოთა გულთა ჩვენთა-
და ცინც აქ, ამ ცხოვრებაში, ამ სამსჯავროთი არის განსჯილი, სხვა
ერაგითარი სატანჯველი ვერ შეაშინებს, ხოლო მაშინ, უფლის მეროდ
მოსვლისას, რომელთაც არ სურთ იწმუნონ ნათელი და განისაჯნონ და
განკითხულ იქნენ ნათლისაგან, რომელთაც ძალად იფი, განუცხადებიათ
ნათელი აწ დაფარული, და აშკარას ვახდის მათ საიდუმლოს და ჩვენ
ყველანი, მალულმყოფნი და არ მსურველნი დაფარული გულთა ზრახვე-
ბის მონანიებით გაცხადებისა, ნათლის ქმედებით შევიქნებით ფარ-
დაახდილნი უფლის წინაშე და სხვა ყოველთა - რანიც ახლა ვართ“²¹.

20 სიტყვა 79, 2. იქვე, II, გვ. 318-319.

21 იქვე.



ამრიგად, ნათელი არის სამსჯავრო, იგი აგრეთვე არის პარუსია [მეორედ მოსვლა] მითთვის, ეინც ღმერთთან კავშირით ცხოვრობს რამეთუ უქმნელი ნათლის ცდისეული წვდომა სცილდება ქმნილი არსების საზღვარს, სცილდება სიერკისა და ღრის საზღვრებს „მერვე ღლის საიდუმლოსკენ“. წმ. სვიმეონთან ასე უკავშირდება მისტიკური ჭვრეტა ესქატოლოგიურ ხილვას.

მარტაც, „მათვის, ეინც ნათლისა და მომავალი ღლის შეიღებად იქცნენ და ყოველთვის, ვითარცა ღლისიძე, ეიღონენ კეთილსახიერად, არასოდეს დადგება ღვე უფლისა, რადგანაც ისინი ყოველთვის მასთან და მასში იმყოფებიან. რამეთუ ღვე ღვთისა მოვალს არა მათთვის, რომელნიც უკვე გაბრწყინებულან უფლის ნათელით, არამედ უეტრად გამოვლინდება ვნებების წყველიაღში შთავრდომილთათვის, რომელნიც ამა სოფელში ცხოვრობენ ამასოფლისადა და უეტრად სიკეთენი ამა სოფლისანი; მათ მოეცინებათ იგი უეტრად, მოულოდნელად და იქნება იგი საზარელი მათთვის ვითარცა ცეცხლი გაუძღები და მოუთმენელი“²².

გაღვთაებრივებულ მდგომარეობაში, რომელიც დადგება მომავალ საუკუნეში, სულიწმიდა როგორც ნათელი გადმოვა ყოველივეში, მაგრამ იხილავენ პიროვნულ ქრისტეს. „შენი ყოველაღწმიდა სულის მადლით, - ამბობს სვიმეონი, - განათლებიან მარტალნი, როგორც ვარსკვლავნი, და მათ შორის გაბრწყინდები შენ, ო, მიუწოდოშელო მზეც! მაშინ ისინიც შეიმოსებიან ნათლით თავიანთი ღწმენისა და საქმის შესაბამისად, თავიანთი იმედებისა და სიყვარულის წილ, შენეული სულით განწმენდისა და განათების წილ, ო, უსასრულო სიმშვიდის ღმერთო მხოლოო!“²³ „მაშინ ყოველთათვის ხილულ იქნება

22 სიტყვა 57,2. იქვე, 11, გვ. 37.
 23 სიტყვა 27, ჭრანგ თარგ. *Vie spirituelle*, №27 (1931), p. 309.

ქრისტე და თავად ქრისტეც დაინახაეს წმინდანთა უფვაღავ მირთავებებს, არ მიაშორებს თვალს არც ერთს და თითოეულს მოეჩვენება, რომ მას უყურებს, საუბრობს მასთან და ესაღმეზა, და არავერს იმწყურებებს რომ უფაღავ არად ჩაავღო იგი და არ მიშხედა. თავად უცვლელს სხვადასხვა სახით მოეფლინება ერთს და მეორეს და თითოეულს მიაგებს იმდენს, რაც ეკუთვნის და იმსახურებს“²⁴.

ჩვენ ვიტყვოდით, რომ ღმერთის ამ ხილვას, რაც არ არის არსებითი, აქვს ეგზისტენციალური შიშართების ხახიათი - თუკი დასაშვებია ანამეფროფე ტერმინის მისადაგება XI საუკუნის სულიერი ცხოვრებისათვის. მართლაც, ეს არის არა მხოლოდ ქმნილ და უქმნილ ბუნებათა ურთიერთკავშირი, არამედ თითოეული ადამიანის პიროვნული გახსნა და მიღება ღვთის მიერ, რომელიც მათთან მიღის ცალ-ცალკე. პავლე მოციქულის სიტყვები: „მე შევიცნობ მას და ვარ შეცნობილ მისგან“ ცხოველ ღმერთთან პირადი ურთიერთობის აზრს იძენს, რომელიც მართლ უნივერსალური ბუნება კი არ არის, არამედ თითოეულის ღმერთიცაა. შემდგომ ჩვენ ვნახავთ, რომ ღვთისმხილველობის ამ მოღვრებამ თავისი ღვამატური ასახვა XIV საუკუნის დოქტრინალურ კონფლიქტში პოვა.

24 სიტყვა 52, I. ანონის მონასტრის გამოც. ნაწ. I, გვ. 47

ბაღამიტური. სინთეზი*

საღვთისმეტყველო აზრის ისტორიაში არსებობს პერიოდები, ერთგვარი რჯულისმოძღვრებითი ციკლები, როდესაც ქრისტიანულ გადმოცემათა რომელიღაც ერთი ასპექტი, სხვებთან შედარებით, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, როდესაც მოძღვრების ყველა თემა განიხილება გარკვეულწილად ერთ რომელიმე საკითხთან მიმართებაში და დოგმატური აზროვნებისათვის ცენტრალურ პრობლემად იქცევა. ის წმინდა პნევმატოლოგიური ასპექტი, რომელიც მეტბრე საუკუნის ნახევრიდან მოყოლებული უფრო და უფრო დამახასიათებელი ხდება ბიზანტიური ღვთისმეტყველებისთვის, ხატმებრძოლობაზე მისი საბოლოო გამარჯვების შემდეგ სრულიად შეუმჩნეველი დარჩა, იმ ეპოქის შემდგომ, რომელიც ასრულებს მთელს რჯულისმოძღვრებით ციკლს და რომელსაც ქრისტოლოგიური შეიძლება ვუწოდოთ. სულიწმიდასთან და სიკეთესთან დაკავშირებული საკითხები - აი ბირთვი რომლის გარშემოც იკვება ახლა საღვთისმეტყველო აზრი, უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე განუყოფელი სულიერი ცხოვრებისაგან. ჩვენ ვნახეთ, წმ. მაქსიმე აღმსარებელმა და წმ. იოანე დამასკელმა, დიონისეს კვალდა-

* [დასკვნითი IX თავი წიგნიდან *Vision de Dieu. Neuchâtel*, 1962, გვ. 127-140. ციტატების უმრავლესობა წმ. გრიგორიოს ბაღამასის თხზულებებიდან აქ მოტანილია იმ თარგმანებით, რომლებსაც ვვაწიფის ვამბა ვასილი კრივოშეინი თავის სტატიაში „წმ. გრიგორიოს ბაღამასის ასკეტიკური და საღვთისმეტყველო მოძღვრება“ - *Seminarium Kondakovianum*, VIII, პრაღა, 1936, გვ. 99-154].

კვად როგორ განაცხადებდეს, ქრისტოლოგიის ჩარჩოებში მოქცევი-
განდმართობის ღვთისმეტყველება, დაკავშირებული მოძღვრებასთან
ენერჯივებზე და წინა თავში გამოვიკვლიეთ, თუ მოძღვრება გან-
დმართობელ ერთიანობაზე თავის პნევმატოლოგიურ ასპექტში რო-
გორ გამოვლინდა წმ. სვიმეონ ახალ ღვთისმეტყველთან. წმ. სვიმეონ
მართლაც „ახალი ღვთისმეტყველია“. ის ყველაზე ნათელი გამოხატ-
ველია ბიზანტიურ ღვთისგააზრებაში იმ პნევმატოლოგიური მიმდინა-
რეობისა, რომელიც, თითქოსდა შებურვილია ჩვენში დასაბუთებული
სულიწმიდის საიდუმლოებით, კი არ ეძიებს თავის გარეგნულ გამო-
სახებას ქრისტოლოგიური ღვთისმეტყველების სახით, არამედ ირინდ-
ბა ღუმილში, ისიხიაში. მხოლოდ რაციონალისტური ღვთისმეტყველე-
ბის ზოგიერთი წარმომადგენლის უხეშმა ჩარევამ, მხოლოდ რაკეტული,
ჰერტიკით ყოფის პროფანაციამ აიძულა მონასტრებისა და საგანგებო
სულიერი ცხოვრება გამოსულიყო თავისი განმარტობიდან, აიძულა
იგი, რჯულისმოძღვრებასთან დაკავშირებული კონფლიქტის წინაშე
მდგომი, ეძებნა საკუთარი დოგმატური გამოსახვა მისტიკური ცდის
ღვთისმეტყველებაში.

1339 წელს კალაბრიელი ბერი გარლამი თავს ესხმის ათონელ
ისიხასტებს. ის არა მხოლოდ დასციინის მათს ასკეტურ პრაქტიკას,
არამედ იმაზე დაჟინობით, რომ თითქოს ზოგიერთს მიემადლა უქმნი-
ლი ნათლის ცდისეული ხილვა, რომლის დროსაც ღმერთი განჰცრებილი
ლოცვის მოქმედებათვის საცნაურს ხდის თავის თავს - ჩვენ ვნახეთ,
რომ ეს მოძღვრება ადრე წმ. სვიმეონ ახალმა ღვთისმეტყველმა ჩა-
მოაყალიბა, - გარლამი მათ ბრალს სდებს მესაღიანელობაში, ღმერთის
მატერიალურ მხილველობაში. აქ კამათი ეხება ნათლის ბუნებას, რ-
მელიცაე ქრისტე მოეგვინა თავის მოწოდებებს თაბორის მთაზე. გარ-
ლამი ამტკიცებს, რომ ეს იყო ქმნილი ფენომენი, ასე ვთქვათ,



ატმოსფერული რიგის ფენომენი. 1341 წელს კონსტანტინოპოლში მო-
 იწვიეს საეკლესიო კრება, რომელზეც ეს საკითხი წმინდა დოკმატურ-
 კლანში დაისვა. ლაბარაკია ჩვენი განდმრთობი საკეთხს
 ბუნებაზე. აქ შემოდის ყველა საკითხი, რომელიც კი ღმერთთან ჩვე-
 ნი ნამდვილი ურთიერთობის შესაძლებლობას ეხება: საკითხი ჩვენი
 რეალური და არა მხოლოდ „მეტაფორული“ განდმრთობისა, ჩვენი ღვთის-
 შემეტყნებისა, ჩვენი მისტიკური ცდის შესაძლებლობისა, დაბოლოს,
 ღვთისმხილველობისა.

20 წლის განმავლობაში 1340 წლიდან 1360 წლამდე მოწვეულ
 იქნა რამდენიმე კრება, რომელთა დოკმატური მნიშვნელობა და სწა-
 ვლებითი ავტორიტეტი მთელი მართლმადიდებლური ეკლესიისათვის არ-
 აფრთხი ჩამოუვარდება მსოფლიო კრებათა ავტორიტეტსა და მნიშვნელო-
 ბას. ამ კრებათა ხმის კამომხატველი და მათი დოკმატური კონტრ-
 ვერსიების სულისჩამდგმელი იყო წმ. გრიგორიოს პალამასი. იგი და-
 იბადა 1296 წელს, მიიღო სერხოზული საღვთისმეტყველო და ფილოსო-
 ფორი განათლება, რის შემდეგაც ბერად აღიკვეცა ათონზე. 1339
 წელს იგი თავისი სურვილის საწინააღმდეგოდ ტოვებს ჰერეტის ცხოვ-
 რებას, რადგანაც იძულებულია მონაწილეობა მიიღოს დოკმატურ ბრძო-
 ლაში და 1347 წელს ხდება თესალონიკის არქიეპისკოპოსი; 1359 წელს
 გარდაიცვალა. წმ. გრიგორიოს პალამასს, რომელიც კანონიკური ხდე-
 ბა მალე სიკვდილის შემდეგ, მართლმადიდებლური ეკლესია განსაკუთ-
 რებულად აფასებს: დიდი მარხვის მეორე კვირა მის ხსოვნას ეძღე-
 ნება.

წმ. გრიგორიოს პალამასის ღვთისმეტყველება დასავლეთში უერ
 კიდევ არ არის უეროვნად შეფასებული^I. გაუერი, გიშარდერი და ბუა,

I წმ. გრიგორიოს პალამასის „აღმოჩენა“ და უფრო სწორი შე-
 ფასება ახლა მამა იოანე მეიენდლორდის შრომათა წყა ჯაბით ხარციელ-

რომლებიც ეხებოდნენ XIV საუკუნის დოქტრინალურ კონფლიქტს, „პა-
ლამიზმში“, როგორც რეკლამებრივ უწოდებენ მის ღვთისმეტყველებას,
ხედავდნენ საშიშ და ერტიკულ ნოვატორობას, ბიზანტიის საღვთისა-
მეტყველო ტრადიციისაგან მოწყვეტას, ამავე დროს, ისინი ცდილ-
ბენ პალამასის მოწინააღმდეგეები წარმოადგინონ მთელი აღმოსავ-
ლეთისა და დასავლეთისათვის საერთო გამოსცემათა დამცველებად.
არსებითად კი, თუ შევეცდებით დავახასიათოთ მოწინააღმდეგეთა
მისტოკური ღვთისმეტყველება იმის მიხედვით, თუ რა ადგილი ეკავათ
მათ ბიზანტიის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში, დავინახავთ,
რომ ისინი ეკუთვნიან ადამიანთა იმ კატეგორიას, რომელთაც ძალ-
ზედ მცირედ აწუხებდათ საეკლესიო დოგმატიკის დაცვა. ესენი იყ-
ვნენ, უმეტესად, რიტორიკის მასწავლებლები პუბლიცისტთა იმ წრე-
ებშიდან, რომელთა რიცხვიც საკმაოდ იყო იმდროინდელ ბიზანტიაში.
ისინი ყველანი გატაცებულნი იყვნენ ანტიკური ფილოსოფიით და ზო-
ჯერ ღვთისმეტყველების პრაქტიკულ სწავლებლებსაც, არა იმდენად
ჰერმეტიკების ძიებისათვის, რამდენადაც მეცნიერული ცნობისმოყ-
ვარობით. უკვე XI საუკუნეში ლოგიკოსი მიქელ ფსელსი შეეცადა
შეექმნა თავისებური სკოლასტიკა, მაგრამ მისი მოწაფე იოანე იტა-
ლოსი გაასამარდა ეკლესიამ; რიტორები კვლავ დაუბრუნდნენ ფილ-
სოფიისა და საერთო მეცნიერებათა შესწავლას და მებრძოლად
აღიარდნად საღვთისმეტყველო სფეროში შეჭრილიყვნენ. ბიზანტიის
ეს ინტელექტუალური წრე შეიძლება შეფუძარდოს დასავლეთში ხელოვნ-
ებების ფაკულტეტის მასწავლებელთა წრეს, რომელიც წარმოადგენილია

ლებად: *Introduction à l'étude de Palamas, Paris, 1959*, და
კრიკორიოს პალამასის კრიტიკული გამოცემებით, რომელსაც ახლავს
შესავალი, ფრანგული თარგმანი და შენიშვნები: *Défense de saint
Néssychastes, Louvain, 1959, 2 vol.*]



ისევე ფილოსოფოსებით, როგორებიც არიან აბელიარი, სიგერ ბრახან-ტიელი და ვილჰელმ ოხამელი. მაგრამ ბიზანტიაში, სქოლასტიკური ფილოსოფიის უკოდინარობის გამო, მანძილი, რომელიც ამორება ფილოსოფოსებს ღვთისმეტყველებიდან, გაცილებით დიდი იყო, ვიდრე დასავლეთში. წმინდა თეოფილექტე, მავალითად, ავეროაროსს ქრისტიანული ფილოსოფიის სახელით ებრძოდა. ბიზანტიაში კი სწორედ ფილოსოფოსებმა წარმოადგინეს თავი თეოლოგებად და, სულიერი ცხოვრების ერთ ასპექტზე თავდასხმის დროს, დოგმატურ გადმოცემას შეეჯახნენ. წმ. გრიგორიოს პალამასის მოწინააღმდეგეებში მხოლოდ დასავლეთის რელიგიური აზრის წარმომადგენლების დანახვა, მათი შიშება „ბიზანტიელ თეოისტებად“ დიდი შეცდომა იქნებოდა; აქ უფრო თეოისტურ სქოლასტიკასთან განსაზღვრული ინტელექტუალიზმის დონეზე შეხვედრასთან გვაქვს საქმე. მაგრამ ეს იყო აღმოსავლური წარმომადგენლის ინტელექტუალიზმი. ღვთისმეტყველებით დაძლეული ანტიკური ელინიზმი კვლავ იჩენს თავს ამ პუმიანისტების აზროვნების ხასიათში; ფილოსოფიით აღზრდილებს სურთ პლატონის თვლით უყურონ კაპადოკიელებს, პროკლეს თვლით - დიონისეს, არისტოტელეს თვლით - მაქსიმე აღმსარებელსა და იოანე დამასკელს. ისინი მოწინააღმდეგეთათვის ხილვის პრობლემა ინტელექტუალურ პლანში დაისმის: ეს არის გნოსისი, შემეცნება; წმ. გრიგორიოს პალამასისთვის, როგორც მთელი მისტიკურ-საღვთისმეტყველო ადგილცემისთვის, ღვთისმხილველობა განუყოფელია განდმრთობისაგან და მისი ერთ-ერთი ასპექტია. არსებითად კამათი ეხება ღმერთთან რეალური კავშირის არსებობას, სხვაგვარად რომ ვთქვათ - სიკეთის ბუნებას.

როგორ შეგუწავსოთ ღმერთის შეუცნობლობა მის შეცნობადობას, ღმერთთან ურთიერთობის შეუძლებლობა - მასთან ვერმეარტი ურთიერთობის შესაძლებლობას?

„ღმერთის აქსება უღანაზიარა და გარკვეული სახით თანაზი-
 არი“ - ამბობს წმ. გრიგორიოს პალამასი - „ჩვენ ვეზიარებთ ღვთა-
 ებრივ ბუნებას და, ამასთანავე, სრულებით არ ვეზიარებთ მას.
 ჩვენ უნდა მივსდეთ ღვთაებას ერთ, ისე მეორე მტკიცებას და მივი-
 რნიოთ ისინი კეთილმსახურების საზომად“². წმ. გრიგორიოს პალამა-
 სი ხსნის ამ ანტიომიას ისე, რომ არ აუქმებს მას და უნარჩუნებს
 ძირითად საიდუმლოს, რომელიც აქსების (ὁμολογια) და მისთვის და-
 მახასიათებელი ენერგიების გამოყოქმულ განსხვავებაში ხელშეუხე-
 ბელი რჩება: „განათება და ღვთაებრივი და გამალღვაებრივებელი
 მაღლი აქსება კი არ არის, არამედ ღვთის ენერგია“³, „ენერგია
 საერთო და ღვთაებრივი ძალა და მოქმედებაა სამშობროვანი ღმრთი-
 სა“⁴. - ამბობს წმ. გრიგორიოს პალამასი. ამროგად, „როდესაც ჩვენ
 ეამბობთ, რომ ღვთაებრივი აქსება წყდომადია არა თავისთავად,
 არამედ მის ენერგიებში, ჩვენ კეთილმსახურების საზღვრებში ვსჩე-
 ბით“⁵. აქსებასა და ენერგიებს შორის ამ განსხვავებას არ შეაქვს
 ღვთაებაში არაფერი სირთულე. სირთულე იმ შემთხვევაში იქნებოდა,
 ქმედება: პასიურობის თვალაზრისით ენებულობას რომ უპირისპირდებო-
 დეს, ენერგია ენებულობას (ἐν ἡσυχίᾳ) რომ გულისხმობდეს. ღმრ-
 თი „აფლენს მოქმედებას, მაგრამ არაა ენებული მასთან მიმართება-
 ში“⁶. პალამასისთვის აქსება და ენერგია ღმერთის ორი „ნაწილი“
 კი არ არის, ღვთაება ერთ-ერთე წამყოფი ნაწილია ზოგიერთ ჩვენს თა-
 ნამედროვე კრიტიკოსს, არამედ ღმერთის აქსებობის ორი სხვადასხვა

2 თეოფანე, PG, t. 150, col. 932 D.

3 ფიზიკური და სარწმუნოებრივი თეოლოგია, 68-69: იქვე col. 1169.

4 თეოფანე, იქვე: col. 941 C.

5 იქვე, col. 937 D.

6 ფიზიკური და სარწმუნოებრივი თეოლოგია, 128 და 149: იქვე, col. 1212 A და 1221 C.

მოქსი საკუთარ ბუნებაში და საკუთარი ბუნების მიღმა, ეს იგივე
 ღმერთია, რომელიც აბსოლუტურად მიუწვდომლად მყოფობს თავისი არ-
 სებით და რომელიც მთლიანად აცხადებს თავს თავის კეთილობაში.
 სამების ღვმატის მსგავსად, ღვთაებრივ ენერჯიათა ღვმატიც არ-
 აფრიდ არ არღვევს ღვთაებრივ სიმარტივეს, მხოლოდ თუ ეს სიმარტი-
 ვე არ იქცევა ფილოსოფიურ ცნებად, რომლითაც ცდილობენ განსაზღვ-
 რონ განუსაზღვრელი. „ყოველი ღვთისმეტყველება, რომელსაც სურს
 დაიყვას კეთილმსახურება, ამტკიცებს ხან ერთს, ხან მეორეს, თუ-
 კი ორივე მტკიცებანი ჭეშმარიტია“⁷. ასე მაგალითად, საველიუსმა
 ვერ შეძლო დაესაბუთებინა, რომ ღმერთი ერთიანიცაა და არაერთი-
 ნიც - ის მხოლოდ არსების ერთიანობას ხედავდა - დაკარგა სამსა-
 ხოვნების ცნება⁸. იგივე შეიძლება იქცეას ღვთაებრივი არსების
 სიმარტივეზე და უსიასა და ენერჯიებს შორის განსხვავებაზე.
 „ღმერთი არა მარტო სამშობლოვანია, არამედ იგი ყოველისმოქმედიცაა,
 ΠΑΥΣΑΝΙΑΣ“ (1351 წ. კრება).

განსხვავებულობა უსიასა და ენერჯიებს, ანუ მოქმედებებს
 შორის, განსხვავებულობა, დამტკიცებული XIV საუკუნის კრებებით,
 ეს არის ღვთაების შეცნობად თვისებათა შესახებ გადმოცემის ღვ-
 მატური გამოხატულება, მას ჩვენ ვხედავთ კაბალოკიელებთან, მო-
 გვიანებით ღიონისესთან - მის მოძღვრებაში ღვთაებრივ შეერება-
 თა და განსხვავებათა, ძალთა (δυναμεις) ან კიდევ „ღვთაებ-
 რივი წყველიადის სხივის“ შესახებ; ეს განსხვავებულობა სახავს
 ღვთისმეტყველების ორ გზას: ერთი ამათვანი ღმერთს ვციხსნის, მე-
 ორეს მივყავართ არყოფნაში მასთან შეერებიანაცენ. საბოლოოდ ,

7 იქვე, 121, col. 1205.

8 თეოფანე, იქვე, col. 917.

იგივე მოძღვრებას ენერჯიებზე, ქრისტოლოგიისადმი მიყენებით და
ნაწილობრივ, ქრისტეს ადამიანური ბუნებისათვის ღვთაებრივი დიუ-
ბის გაცხადებით განხორციელებული სიტყვის იპოსტასურ ერთიანობა-
ში, ჩვენ ვხედავთ წმ. მაქსიმე აღმსარებელთან და წმ. იოანე და-
მასკელთან. მთელი ეს აჯრინდელი ააღვთისმეტყველო მონაცემები
[35] წლის კრებისათვის საჯრდენი აღმოჩნდა მისი რეკლამისამოძღ-
ვით დადგენილებებისა, რომელიც, წმინდა მამათა გადმოცემების და-
ნახმად, ამტკიცებდა ღვთაებრივი და უქმნელი მთავრის, როგორც ერთ-
არსება სამებისაგან განსხვავებული, მაგრამ მისგან განუყოფელი
ენერჯიის განსაზღვრას.

პალამასის მოწინააღმდეგენი, რომლებიც ასაბუთებენ ღმერთში
არსებისა და ენერჯიის სრულ იგივეობას, იცაფდენ ღვთაებრივი სი-
მარტივის ფილოსოფიურ ცნებას. როდესაც ისინი დაპირაკობდნენ არსე-
ბისაგან განსხვავებულ მოქმედებებზე, ანუ ენერჯიებზე, მაშინ მხე-
დველობაში შექონდათ ქმნილი ეფექტები, ანუ ღვთაებრივი არსების
„შედეგები“. მათი გაგება ღვთისა - როგორც მარტივი არსებისა -
არ უშვებდა ღვთაების სხვაგვარ მყოფობას, გარდა არსითი მყოფობი-
სა. ის, რაც არ არის თავად არსება, არ ეკუთვნის ღვთაებრივ ყო-
ფიერებას, არ არის ღმერთი. ამდენად, ენერჯიები ან არსებასთან
უნდა იყოს გაიგივებული, ან არსებისაგან მთლიანად გამოყოფილი,
როგორც მის მიღმა არსებული ქმედება, სხვაგვარად რომ ვთქვათ,
ქმნილი შედეგები, არსებით „ვნებულნი“. აქ ვნებულობის რაციონა-
ლისტიკი გაგება იჭრება მოძღვრებაში სიკეთეზე. გრიგორიოს პალ-
მასის მოწინააღმდეგეებისათვის არსებობს ღვთაებრივი არსება, არ-
სებობს მისი ქმნილი შედეგები, ანუ ეფექტები, მაგრამ ღვთაებრივ ქმე-
დებათათვის ანუ ენერჯიათათვის ალგოლი აღარ რჩება. მათი კრიტიკის
საპასუხოდ წმ. გრიგორიოს პალამასმა ისინი დააყენა შემდეგი ზღუ-

მის წინაშე: მათ ან უნდა დაუშვან განსხვავებულობა არსებობა და მის ქმედებას შორის, მაგრამ მაშინ ღვთაებრივი სიმართლის სოფიური გაგება მათ იძლეობს ქმნილებად შიიჩნიონ ღიღება ღვთისა, მაღლი, ფერისცვალების ნათელი; ან კიდევ კატიგორიულად უნდა უარყონ ეს განსხვავებულობა, რაც მათ იძლეობს გახდის გაიგივონ მიუწევდომელი და წვდომადი, გაუცხადებადი და გაცხადებადი, არსება და მაღლი. ორივე შემთხვევაში შეუძლებელი ხდება ადამიანის გაღვთაებრივება, შეუძლებელი ხდება ყოველგვარი რეალური კავშირი ღმერთთან⁹.

სწორედ ამას ეპოულობთ, მაგალითად, ნიკიფორე გრიგორასთან. თაბორის შუქი მისთვის იყო მხოლოდ ფორმა (*μορφή*), სახე (*ἴδιον*), მატერიალური სიმბოლო, რომელიც ღვთაების იქ ყოფნაზე მიუთითებს¹⁰. მისთვის მოციქულებმა თაბორის მთაზე იხილეს რაღაც რეალობა, არსებულთა სფეროს კუთვნილი (*τίνα τῶν ὄντων*) რაღაც შეცნობადი, და მაშასადამე - ქმნილი¹¹. გრიგორასის შეცნობადის ასეთი ასიმილაცია არსების სფეროსთან მეტყველებს მის დიონისებზე დამოკიდებულებაზე, მაგრამ პლატონიზირებულ დიონისებზე, რომელიც პროკლეს გზითა და ნეობლატონური ტრადიციით აქვს შედგენიებული, დიონისებზე, რომლის ღვთაებრივი გააზრებიდანაც ამოღებულია უმთავრესი ღერძი - მოძღვრება ენერჯიებზე, რომლის მიხედვითაც ღმერთი თავის ენერჯიებში (*ἐνεργείαις*) გამოყოფილი განსხვავებულობით აუწყებს თავს და ეცხადება ქმნილ სამყაროს. გრიგორასის აზრით, არამცთუ ადამიანები, არამედ ანგელოზებიც ღმერთს სხვაგვარად კი

⁹ ბეოგანე, იქვე, სტ. 929 Bc

¹⁰ P9, t. 149, col. 377.

¹¹ იქვე, col. 384.

არა, მხოლოდ სიმბოლოთა და ნივთიერ' ნიშანთა საშუალებით შე-
 იცნობენ (τῶν *συμβόλων καὶ τύπων σαφαιτικῶν*)¹². პალამასის
 ეს მოწინააღმდეგე ფილოსოფოსი, აქ გასააოცრად უახლოვდება ანტიო-
 ქიურ სკოლას, წმ. იოანე ოქროპირის აზრს, რომლის თანახმადაც
 ანგელოსებმა განკაცებამდე ღმერთი მხოლოდ სახეებში და წარმო-
 გენებში იყოფნენ. მაგრამ წმ. იოანე ოქროპირი აღიარებდა ღმერ-
 თის ხილვის შესაძლებლობას მომავალ საუკუნეში ღივებით მოსილი
 ქრისტეს სახით, მაშინ როცა გრიგორასისთვის ეს ხილვა სამუდამოდ
 ჩრება *κατὰ δάινουσαν ὄψιν* -ის კატეგორიებში, ანუ აზრით
 ხელების კატეგორიებში. ეს ის აზრითი ხედვაა, რომელიც აქ, ჯედა-
 მიწანე, ოპერირებს სიმბოლური წარმოვლენებით, რათა მათგან გამო-
 იყვანოს შესაბამისი უნებები¹³. ღმერთთან უშუალო კავშირი, რა-
 გორიც არ უნდა იყოს რაიმე მისტიური ცდა, ჩვენს მიწიერ არსებო-
 ბაში შეუძლებელია, ხოლო მომავალ საუკუნეში ეს იქნება სრულყო-
 ფილი, წმინდა ინტელექტუალური ცოდნა, ადამიანის შემეცნებითი
 უნარის ტკობა. აქ გრიგორასი ფილოსოფიის გზით თითქოსდა უბრუნ-
 ება კლიმენტისა და ორიგენეს ინტელექტუალურ ვნოსისს. მაგრამ
 რაციონალიზირებით, რიდაც იგი ამ ინტელექტუალიზმს მისთვის და-
 მახასიათებელ მისტიკას აცდის, გრიგორასი აღიარებებს მას. მაშინ-
 ნაც კი, როდესაც ის დიონისეს მიმართავს, ამას აკეთებს იმისა-
 თვის, რომ დიონისესეული ტერმინის *θεοποίησις* -ის - ღმთისმიწ-
 ბაძველობა - გამოყენებით დაასაბუთოს გაღმავლებრივების ქმნილი
 ხასიათი, რაც უფრო კეთილშესახურებით მერტაფორაა, ვიდრე უქმნე-
 ლისა და ქმნადის რეალური შეერთება.

12 იქვე, სლ. 323.

13 იქვე, სლ. 393.

ორივე მხარე ერთმანეთს მესაღიანელობაში ადანაშაულებს. პა-
ლამასის მოწინააღმდეგეები ამ ბრალდებას უქმნელი ნათლის ხილვას
უმატებენ. ღვთაებრივ ენერჯიათა დამცველები მესაღიანელობას უწოდებ-
ენ მომავალ საფეხში ქმნილი გონებით ღვთაებრივი არსების შე-
მცენებას; თუ არ ვაღიარებთ ჯანსხვაებულობას არსებასა და ღვთი-
ვამოვლენილ ენერჯიათა შორის, მაშინ არჩევანი უნდა გავაკეთოთ ინ-
ტელიქტუალურ მესაღიანელობასა და ღმერთთან უშუალო კავშირის სრულ
უარყოფას შორის.

რა არის ეს უქმნელი ნათელი, რომლის ირგვლივაც XIV საუკუ-
ნეში საღვთისმეტყველო კამათი შეიქმნა? ეს თავად მისტიკური ცდის
რეალობაა, რომლის შესახებაც ასე დაბეჯითებით დაპარაკობდა სამი
საუკუნით ადრე წმ. სვიმეონ ახალი ღვთისმეტყველი; ის საგარძნობი
მადლია, რომელშიც ღმერთი თავს შეცნობადს ხდის მათთვის, ვინც
ქმნილი ყოფიერების საზღვარს გადალახავს და შეერთვის მას. წმ.
გრიგორიოს პალამასი ამ მისტიკურ რეალობაზე წერს ღვთისმეტყველე-
ბის „ტიქნიკურ“ ენაზე, რის გამოც იგი გარდუვალად კარგავს თავ-
იშ მოქნილობას. „ღმერთი სახელ-იდება სინათლედ არა მისი არსების,
არამედ მისი ენერჯიის მიხედვით“, - ამბობს ის¹⁴. მაგრამ თუ ენ-
ერჯიები იწოდებიან სინათლედ, ეს არა მხოლოდ მატერიალური სინათ-
ლის ანალოგიით (ენერჯია, გამომავალი კაშკაშა გავარვარებული კე-
რიდან), არამედ იმიტომ, რომ ისინი ევლანკებიან ჭერტას როგორი-
დაც გამოუქმნელ რეალობად, რომელსაც ყველაზე მეტად შეესატყვისე-
ბა სახელწოდება „ნათელი“. რამდენადაც ღმერთი ავლენს თავს და
იძლევა ცოლნას თავის შესახებ *ὁσιότητες*-ში, ანუ ენერჯიებში, თა-
ვის ღონანური თვისებებში, ის არის ნათელი. „ეს ღვთაებრივი ცდა

14 ოკინდინოსის წინააღმდეგ: PG, t. 150, col. 823.

 ყველად ჯა ამაყად ?ეუგო: „რა ვიცი, ჩემი ძმის ყარაული ხომ არა
 ვარ!“ მამონ უფალმა მრისხანედ უთხრა: „ეს რა ქქმენი, შენა? ხმა
 სისხლისა ძმისა შენისა მიწიდან ამოჰკიცის ჩემამდე! იყავ წყველ-
 ქმეყანანედ, თორღე შიშობა და ვერ შპოვებდე მოსვენებას მიეღ-
 შენს სიკვლხელში!“

საშინელ ვაგებამში ჩავარდნენ საწყალი ადამი და ევა. კაენი შვი-
ქმნა თავისი ძმის მკვლელი და დაწყვედილი ღვთისაგან. გაანება დედ-
მამას თავი და შორეულ ადგილს დასახლდა. დარჩა უბედური დედმამა
უნუბეშოდ. მაშინ ღმერთმა შეიკოდა ისინი და ნუგეშად მისცა მათ მე-
სამე შვილი სეთი, რომელიც იყო ღვთისმოყვარე, სათნო და უწყინარი.

კ ა ე ნ ი ს ა დ ა ს ე ი თ ი ს

შ თ ა მ ო მ ა ვ ა ლ ნ ი

(დაბ. 5, 3-32).

კაენისაგან და სეთისაგან მებრძოქარა გამრავლდა ხალხი ქვე-
ყანაზედ. ეს სწრაფი გამრავლება მოხდა იმიტომ, რომ მაშინ ადამი-
ანები იყვნენ მებრძო დღეგრძელები. ბევრი მათგანი ცხრასს წელიწადზედ
მეტს ცოცხლობდა.

სეთის შთამომავალნი იყვნენ სათნონი და კეთილნი. მათ დაერ-
ქვათ სახელად „ძენი ღვთისანი“, იმიტომ რომ ღმერთი მუდამ ახსოვ-
დათ, ერთგულად თაყვანსა სცემდნენ მას და ასრულებდნენ მის ნებასა.
აგრეთვე დიდი სიყვარული და ხათრი ჰქონდათ ერთმანეთისა და ერიდ-
ბოდნენ ყოველ ბოროტ საქმესა. მამები და პაპები თავის შვილებს და
შვილიშვილებს ყოველ კეთილს ასწავლიდნენ და კეთილ მაგალითს უჩვენე-
ბდნენ. ერთმა მათგანმა, სახელად ენოქმა, ისე ააშა უჭაღსა თავისი
წმინდა ცხოვრებით, რომ უჭაღმა სიკვდილს წაართვა მასზედ ძალა და
ზეცაში ცოცხალი აიტაცა.

კაენის შთამომავალნი კი ცხადია, კაენს დაემსგავსნენ და იყ-
ვნენ ბოროტნი. იმათ სრულიად დაივიწყეს ღმერთი, სძულდათ ერთმანეთი,
ახსოვდათ მარტო თავისი თავი და ბიწიერებით ცხოვრობდნენ. მათ შო-
რის გატყვევდა შური, სიძრუე, ცილისწამება, გარყვნილება, შფოთი,
მკვლელობა და სხვა ბოროტება. იმიტომ იმათ სახელად დაერქვათ



ა ღ ა მ ი ა ნ თ ა გ ა რ ყ ვ ნ ა

(დაბ. 6, 1-7).

ჯერ სეითის შთამომავალნი ცალკე ცხოვრობდნენ, ერიღებოდნენ კაენის შთამომავლებს და არა კქონდათ მათთან მისვლა-მოსვლა, ნაყნობობა ან სხვა რამე კავშირი. მზარამ შემდგომში, როცა გამრავლდა ნათესავი კაცთა, კაენის და სეითის შთამომავლებმა დაიწყეს ერთმანეთში მეგობრობა, მეზობლობა, მისვლა-მოსვლა და მოყვრობა. სეითის შთამომავალნი ირთავდნენ ცოლებს კაენის შთამომავალთაგან და მათგან იძენდნენ ცულ ხასიათსა და ბიწიერ ცხოვრებას. მალე სეითის შთამომავალნი სრულიად დაემსგავსნენ კაენის შთამომავლებს და გაირყვნენ სრულიად. ღმერთი აღარავის ახსოვდა, კეთილი სძულდათ, ბოროტი უყვარდათ, სიარტბვილი და შიში აღარაფრისა კქონდათ. მათ შორის გამორჩნდნენ გმირნი, რომელნიც ყველა სუსტ და უღონო ადამიანებს სრავრავდნენ, ტყინსა სწოვდნენ და სიცოცხლეს უმწარებდნენ. აივსო ქვეყანა ბოროტებითა და ცოდვითა. ყველამ დაჰკარგა ადამიანობის ნიშანი წყალი და მთელი კაცობრიობა დაემსგავსა მხეცების გროვას.

6 ო ე

(დაბ. 6, 3, 7-8, 13-22; 7, 1-9).

მთელ ჰაშინდელ კაცობრობაში მხოლოდ ერთი კაციღა ერია კეთილმსახური და ღვთისმოყვარე, ეს იყო ნოე, სეითის შთამომავალთაგანი, შვილის შვილისშვილი ენოქისა. როცა ღმერთმა ნახა, რომ მთელი კაცობრიობა გაირყვნა, გადასწყვიტა მისი დაჯუშვა წარღვნით, ნოეს ვა-

და. მაგრამ თავისი ქმნილებების ასე სასტიკი დასჯა ეძნელებოდა და ამიტომ უნდოდა ნოეს შუამავლობით მოექცია ისინი კეთილ გზაზე. გა-
მოუცხადა, რომ: ას ოცი წელიწადი კიდევ ვუსდი აქვენს მოქცევისათ.
და თუ ამ ვადის გასვლამდის არ შეინანეთ აქვენი ცოდვანი და არ და-
ადექით კეთილ გზას, უფლო წარღვნით გავწყვეტ აქვენ სახსენებელს
დედამიწის ზურგზედაც. მაგრამ ამ დღის მუქარას ყურად არ აახოვეს,
უფრო უარესს სჩადიოდნენ და იქნება ნოეს კიდევაც დასცინოდნენ.
მაშინ ნოეს უბრძანა უფალმა: „გააკეთე შენთვის დიდი კილობანი ცი-
სიანი ხისა, სიგრძით სამასი წყრთა, სიგანით ორმოცდაათი წყრთა და
სიმაღლით ოცდაათი წყრთა; შედი შეიგ მთელი შენი სახლობითა, შეიყ-
ვანე შეიგ თითო წყვილი უწმინდური ცხოველებისა და შეიგ-შეიგი წყვი-
ლი წმინდა, რამეთუ მე მოვაცდენ წარღვნასა და მოვსწმენდ ბირსა
ქვეყნისასა ადამიანთა გარყვნილი ტომისაგან.“ ნოემ შეასრულა დღე-
ის ნება, გააკეთა კილობანი, შევიდა თვითონ შეიგა, შეიყვანა თავი-
სი ცოლი, სამი თავისი შეიგო თავისი ცოლებითა და შეასხა ცხოველე-
ბი. ამ დროს ნოე იყო ექვსასი წლისა.

წ ა რ დ ე ნ ა

(დაბ. 7, 7-24; 8, 1-22; 9, 11-24).

გაზაფხული იყო, როცა ნოე მოექცა კილობანში. დაიხურა თუ
არა კილობნის თავი, იჯრიბდა საშინელმა წვიმამ და დაეშვა დედამი-
წაზე, ორმოცი დღედაღამე იდინა შეუწყვეტლივ ნიძღვარმა. ზღვები,
ტბები, წყაროები და მდინარეები გადმოვიდა ნაპირებიდან და მთლად
წალეკა დედამიწა. წყალი თანდათან მბლდა ადროდა და ბოლოს დამა-
და თვით უმბლესი მთების წვერებიცა. მთელი კაცობრიობა და სულ-

დგმულობა დაიხრჩო წყალში. გადარჩა მარტო ნოე და ყველა მყოფნი
კიდობანში, რომელიც მაღლა მოტივტივებული უცნებლად დაცურა
ღზე.

გაციდა ხუთი ოცე წარდენის დაწყებიდან. ღმერთმა მოავლინა
რი, რომელმაც ღრუბლები სრულიად გაფანტ-გამოფანტა. შესწყდა წიგნი
და ღედამიწიდან წყალმა დაიწყო დენა ზღვებში და მდინარეებში. წიგ-
ნიმ თანდათან ძირს დაიწია. მალე მთის წვერები გამოჩნდნენ. ნოეს
კიდობანი წყალმა მიიტანა სომხეთის მთის არარატის წვერზედ და იქ
გააჩერა. ნოემ იკრძნო შიგნივ, რომ კიდობანი დადგა. ამის შემდეგ
დაიკადა ორმოცი დღე და გამოუშვა ყვავი: უნდოდა შეეცყო, მოშორდა
წყალი მიწას თუ არაო, მაგრამ ყვავი უკან აღარ დაბრუნდა, მეორედ
გამოუშვა მტრედი. მტრედმა ბევრი იფრინა, მაგრამ შშრალი აფგრილი
ფრსად ნახა და დაბრუნდა უკანა. შვიდი დღის შემდეგ ხელმეორედ
გაუშვა მტრედი. ახლა კი მტრედი ცარიელი არ მობრუნდა, ნისკარ-
ტივ მიიტანა ზეთისხილის შტო ახალი ფოთლებით შემოსილი. კიდევ გა-
ვიდა შვიდი დღე და ნოემ მესამედ გამოუშვა მტრედი, მაგრამ იგი
აღარ დაბრუნდა კიდობანში. მაშინ ნოემ ახადა თავი კიდობანსა, გა-
მოიხედა ძირსა და ნახა, რომ მიწას სრულიად მოშორებოდა წყალი,
მაგრამ კიდობნიდან მაინც ჯერ არ გამოვიდა, ღმერთს ბრძანებას უ-
დიდა. როცა ღედამიწა სრულიად გაშრა, ღმერთმა უბრძანა ნოეს გამო-
სულიყო კიდობნიდან და გამოესხა ყველა შივ მყოფი. სწორედ ერთი
წელიწადი დაჟყო ნოემ კიდობანში და გამოვიდა მეორე წლის თავსა.
მაშინვე ნოემ სამადლობელი შესვერპლი შესწირა ღმერთსა. ღმერთმა
კაგილად მიიღო ნოეს შესვერპლი და აღუქვა, რომ ამის შემდეგ წარ-
დგნა აღარ იქნებო. თავისი ბლქმის ასრულების ნიშნად უჩვენა მას
ცაში შვიდგეროვანი ცისარტყელა.

ნოეს შვილები

(დაბ. 9, 17-27).



ნოეს სამი შვილიდან წარმოსდგნენ ყველა ადამიანები. უფროსს ერქვა სემი, შუაანას ქამი და უმცროსს იაფეთი. მამიაც ერთი ცუდი კაცი გამოდგა.

წარდგნის შემდეგ ნოემ ისწავლა ნაზის დარგვა და დააყენა ღვინო. ჯერ ღვინის ძალა გამოცდილი არა უქონდა, არ იცოდა, თუ ღვინომ დათრობა იცოდა და ამიტომ ცოტა ჰარბად მოუყიდა დაღევს. ხამელ ღვინომ ძალიან მოკიდება იცის. ამიტომ ნოე დათერა, კარბეში დაეძინა და ძილის დროს ტანისამოსი გაიხადდა. ამ ყოფაში ნახა იგი მისმა შვილმა ქამმა. ყველა კეთილ შვილს ეწყინებოდა მამის ამგვარი მდგომარეობა, აიღებდა ტანისამოსს, მამას მოკრძალებით დაახურავდა და არ გაამჟღავნებდა ამ შემთხვევას. ქამს კი ვაეხარდა, გაიქცა თავის ძმებთანა და მამას დაცინვა დაუწყო, მაგრამ სემმა და იაფეთმა ამ დაცინვაში მონაწილეობა არ მიიღეს, წყნარად შევიდნენ კარბეში და ისე დაახურეს მამას ტანისამოსი, რომ მისი სიტუცეუ არ დაუნახავთ. როცა ნოემ გაიღვიძა და შეიტყო ქამის უმსგავსება და სხვა თავისი ორი შვილის მშვენიერი მოქცევა, დაწყევლა ბირველი და უხარა, რომ მისი შთამომავლობა იქნება უკანასკნელი; ხოლო სემი და იაფეთი კი აკურთხა და იწინასწარმეტყველა, რომ იაფეთის შთამომავალი გამრავლდება და სემის შთამომავალთაგან კი მაცხოვარი დაიბადება.

ბაბილონის კოლოლი

(დაბ. 11, 1-9).

ნოეს სამივე შვილის შთამომავალნი თავდაპირველად ერთად ცხო-

ერობდნენ, ერთი ქვეყანა ეჭირათ, ერთ ენაზედ ლაპარაკობდნენ, ერთ ხალხს შეიღვენდნენ. მაგრამ რადგანაც მაშინ ადამიანები შეტად ღვინო ზრძედნი იყვნენ, ამიტომ ხალხი ძალიან გამრავლდა და ერთად აღარ ეტყოდა. ღვეს თუ ხვალ უნდა დაყოფილიყვნენ ცალ-ცალკე თემებადა და აქეთ-იქით გაფანტულიყვნენ საცხოვრებლად. მაშინ მათ ერთად მოიყარეს თავი და საქვეს: „მოდიო, შინამ ერთად ვართ და ჯერ კიდევ არ წავსულ-წამოვსულვართ ისეთი რაიმე ავაშენოთ, რომ ჩვენი სახელის სხვა ხსოვრად და სადიდებლად საუკუნოდ დარჩეს და როცა მას შეხედოვენ ჩვენი შთამომავალიანი განცვიფრებულებმა თქვან ჩვენზედ: რა მრავალნი, მძლავრნი და ხელოვანნი ყოფილანო.“ საქვეს და ასრულდისაჲ შეუღვენენ. გამოწვეს უფალადი აგური და დაიწყეს ბაბილონიში აშენება ერთი უშველებელი სვეტის, ანუ გოლისა, რომელსაც, მათი განზრახვით, ცისათვის უნდა მიეზახინა წვერი. მაგრამ ღმერთს არ მოეწონა მათი განზრახვა და საქმე. უფალს ძალიანა სძულს უკუნური და ყველასათვის უსარგებლო შრომა და შეტადრე ზვიადობა ამგვარი გამოუსადეგარი შრომითა, ამიტომ მან ბერია მშენებელთ ენა; უცებ სხვადასხვა ენებზე იწყეს მათ ლაპარაკი, ერთმანეთისა აღარა ესმოლათ რა და იძულებულნი გახდნენ აელოთ ხელი სვეტის მენებაზე. ამის შემდეგ ისინი დაიყვნენ თემებად, აქეთ-იქით გაიფანტნენ, ცალ-ცალკე ადგილები ამოირჩიეს საცხოვრებლად და სხვადასხვა ხალხები წარმოვიეს.

ასე დაბადა უფალმა სხვადასხვა ენები და ამით ყოველ კაცს აჩვენა, რომ მას უნდა უყვარდეს თავისი ღედა ენა, როგორც უფლისაგან შინიჭებული საუნჯე და ძვირად უნდა აფასებდეს მას.

კ ე რ ბ თ თ ა ყ ვ ა ნ ი ს ე ე მ ა

რაკი ადამიანები გაიფანტნენ ღედამიწის ზურგზე სხვადასხვა

კუთხეებისაკენ და მოსპვეს ერთმანეთში კავშირი და მისვლა-მოსვლა, თანდათან დაივიწყეს მათ, რაც გაავრცალა და ესწავლა ღმერთზე თავისი წინაპრებისაგან. ჭეშმარიტი ღმერთის მაგვირად მათ დაუწყეს თავყვანისცემა სხვადასხვა ზეცურ-და ქვეყნურ ქმნილებებს: ზოგმა ღმერთად ამოიჩინა მნათობნი ცისანი - მზე, მთვარე და ვარსკვლავები; ზოგმა თავყვანისცემა დაუწყო ცხოველებს - ხარსა, გველსა, მამიუნსა და სხვებსა; ზოგმა მუხლი მოუდრიკა მდინარეებსა, ზღვებსა, ტბებსა, ცეცხლსა, ქარსა და კიდევ მრავალ სხვა საგნებსა. რომ ხშირად მოეგონებინათ თავიანთი ღმერთები, აღამიანებმა იწყეს მათი გამოსხატვა ხეებზედ, ქვეშზედ, სპილენძზედ, ვერცხლზედ, ოქროზედ და დაუწყეს ამ გამოსხატულებათ თავყვანისცემა, როგორც ღმერთსა. რადგანაც ამნაირ გამოსხატულებას აქციან კერპი, ამიტომ მათ ლოცვასა და ვედრებასაც სახელად დაერქვა კერპთაყვანისცემა. როცა კერპთაყვანისცემა მოელო მთელი ღმერთის ზურგსა და ყველა ხალხმა დაივიწყა ჭეშმარიტი ღმერთი, უჭაღმა ინება, რომ ქვეყანაზედ ყოფილიყო ერთი ხალხი მაინც, რომელსაც ეყოლინებოდა იგი, თავყვანს სცემდა მას, ეხსომებოდა აღაქმა მაცხოვრის მოსვლისა და შემდგომში ჭეშმარიტი საჩქმუნოების გაცრცელება. ღმერთმა გადასწყვიტა წარმოემება ისეთი ხალხი ერთი ღვთისნიერი და კეთილმსახური კაცისაგან, რომელსაც ერქვა აბრამი.

დ მ ე რ თ ი ს მ ო წ ო ჯ ე ბ ა
 ა ბ რ ა მ ი ს ა ღ მ ი

(დაბ. II, 27-28, 31; 12, 1-5)

აბრამი დაიბადა და ცხოვრობდა ქაღდეველთა ქვეყანაში. ამ ქვეყნის მცხოვრებლებიც ღმერთი ძატრამდის კერპთაყვანისცემდები იყვნენ. თვით აბრამის ნამაც, რომელსაც ერქვა აბრამი, კერპებს ემ-

სახურებოდა. მარტო აბრამსღა ახსოვდა ჭეშმარიტი ღმერთი და აბრამს
ბდა მას. რომ ესეც არ შეერყეულიყო თავის საწმენოებაზედ ნათესავე-
ბის წაბაძვიო, ღმერთმა მოინდომა მისი გადასახლება სხვა ქვეყანაში.
ამიტომ ერთხელ გამოეცხადა მას და უბრძანა: „დასტოვე შენი სამშობლო
ქვეყანა დაანებე თავი შენს ნათესავეებსა, შენს სახლ-კარსა და წილ-
ნი ქვეყანაში, რომელსაც მე შენ გირვენებ. მე წარმოვშობ შენგან
დიდ ხალხსა, გაკურთხებ და მოგანიჭებ დიდებასა; ეაკურთხებ მათ, ვა-
ნც შენ გაკურთხებენ და დავწყევლი მათ, ვინც შენ დაგწყევლიან. ერთ-
შენი შთამომავლის მიერ კურთხეულ იქნებიან მთელი ქვეყნის თემნი.“
აბრამი დამორჩილდა ღვთის ბრძანებასა, გაციდა თავისი სამშობლოდან
და გაემგზავრა სამხრეთისაკენ, იმიტომ რომ ქანაანის ქვეყანა, რომელიც
მას უფაღმა მისცა საცხოვრებლად, იყო სამხრეთისაკენ ქალღე-
ველთა ქვეყნიდან. თან წაიყვანა აბრამმა ცოლი თავისი სარა და ძმი-
სწული თავისი ლოტი მისის სახლობითა. ამ ღროს აბრამი იყო სამოცდა-
მეხუთმეტი წლისა.

ა ბ რ ა მ ი ს ა და ლ ო ტ ი ს

გ ა ყ რ ა

(დაბ. 13, 1-12).

ქანაანს გადასახლების შემდეგ აბრამს და ლოტს დიჯხანს არ
უცხოვრიათ ერთად. მათ მალე მოუხდათ გაყრა და ერთმანეთის განშორე-
ბა. ამის მიზეზი გახდა შემდეგი შემთხვევა: ლოტსა უქონდა თავისი
საკუთარი კარები და აყავდა აუარებელი საქონელი; აბრამიც აგრეთვე
მდიდარი იყო ძროხითა, ცხენითა და ცხვრითა. ამდენი საქონელი არა
თავსდებოდა გარეშემო იაღაღზედ და ამის გამო განხეთქილება ჩამოვი-
და აბრამისა და ლოტის მიწყობსებს შუა, რომელნიც ერთმანეთს ეცი-

ლეზბიანური საბჭოთაო ადგილებს. აბრამს ეშინოდა, რომ ამ შემთხვევებს
 არ ჩამოეგდო სიძულვილი მასა და ლტს შორის, ამიტომ მოუწოდა თავის
 ძმისწულსა და უთხრა: „ნუ იქნება უთანხმოება შენსა და ჩემს შუა,
 ჩემსა და შენს მწყემსებს შორის, იმიტომ რომ ჩვენ ერთმანეთის ძმე-
 ბი ვართ, უკეთესია ერთმანეთს გავეყარნეთ და ცაღ-ცაღკე ვიცხოვროთ;
 ქვეყანა დიდია, რომელი მხარეც გინდა, ის ამოირჩიე: თუ მარცხნივ
 იარე, მარჯვნივ მე წავაღ, თუ მარჯვნივ ამჯობინებ, მარცხნივ გავე-
 მგზავრები. ლტს ვკუთხი მოღვიდა აბრამის სიტყვები და საცხოვრებლად
 ამოირჩია ერთი ფართო ველი, დაყენილი მშენებრივი იაღაღებით, რომელ-
 საც მდინარე იარდანი რწყავდა. იგი გაემგზავრა იქილკენ და თავისი
 კარები დადგა ერთი ქალაქის გვერდით, რომელსაც სახელად ერქვა სო-
 ლომა.

ა ბ რ ა მ ი ს ს ა რ წ მ უ ნ კ ე ბ ა
 (დაბ. 13,14-17; 15, 1-5; 17,19).

რადგანაც უფალს განსაკუთრებით უყვარდა აბრამი მტკიცე საარწ-
 მუნოებისათვის, ამიტომ მრავალჯერ ეცხადებოდა ძილშიაც, ღვიძილში-
 აც და ესაუბრებოდა მას, როგორც კეთილი მამა; უმეორებდა თავის
 აღაქმათა და მრავალთა მოწყალეობათა შესახებ, რომელნიც განუშინადა
 მას, და არწმუნებდა, რომ იგი შეიქნება მამა მრავალი შთამომავლე-
 ბისა.

ერთხელ სიზმარში აბრამს მოესმა ღვთის ხმა: „ნუ გეშინია,
 აბრამ! მე ვარ შენი მფარველი და დიდი ზილდოც მოკლეს ჩემგან.“
 აბრამმა უპასუხა: „უფალო, რაცა მაქვს, ისიც არ მახარებს, იმიტომ
 რომ უშვილო ვარ და მიელი ჩემი საარწო ჩემი სიკვდილის შემდეგ უნდა
 დარჩეს ჩემს ძმისწულს. მაშინ უფლის ხმამ დაარწმუნა აბრამი, რომ
 უშვილო ვარ დარჩება. ამ ხმამ გამოიყვანა ის უკიდურეს მინდობე

და უხარა: „აიხედე მადლა და თათვალე ვარსკვლავნი ცისანი. არ შე-
გძლია, განა? ეგრეთვე უნდაღვი იქნება თესლი შენი, რომელსაც
დავუმცვიდრებ ქვეყანას, სადაც ეხლა შენა ცხოვრობ.“

მაგრამ გავიდა დიდი ხანი და უფლის აღთქმა ვერ კიდევ არ
რუღებულყო. აბრამი გადადგა მკასე წელიწადში, სარა ოთხმოცდაშე-
თეში და შვილი კიდევ არ ეძლეოდათ, მაშინ უფალი ახლად გამოეცხადა
აბრამსა და უხარა: „მე ვარ შენი ღმერთი, კეთილად მემსახურე და
იყავ უბიწო! მე დავღებ შენთან აღთქმას და ცაქცევ შენს შთამომა-
ელობას დიდ ზღაპრად. ცოლი შენი სარა შობს შვილსა, და მისგან წარ-
მოსდგება ხაღნი, რომელიც იქნება ერი ღვთის რჩეული. მე ციქნები
ღმერთი შენი შვილისა და მისი შთამომავლობისა.“ მეტი სიხარული
აბრამს გაცეინა და ღმერთმა უბრძანა მას, რომ სახსოვრად ამ სი-
ხარულისა თავის შვილისათვის დაერქვია ისაკი.

ლოტი ს ტყვეობიდან დახსნა

(დაბ. 14, 1-23).

ლოტისაგან ამორჩეული ადგილი საცხოვრებლად ვერ გამოდგა სა-
ხეირო. არ გასულა დიდი ხანი მას უკან, რაც იგი განშორდა აბრამსა,
რომ მას შეემთხვა დიდი უბედურება. სოდომს და სხვა ახლო ქაღაქებს
დაესხნენ უცხო მეფენი, სძლიეს სოდომის მცხოვრებლები, დაარბიეს
და წაასხეს ტყვეებად. ტყვეებში ერიო თავით ლოტიცა. შეიტყო თუ არა
აბრამმა თავისი ძმისწულის უბედურება, მაშინვე შეკრიბა თავისი სა-
ხლიდან სამას თრამეტი კაცი, მიიწვია საშველად ზოგირთი მებრძო-
ლი, გამოუდგა გამარჯვებულებსა, დაეწია და უკვებ დაესხა თავსა. შე-
ეწია ღმერთი და აბრამმა დასძლია მტრები. აბრამმა მათ დააყრვეინა
არა მარტო ტყვეები, რომელთა შორის ლოტიც იყო, არამედ ნიღლი და-

ლატა. როცა აბრამი შეინსაკენ დაბრუნდა, გზაზედ მას გამოეგება
მეფე, სახელად მეღვივედევ. ამ მეფეს სწამდა ქვეშაობი ღმერთი და
ემსახურებოდა მას. მას უქონდა გაგებული აბრამის სათნო ცხოვრება
და ნიშნად პატრივისცემისა მიაგება პური და ღვინო და აკურთხა იგი.
თავის მხრივ აბრამმაც მიართვა მას შეათე ნაწილი ღველისა. აბრამმა
დაუბრუნა სოლომის მეფეს ყველა ტყვეები და მთელი მათი საარჩო. სო-
ლომის მეფემ დაუწყო თხოვნა აბრამსა, რომ მას დაებრუნებინა მის-
თვის მართო ტყვეობისაგან გამოხსნილი ხალხი და მათი საარჩო კი თა-
ვისათვის დაენარჩუნებინა, მაგრამ აბრამმა ცივი უარი სძვეა. თავი-
სი კეთილი საქმისათვის ჯილდოს ანუ ფასის მიღება მძნ ან უნდოდა,
რადგანაც იყო უანგარო კაცი. მან ამგვარად უბასუხა: „აღემაპყრობ
ხელსა ჩემსა ზეცისკენ და შემოგფიცავ, რომ ერთ ბეწვსაც არ ვინდო-
მებ მათი ქონებიდან!“

ამის შემდეგ ლოტი ისევ ქალაქ სოლომთან ცხოვრობდა, მაგრამ
კინაღამ სრულიად არ დაიჯუბა ერთი საშინელი უბედურებისგან, რომე-
ლიც ამ ქალაქს ეწია. სოლომის და ახლო ქალაქების მცხოვრებლები მე-
ტად ბოროტნი, ბიწიერნი და საშინლად ვარყენილნი იყვნენ. უფალი ხე-
დავდა, რომ მათგან მოულოდნელი იყო სინანული და სწორე გზაზედ მოქ-
ცევა. ხოლო ცოფებანი მათი იყვნენ ისეთი მძიმე რომ მათი ქვეყანაზედ
დარჩენა საშინი იყო; სხვებიც მათ მაგალითს წაჰბაძადნენ და მთე-
ლი ქვეყანა გაირყვნებოდა. ამიტომ უფალმა გადასწყვიტა სამაგალითოდ
დაეხსნა ისინი. რაში მდგომარეობდა ეს საშინელი სასჯელი, გამოჩნდე-
ბა შემდეგი ორი მოთხრობიდანა.



აბრამი და მისი ცოლი სარა გახდნენ ღირსნი მეტად დიდი პატივისცემისა: რომელსაც მათ კარვები უდგათ მამბრეს დიდ მუხასთან, მათ თვის სადგომში სტუმრად მიიღეს თვით უფალი ღმერთი. იგი გამოეცხადა მათ შემდეგი უბრალო სახით: შუაღლე იყო და აბრამი იჯდა თავის ციურის კარებთან, მაღლა აიხედა და ნახლობლად დაინახა სამი მგზავნი. წამოდგა მაშინვე, მიეგება მათ წინ, მიწამდის თავი დაუკრა და მარჯვენა თხოვნით მას, რომელიც უფროსს უკავია „უფალო, თუ მე ღირსი ვარ შენი მოწყობებისა, ნუ ამიქცევ გზასა, მიკადრე, მობრძანდი, დაიხედე ამ ხის ძირში და დანაყრდი ცოტაოფენი საჭმლით.“ მგზავრები დათანხმდნენ და მივიდნენ ჩრდილქვეშა. აბრამი გაეშურა კარავში და უხარა სარასა: „ჩქარა მოზიდე და გამოაცხუ-ხმიადეები“, მერე გაიქცა თავის საქონლის ფარაში, თავისი ხელით ამოარჩია უფლისი ხეივანი და უბრძანა სარას რომ მოეზიდადებინათ. როცა ყველაფერი დაზადდა, აბრამმა მიართვა თავის სტუმრებსა პური, რძე, კარაქი და ხბოს ხორცი. ის თვითონ თავაზობდა საჭმელსა და ემსახურებოდა სტუმრებსა. ძაშინ ერამა სტუმართაგანმა უხარა აბრამსა: „მერმის სწორედ ამანვე დროს გეწვევით, შენ და შენს ცოლს მაშინ შეიღი ნაშობი გეკოლებათ.“ სარა ამ დროს-კარებში იდგა და რომ გაიგონა ეს სიტყვები, გულში ჩაიციინა. მაშინ სტუმარმა სძვეა: „რად გაიციინა სარამა და იფიქრა თავის გულში: სიბერის დროს შეიღი როგორღა უნდა მესულასო? განა ღვთისათვის არის რამე ძნელი?“ სარამ და აბრამმა დაადგინებეს, რომ სტუმარმა ისიც კი იცოდა, რასაც კაცი გულში იფიქრებდა და უწყალოდ მომავალი. მაშინ იმათა სცნეს ვინ იყვნენ მათი სტუმრები. ერთი მათგანი იყო თვით უფალი, ორნი - ანგელოზნი.

სადღის შემდეგ საოცარი სტუმრები აღვინ და წავიდნენ სოფლისა-
 ტენ. გახარებული აბრამი გასაცილებლად თან გაჰყვა მგზავრებსა,
 ორნი დაწინაურდნენ, უფროსი კი აბრამთან დარჩა და გამოუ-
 ხადა აბრამსა, რომ სოფომელების ცოდვანი აღწევინ ზეცამდე და მე
 გადავწყვიტე მათი სახსენებელი ამოვაგდო ქვეყანაზედაო. აბრამს
 შეეშინდა ჩემი ძმისწულიც სხვებთან არ დაიღუპოსო და დაუწყო გე-
 ღრება უფალსა, რომ მან დაიფაროს უსჯულო ქალაქი, თუ მასში ცოტა-
 ლენი მართალი მანც იქნებიან, „უფალო, შენ ხარ მართლმსაჯული,
 და ნუთუ მართლებსაც ბიწიერებთან დაღუპავ? თუ იქ ორმოცდაათი მარ-
 თალი აღმინანო იპოვება, ნუთუ მათგანც არ დაიფარავ მთელ ქალაქსა?“
 უფალმა უპასუხა, რომ: „მე ვაპატივებ ყველას, თუ მაგდენი მართალი
 აღმინანი მათ შორის ერევას“. აბრამმა კიდევ გაბედა და ქკითხა:
 „ორმოცდახუთი რომ იყოსო? ნუთუ მთელ ქალაქს დაღუპავ ხუთი მარ-
 თლის დაკლებიანათგან?“ უფალმა მიუგო, რომ: „არც მაშინ დავსჯიდიო.“
 მოწყალე პასუხით წაქეზებულმა აბრამმა თანდათან დააკლო მართალთა
 რიცხვსა: „თუ ორმოცი იქნება?“ „თუ ოცდაათი?“ „თუ ოცი?“ „აუნდ
 ათიც რომ იყოს?“ უფალმა ბოლოს უპასუხა: „არ დავღუპავ ათი მართა-
 ლი კაციც გულისათვისაცაო.“

ს ო დ რ მ ი ს დ ა ს უ ა

(დაბ. 19, 1-28).

სადავით იყო, როცა ორი ანგელოზი შევიდა სოფომში. ლოტი, ერ-
 თად ერთი მართალი კაცი მთელ იმ ქალაქში, წინ მიეგება მათ და გუ-
 ლითა სთხოვა, რომ ისინი მას სწევოდნენ და ღამე მასთან გაეოთათ.
 ანგელოზები დათანხმდნენ და მივიდნენ ლოტის სახლში, რომელიც მათ
 მშვენიერად გაუმასპინძლდა. ამ დროს მათ კარს შიდადგნენ ბიწიერნი
 და აბეზარნი სოფომელები და მოითხოვეს ლოტისაგან, რომ მას მიეცათ

მათთვის თავისი სტუმრები შეურაცხოვისაბვის. ლემა ხვეწნა დაე-
ყო: „ძმებო, ნუ უზამთ მათ ბოროტსა.“ მაგრამ სოლომელებმა მიუხედავად
დაუწყვიტეს: „როგორ, შენ უცხო კაცი ხარ, სევა მხრიდან მოხრეული
და ჩვენ ჭკუა უნდა გვასწავლო? ახლა გიჩვენებთ სვირს!“ სიძველ
ესა და გაექანენ ლტისაკენ, მაგრამ ანგელოზები მიეშველნენ, ლ
ტი გამოაცადეს ხელიდან ხაღსა, შეიყვანეს შინა და მოკვდნენ კო
ბი. სოლომელებს უნდოდათ კარები შეეშტნოთ, მაგრამ ანგელოზებმა
მათ სიბრმავე დაშართეს. დაბრმავდნენ ხაღსა ცეცხლიანი კაცი
კარებს ველარ, მიაგნო და წაცოდ-წამოვიდა. ამის შემდეგ ანგელოზ
ებმა გამოუცხადეს ლტსა: „ჩვენ გამოგზავნილი ვართ ღვთისაგან ამ
უსჯულო და გარყვნილი ქალაქის ამოსაფხვრელად. თუ შენ აქ ნათესა
ეები, გყვანან, ჩქარა გაიყვანე ქალაქიდან“. ლტს სოლომეში უყვდა
დანიშნული სასიძინი თავისი ქალებისათვის. შეატყობინა მათ ეს ამ
ბავი და სხვობა, რომ დაეტოვებინათ ქალაქი და გაქცეულიყვნენ, მა
გრამ მათ არ დაუჯერეს თავის სასიძინოსა და მასხრადაც აიგდეს.

მეორე დღეს, სისხამზედ, შვის ამოსვლამდის, ანგელოზებმა უბ
ძანეს ლტსა, რომ ის თავისი ცოლით და ქალებით სარქპაროდ გაქცეული
ყო ქალაქიდან. რადგანაც ლტი იგვიანებდა, ამიტომ ანგელოზებმა წა
აყვდეს ხელი, გამოიყვანეს იგი სახლობით სოლომიდან და უბრეს: „უბ
ველე ჩქარა თვესა, გასწი, უკან ნუღარ მოიხედავ და ნუ გარჩრდები
ამ მინდორზედ, თორემ დაიღუპები!“ ლტმა გაუჯონა ანგელოზებსა და
გაიქცა თავის სახლობით.

ამოვიდა თუ არა შხე, აი რა სსშინელი სასჯელი მიაყენა უბა
მა სოლომსა და მის ახლო ქალაქებსა: ციდან წამოვიდა ცეცხლის წვი
მა, მოედო ქალაქებსა, მათ გარეშემო არე-მარესა და მილად გადაბრ
ვა. შემდეგ გასცდა ღეფამიწა, ქალაქი ჩაბარდა ძირსა და მის ადგი
ლას ვაჩნდა საშინელი მტნტი და მწარე ზღვა.

ლოტის ცოლმა არ აასრულა ღვთის ბრძანება: წინააღმდეგ ანგე-
ლოზის დარიგებისა, იგი გზაზედ გაჩერდა, მიიხედა უკან და მიიქო-
ნანობდა სოლომის დატოვებასა. ამისათვის მასაც საშინელი სასჯელი
ვინაღვა: მისი სხეული უცებ გადაიქცა მარცხის სვეტად.

აბრამმა თავის ბინიდან დაინახა უშველებელი სვეტი კვამლისა,
რომელიც სოლომიდან შალდა ადიოდა, და ამითი გაიგო, რომ მარცხსა-
ჯულ უფაღს ვერ უპოვნია ამ წაბიღწულ ქალაქში ის ათი მარცხი კა-
ცი, რომელთა გულისათვის მისი დაფარვა აღუთქვა მას.

ი ს ა კ ო ს დ ა ბ ა დ ე ბ ა ღ ა მ ს ხ ე -
ე რ პ ლ ა დ შ ე წ ი რ ე ლ მ ი ს ი

(დაბ. 21, 1-3; 22, 1-18).

ბოლოს აღსრულდა უფლის აღიქმა სარას, აბრამის ცოლს, მიცეა
ქვ. რომელსაც, თანახმად ღვთის ნებისა, დაარქვეს სახელად ისაკი.
ეს მოხდა სწორედ უფლისაგან დანიშნულ დროსა, მაშინ აბრამი იყო
სრული ასი წლისა, სარა - ოთხმოცდაათისა.

გამოუქმელ სიხარულს მისცა ღედ-მამა ამ ღვთის მოწყალებამა.
ახალმოზილ ქვს შეუხაროდნენ ისინი, როგორც უძვირფასეს საუნჯეს;
ხრდიდნენ მას ღიდის სიფრთხილიდ და ასწავლიდნენ კეთილმსახურე-
ბასა, ღვთის მოწმილეობასა, კაცთმოყვარებასა და ღედ-მამის პატივის-
ცემასა. თვით ისააკიც იყო მეტად საყვარელი ბავშვი: წყნარი, ხათ-
რიანი, მოწმილი, უწყინარი და მეცადინე.

მაგრამ ერთხელ უფალი გამოეცხადა აბრამსა და გამოსაცდელად
მოსთხოვა ამისთანა მსხვერპლი: „აბრამ წაიყვანე ქვ შენი საყვარე-
ლი, ღედისერთა ისაკი, ადი ერთ მთაზედ, რომელსაც მე შენ გიჩვენებ,
და იქ შემომწირე მე იგი მსხვერპლად“. აბრამს ისე მტკიცედ უყვარ-

და ღმერთი, რომ ერთ წუთსაც არ შეყოყმანებულა ამ მოულოდნელ ბრძანების აღსასრულებლად. მეორე დილითვე ადგა აბრამი, შვილები სახედარი, გაიყოლა თან ორი თავისი მონა, წაიყვანა ისაკი და უფვა გზასა. მესამე დღეს მივიდნენ მთასთანა, რომელიც უფალმა ეცენა აბრამსა. თავისი ორი მონა სახედართ მთის ძირში დასტოვა, ისაკს კი აჰკიდა ზურგზედ მსხვერპლის დასაწვავი შეშა, თვითონ აიღო ხეღში დანა და ცეცხლი და შეუფუძა მთასა. გზაზედ ისაკმა შეაბრა: „მამილო, ეს მარტო ცეცხლი და დანა რომ მიგვაქვს მსხვერპლს შესაწირავად, ბატკანი სადღა?“ „ღმერთი თვითონ გვიჩვენებს მსხვერპლს, წიროც ბატკანსა, შვილო,“ - უთხრა მამამა. ბოლოს ავიდნენ მთის წვეთზედ. აბრამმა ააშენა სამსხვერპლო, დააწყო ზედ შეშა, მერვე შეჰკრა ისაკი და დასდო შეშაზე. მშვიდი კრავივით ისაკი მამას ელაგრის ნებას აძლევდა. აბრამმა აიღო ხეღში დანა და უნდა დაეცა შვილისათვის. ამ დროს ზეციდან მოისმა ანგელოზის ხმა: „აბრამი ნუ შეახებ ხელსა ყრმასა მაგას, ნურას დაუშავებ მას. ეხლა ცხადად გამოჩნდა, რამდენად გიყვარს შენ ღმერთი, რადგანაც არ დაიშურე მისთვის ერთადერთი საყვარელი ძე შენი.“ აბრამი სიხარულით ცას ეწია და მაშინვე ახსნა ისაკი. მიიხედ-მოიხედა აბრამმა და დაინახა იქვე ახლოს ცხვარი, რომელიც რქებით გახლართულიყო ჯაგებში, აიყვანა ეს ცხვარი აბრამმა და შესწირა მსხვერპლად უფალსა ისაკის მავრიად, და მასთან გადაუბადა მხურვალე მადლობა უფალს, რომელმაც ისაკის დაბრუნებით დიდი მოწყალება უჩვენა მას.

როგორც დიდი იყო სარწმუნოება და სიყვარული აბრამისა ღმერთისადმი, ისეც დიდ ჯილდოს ეღირსა იგი ღმერთისაგანა. აი რა ხმა მოესმა ზეციდან აბრამს მსხვერპლის შესწირვის შემდეგ: „რადგანაც შენ არ დაიშურე ჩემთვის შვილი შენი საყვარელი, ამიტომ გაკურთხებ შენ დიდითა კურთხევითა და ისე გავამრავლებ შთამომავლობასა შენსა,

როგორც მრავალნი არიან ვარსკვლავნი ცისანი და ქვიშანი ზღვისანი,
და ერთი შენი შთამომავლის მეოხებით მიიღებენ უფლის კურთხევას
ყოველნი ერთი ქვეყნისანი.“



ს ა რ ა ს ს ი კ ვ დ ი ლ ი ღ ა ც ო ლ ი ს

შ ე რ თ ვ ა ი ს ა კ ი ს ა

(დაბ. 23, 1-20; 24, 1-67; 25, 1-10).

უფალმა აბრამს და სარას აღუვრძელი ცხოვრება მიანიჭა. სა-
რამ იცოცხლა ასოცდაშვიდე წელიწადი და მოკვდა ღრმა მოხუცებულობა-
ში. აბრამმა რომ გამოიტოვა თავისი ერთგული ცოლი, დაასაფლავა
ერთ გამოქვაბულ კლდეში, მასლობად იმ ადგილისა, სადაც იმან სტუ-
მრად მიიღო უფალი სამი მოგზაური ანგულოზის საბიდა. ეს გამოქვაბუ-
ლი გარეშემო ადგილებით ეკუთვნოდა ახლს ქალაქის, ქებრონის, ერას
მცხოვრებელსა. აბრამმა ეს ადგილი თავის სასაკუთროდ იყიდა ბატრო-
ნისაგან და მონიშნა საოჯახო სასაფლაოდ.

სარას სიკვდილის შემდეგ, აბრამმა დააჩქარა ისაკის ცოლის
შერთვა, რადგანაც ქანაანელნი იყვნენ წარმართნი, ამიტომ მათგან
ქალის თხოვნა არ ინდობა. მოუწოდა თავის ერთგულ მონას ელვაზარს
და ვაგზავნა იგი შუამდინარეში, სადაც სცხოვრობდნენ შვილნი და
შვილისშვილნი აბრამის ძმისა, და უბრძანა, რომ ამ გვარეულობაში
ამოერჩია ისაკისათვის საცოდე. მონამ აასრულა თავისი ბატონის
ბრძანება, შეკაზმა აქლემები და გაუდგა გზისა. კაი ხნის მოგზაუ-
რობის შემდეგ იგი მიახლოვდა სადამო უამხედ ნაქორის ქალაქსა, სა-
დაც სცხოვრობდა ნათესაობა აბრამისა. ქალაქის გარეთ ელვაზარმა
ნახა ჭა, სადაც წყლისათვის საღამოზედ ქალაქის ქალები გამოდიოდ-
ნენ. ჩამოხტა ამ ჭასაჴნა და თავის გულში დმერთს შეევედრა ამ ლ-

ცვითა: „უფალო ღმერთო, გადმოიხედე მოწყალე თუკი ჩემს პატრონს“
მირცენე მე ის ქალი, რომელიც ისაკისათვის საცოლედ დაგინიშნა,
სახითა: მე ვახოვო მას რომ წყალი დამადევინოს და მან ასე მიპასუ-
ხოს: შენც დაღიე და შენს აქლემებსაც ასე.“ გაათავა თუ არა ეს
ლოცვა, ვის მოუახლოვდა ერთი ახალგაზრდა ქალი და წყლის ამოღება
იწყო. ეღვაზარ მივიდა მასთან და სახოვია: „შვილო, დამადევინე მე
წყალი დოქიო.“ ამზრედ ქალმა მიუგო: „შენც მიირთვი, პატრონ ჩემო,
და შენს აქლემებსაც დავადევინებ.“ ეღვაზარი განცვიფრებაში მოვი-
და, რა სწრაფად აუსრულა უფაღმა თხოვნა. ქალს საჩუქრად მისცა მის
ოქროს საყურეები და ძვირფასი სამკვლავურები და უკითხა: „ვისი ქალი
ხარ?“ ქალმა უპასუხა: „მე ვარ ასული ბათოელისა, ნაქორის შვილი-
სა.“ ხოლო ნაქორი იყო ამრამის ძმა ეღვაზარმაც უთხრა ქალს თავისი
გინაობა. მზურვალე მიადლობა შესწირა ღმერთს ეღვაზარმა, რომ მან
პირდაპირ მოიყვანა ამრამის ნათესავეთთან და ცხადად უჩვენა ისა-
კის საცოლედ. რბეკა გაიქცა შინ გახარებული და დედას უთხრა ამრ-
ამის მონა ვნახე და ეს საჩუქრებიც მომცაო. მაშინვე რბეკას მამა
გაეგება ეღვაზარსა და მიიწვია სახლში. ეღვაზარმა დაწერილებით
უამბო, თუ რისთვის არის გამოგზავნილი და როგორ უჩვენა უფაღმა
რბეკა, როგორც მისგან არჩეული საცოლედ ისაკისათვის, ბოლოს უკი-
თხა: „მანახმანი ხარო გამოუშვით ჩემთან რბეკა, რათა ვახდეს ცო-
ლი ისაკისა?“ ღედ-მამამ მაშინვე დათანხმდა, თვითონ რბეკამაც გა-
მოცხადდა ამზრედ თავისი თანხმობა. ამის შემდეგ ღედ-მამამ დაღოს
აკურთხა თავისი შვილი რბეკა და ვინტუშობა შორ ვზახე. როცა ქალ-
ანის ქვეყანაში მოვიდნენ, რბეკა გახდა ცოლი ისაკისა. ამის შემ-
დეგ ამრამმა ცოტა ხანიდა იცოცხლა და ვარდაიცვალა ის სამოღვაწე-
თმეტე წლისა. იგი დამარხა ისაკმა იმავე გამოქვაბულში, სადაც გა-
ნისვენებდა საკას გვამი.



ისაკი იყო ისეთივე კეთილ-მსახური კაცი, როგორც აბრაამი. მშობრს იგი თავის მფარველობის ქვეშა პყავდა და უმეორებდა იმ ბა-
ბქმებს, რომლებიც სხვადასხვა დროს მისცა აბრაამსა, მაგრამ ისაკი
თავის მამასავეთ დიდხანს დარჩა უშვილოდ. ორმოცდასამი წლისა იყო,
როცა მამ რებეკა შეიერთო, და მამა მხოლოდ მაშინ შეიქნა, როდესაც
სამოცი წლისა გახდა. ამ დროს რებეკას მიეცა ტყუპი ვაჟი. რომელიც
პირველად იშვა, იმას ესავი დაარქვეს, მეორედ ნაშობს კი უწოდეს
იაკობი. ესავი როცა მოიზარდა, მონადირეობა აირჩია ხელობად, ია-
კობმა კი არ დაავდო კვადი მამა-პაპისა და გახდა მწყემსი. ესავი
იყო ანჩხლი, გულქარი და ბრყვეული თვისებებისა, ხოლო იაკობსა
ვერნდა მშვიდი, ხათრიანი და უწყინარი ხასიათი. პირველი შვილი მამას
მომეტებულად უყვარდა, რადგანაც ნადირის ხორციელ ხშირად ასია-
მოენებდა ხოლმე, მეორე კი - დედას უფრო უყვარდა.

ერთხელ ესავი დიდი ხნის ნადირობის შემდეგ, მოვიდა შინ საშინ-
ნლად დაღაღუდი და მშვიერი. ამ დროს იაკობს წინ ედგა საცხე ჯამი
ოსპის შეჭამანდისა. „მოიტა გამაძღე ერთი მაგ შენი შეჭამანდითა,“
უხრა ესავმა იაკობსა. „შენი პირველობა ახლაცე მე დამიომე და ბა-
ტონი ბრძანდები,“ უპასუხა იაკობმა. „რა თაღვი ვიხლი პირველობას,
როდესაც შიშვილითა ცვედები,“ მოუფიქრებლად მიუგო ესავმა. ასე
წინდაუხედავად დაუთმო ესავმა პირველობა თავის უმეორს ძმასა და
შეპყილა კიდევც, რომ იგი მასში თავის დღეშიაც არ შეეცოლება.

ესავს, როგორც დაუდევარ კაცსა, მალე დაავიწყდა ეს შემთხვევა
და მოინდომა პირველობის კურთხევა. მაგრამ ეს კურთხევა ერთგო მას-
ზედ უფრო დირსეულს - იაკობსა. საქმე იაკობს გაურჩვა რებეკამა,

რომელსაც იგი სამართლიანად უყვარდა უფროს შვილებზედ მომეტებულია. რებეკამ შეიტყო, რომ ისაკი აპირებდა ესაგის დალოცვასა. ადგა და გაგზავნა იაკობი მამასთან კურთხევის მისაღებად. მაშინ, როდესაც ესაგი სანადიროდ გაიგულა. ისაკი ამ დროს ძალიან მოხუცებული იყო და ვერაფერსა ხედავდა. როცა იაკობი შევიდა დალოცვის მისაღებად, ისაკს ეგონა, ესაგიაო, აკურთხა იგი და დაულოცა უფროსობა ძმებზედ. ესაგი მალე დაბრუნდა ნადირობიდან და რომ შეიტყო მამასთან ძმის ოინი, საშინელი ყვირილი და ტირილი მოიწო და დაუწყო ხეყნა მამას, რომ მას თავისი ღოცვა-კურთხევა მისთვის მიეცა. მაშინ ისაკმა დალოცვის შეცვლა ადარ მოინდომა, რადგანაც იფიქრა: უფრო ღმერთს ნებავდა, რომ იაკობს მისცემოდა უფროსობაო. ამიტომ ესაგი საშინლად გაცეცხლდა და იმუქრებოდა, მოკვდებოდა თუ არა ისაკი, იაკობს ერთ ღელსაც არ ვაცოცხლებო. რებეკამ გაიგონა ეს მუქარა, შეშინდა საყვარელი შვილის მოკვლისა და უბრძანა იაკობსა, რომ იგი გაქცეულიყო მის ძმასთან, ლაბანთან, შუამდინარეთს და იქ ეცხორებინა ზიძასთან, სანამ ესაგი გულს მოიბრუნებდა ძმებზე. იაკობი დათანხმდა როცა მოხუცებული მამა კვდებოდა, უბრძანა იაკობსა, რომ მას ცოლი შუამდინარეთიდან მოეყვანა და ბოლოს უთხრა: „და მოგანიჭოს ყოველი შემძლებელი ღმერთმა შენ და შენთა შთამომავალთ ის ღოცვა-კურთხევა რომელიც მან მისცა აბრამსა. მამასა ჩემსა. იაკობმა ახსენა ღმერთს და გაუდგა გზისა.

ი ა კ ო ბ ი ს მ ო გ ზ ა უ რ თ ბ ი .
(ლბ. 28, 10-22; 29, 1-5; 30, 1-43; 31, 1-55).

იაკობმა გასწია ჩრდილოეთისაკენ, რადგანაც შუამდინარეთი იმ მხარეს იყო ქანაანის ქვეყნიდან. ეარგა ზღა გაიარა პირველსავე ღელს. ღამეში უკრიალ მინდორზედ მოუსწრო. დაღაღუღმა იაკობმა დაიწყო

ქვე თავითა და დამძინა შინდორში. ძიღში ნახა საკვირველი სიზმარი. ვითომც ამართული იყო დედამიწაზედ მაღალი, თვალთ აუწილდენელი კიბე და თავი მიბჯენილი სქონდა ცაზე. ამ კიბეზედ მრავალნი ანგულონი ადროდნენ და რამოდროდნენ. მაღლა, კიბის თავზედ, კი იჯგა თვით უფალი და ეუბნებოდა იაკობს: „მე ვარ ღმერთი აბრაამისა და ისაკისა, ნუ ჯეშინიან; მაგ ქვეყანას სადაც ეხლე შენ სწევხარ, დაგამკვიდრებ შენ და შენთა შთამომავალთა, რომელთაც გაემარავლებ, როგორც ქვიშასა ზღვისასა. ერთი შენი შთამომავლის შუამავლობით ეკურთხებ მე ყოველთა მცხოვრებთა ქვეყნისათა. არას დროს თავს არ დაგანებებ, დაგიცავ. ყველგან, სადაც უნდა წახვიდე და მშვიდობით დაგაბრუნებ ამივე ქვეყანაში.“ იაკობმა რომ გამოიღვიძა სექვა: „სა-თქმე არს ადგილი ესე; აქ არის სახლი უფლისა; აქ არის კარები ცისა“ გადარბა და უფალს მადლობა და გასწია თავის გზაზედ.

კაი ხნის მოგზაურობის შემდეგ იაკობი მივიდა ქარანში თავის დედის ძმასთან, ლაბანთან. ნათესავები სიხარულით მიეგებნენ და დაბინადრეს თავისთან.

რადგანაც ლაბანს ბევრი საქონელი უყავდა და იაკობმაც მშვენივრად იცოდა მწყემსობა, ამიტომ ბიძამ თავისი დისწული მიეცხარედ დაიყენა. გასამრჯელოს ლაბანი ფულის მაგიერად ცხვრებით იხდიდა. მოეწონა აქ ყოფნა იაკობსა და ცოლიც აქ შეირთო, თანახმაჲ ისაკის სურვილისა. უფალმა მოუმართა ხელი იაკობსა და აკურთხა მისი შრომა და მოამინება. იაკობი ძალიან გამდიდრდა თავისი წილი ცხვარითა. თავისი საკუთარი ცხვარი საკვირველად გაუმრავლდა მას და შეადგინა მრავალი ფარა. ამიტომ ლაბანმა და მისმა შვილებმა შურის თვლით დაუწყეს ყურება იაკობის სიმდიდრესა. იაკობმა რომ ეს შენიშნა, სექვა: მე აქ აღარ მელგომება, დროა პირი შინისაკენა ვქნათ. ადგა და წავიდა მთელი თავისი სახლობით, მრავალი მონით და საქონლით ქანაანის



ი ა კ ო ბ ი ს დ ა ბ რ უ ნ ე ბ ა
(დაბ. 32, 1-31; 33, 1-16; 35, 5-29).

იაკობს ერთი მხრივ მიუხაროდა ქანაანის ქვეყანაში, მეორე მხრივ კი ეშინოდა: მას ეგონა, რომ ესავეს ისევ ბოროტი გული მქონებოდა ჩემზედაც. მაგრამ უფაღმა ერთი მოვლინებით ცხადად აჩვენა იაკობსა, რომ მას შიში არაფრისა არ უნდა ექონოდა. იაკობმა გზაზე ნახა გუნდად ანგელოზები, რომლებიც მზად იყვნენ დაეცვათ იგი ყოველივე ბოროტისაგან.

იმედმოცემულმა იაკობმა ვაგზავნა ძმასთან რამდენიმე თავისი მონა, რომ შეეტყობინებინათ შენი ძმა დაბრუნდა სამშობლო ქვეყანაში. ვაგზავნილნი მობრუნდნენ უკან და ვერაფერი სასიამოვნო ამბავი მოუტანეს იაკობსა, მათ უთხრეს: „შენი ძმე, ესავეი, თვითონ ზოდის შენთან შესახვედრად მრავალი შეიარაღებული კაცითა.“ იაკობი ძალიან შეშინდა და შესთხოვა ღმერთს შემწყობა შემდეგი ლყვითა: „უფალო! თუცა ღირსი არა ვარ ამდენს შენს მოწყობებასა და სიყვარულსა, მაგრამ მაინც გევედრები დამიხსნა მე ჩემი ძმის ხელიდანა. მე შეშინია, რომ მან მეც არ მამკლას და ცოლ-შვილიც არ გამიწყვიტოს.“ თავის მხრივ იაკობმა მოისაზრა ეჩვენებინა ძმისათვის თავისი ბატონისცემა და სიყვარული. და ამითი მოეგო მისი გული. თავის საქმეში ააჩრია საუკეთესო ძვირფასი პირობები და ვაუგზავნა ესავეს ძენად ანუ საჩუქრად. მაგრამ იაკობი მაინც კიდევ იჭვინულობდა ძიზედა და ამიტომ ყველაფერი მოაზნადა გასაქცევად, იმ შემთხვევისათვის, თუ ძმა მტრულად დაუხვედებოდა მას.

ამ თადარიგის დაჭერის შემდეგ იაკობმა დაუწყო ლოდინი ძმის მიხვედრასა ღიღის მღერვებრებითა და შფოთითა. უფაღმა ახლაც ნუგეში

მას და გაამხმნევს ვასაოცარი გამოცხადებით: ღამე იყო. იაკობი თბ-
ვის ბინას გაშორდა და მიწოდორში გავიდა მარტო. უცებ გამოცხადდა
მასთან ერთი ენმე და ღაუწყყო ჭიდაობა. ბრძოლა გაგრძელდა ვაღენე-
გამდის. როცა განთიადმა მოატანა, უცნაურმა მოჭიდავემ უხარა იაკო-
ბსა: „ახლა კი გამიშვი, კმარაო.“ იაკობმა უპასუხა: „არ გაგიშვებ,
მინამ არ მავურახებო.“ მაშინ მოჭიდავემ აკითხა იაკობს სახელი და
უხარა: „ამის შემდეგ შენი სახელი უნდა იქნეს ისრაელი იმიტომ, რომ
შენ ამ ღამეს იჭიდავე ღმერთთან, და მაშასადამე ყოველ კაცს დასძ-
ღევ.“ პოლოს აცურახა იაკობი და გაუჩინარდა. იაკობმა კარგად შეი-
ტყო, ეინ იყო მიკი მოჭიდავე და იმ სიტყვების შემდეგ, რომელიც ღმე-
რთან უხარა, „შეშინ“ სრულიად გაუქრა მას, და ძმისაგან აღარ მოედოდა
რამიმე ბოროტსა და ვნებასა. ამის შემდეგ იაკობს დაერქვა ისრაელი
და მის შთამომაველობას ეწოდებოდა და ეწოდება აქამომდე ისრაელის ხა-
ლხი, სახსოვრად ამ ბრძოლისა იაკობს ერთი ძარღვი ფეჭისა წაუშავდა
და მთელი სიცოცხლე ცოტათი კოჭლობდა.

მეორე ღღეს იაკობმა დაინახა თავისი. ძმა ესავი, რომელიც მის
შესახვედრად მოდიოდა მრავალი კაცითა. იაკობი რომ მიუახლოვდა ნი-
შნად პატრივისცემისა შეიღჯერ დაუქრა ძმას თავი მიწამდის. ესავი გა-
ეპანა იაკობისაკენ, ძმურის სიყვარულით მოეხვია ყელზედ, აკოცნიდა
და თან ტროდა მეტის სიხარულით, რომ მშვიდობით ეღიროსა ძმის ნახ-
ვასა. ტროდა აგრეთვე თვით იაკობიცა. მეორე ესავი აღერსიანად მიე-
საღმა იაკობის ცოლ-შვილსა და ღიფით პატარამდის სიყვარულით მოიკი-
ახა. უწინდელი უკმაყოფილების ხსენებაც არსად იყო. სარქურების მი-
ღებაზედ, რომლებიც იაკობმა წინდაწინ გაუგზავნა, ესავი უარზედ იდ-
გა და ეუბნებოდა: „ძმავ, ჩემი დოღლათიც ბევრი მაქვს, ღვთის მოწყა-
ლებით, ღმობრუნე ისევ უკან ჩემთვის გამოგზავნილი.“ მაგრამ იაკობ-
მა ძალიან გულთ სახოვა, რომ ესავს მიეღო სარქურები და ამითი

ერეგებინა მისთვის თავისი სიყვარული და ძმური მეგობრობა. შინ ესაგი დაჰყვა მის ნებასა.

როცა დრო მოვიდა წასვლისა, ესაგი ძმურად გამოეთხოვა იაკობსა და შინისაკენ წავიდა. იგი კაი ხანია განშორებული იყო მამისაგან და ცხოვრობდა სხვა ადგილასა. იაკობი კი ვაჟურა თავის მსახურებული მამისაკენ. გზაზედ მან გადაუხვია იმ ადგილას, სადაც იგი ბევრ ნახა სიზმარში და შესწირა უფალსა სამადლობელი მსხვერპლი მშობლით დაბრუნებისათვის. აქ ერთხელ კიდევ გამოეცხადა მას უფალი და გაუჩიროს თავის კურთხევა და აღქმანი.

მოსუცებული ისაკი სიხარულით ცას ეწია, როცა ოცი წლის წინდელი იაკობი ნახა მშვიდობით დაბრუნებული, გამდიდრებული და ცლმით გაბედნიერებული.

იაკობი დასახლდა თავის მამასთანა და მას სიკვდილამდე იმეორებია.

როცა ისაკი გარდაიცვალა, იაკობმა დამარხა იგი იმ ადგილას, სადაც ემარხნენ აბრაამი და სარა.

ი ა კ ო ბ ი ს შ ი გ ი ლ ე ბ ი (დაბ. 29, 32-35; 30, 8-24; 37, 3-10).

იაკობსა მყავდა თორმეტი შვილი. სხვაზედ მომეტებულად მას უყვარდა უმცროსი შვილი, სახელად იოსები. ეს იმიტომ, რომ იოსები იყო მეტად კეთილი ბავშვი, მარადის მტემელი, გულწრფელი და თავის მამას არაფერს არ უმალავდა. მამაც მას უფრო აღერსიანად ექცეოდა და უფრო ღამაზ ტანისამოსს აცემევდა. ძმებმა ამიტომ ძვირი გული ჩაიღეს იოსებზედა, შურის თვალთ უცქეროდნენ მას და შეიძულეს სიკვდილით. მათი სიძულვილი იქამდის მივიდა, რომ თავის უმცროს ძმასთან დაპირაცხადეს კი ერთხელადნენ. მაგრამ თვითონ იოსებს კი ძვირად

არა უქონდა ძმებზედ, უყვარდა ისინი და გულწრფელად ეძუებოდა. რადგანაც გულში მას ეშმაკობა სრულიად არ ედო, ამიტომ ძმებს არ დაუმაღლა ორი თავისი სიზმრები, რომელნიც მოასწავებდნენ, რომ იგივე ხდება მომეტებული თავის ძმებზედ. აი ეს რა სიზმრები იყო: „მე შესიზმრა, - ეუბნებოდა იოსები ძმებსა, - ვითომ ჩვენ ყველანი ყბაში ვიყავით და ვკრავდით ძნებსა. უცებ ჩემი ძნა შუაში დადგა, თქვენი ძნები კი გარს შემოერთყნენ და თავის დაკვრა დაუწყეს.“

„ჩვენზედ მეფობა ხომ არ მოგნდომია?“ - უთხრეს გაუფრთხილ ძმებმა, როცა ეს სიზმარი მოისმინეს. შემდგომ იოსებმა მეორე სიზმარი უთხრა: „მე შესიზმრა, ვითომ შუაში ვიდექი და გარს მეხვივნენ მზე, მთვარე და აერთმეტნი ვარსკვლავი და თავს მიკრავდნენ.“ როცა იოსებმა ეს სიზმარი სთქვა, მამაც კი გაუფრთხილდა: „ნუთუ მეცა, დედაშენიცა და შენი ძმებიცა შენ უნდა ვიკრავდეთ თავს?! თუმცა კი იაკობი გაუფრთხილდა იოსებსა, მაგრამ ეს სიზმრები კი დრმაჯ ჩაიჩინა გულში, რადგანაც იფიქრა, უთუოდ მომავალს მოასწავებენო. ძმებმა ამის შემდეგ უფრო მომეტებულად შეიძულეს იოსები, მისი დაღუპვა მოინდომეს და კიდევ შეასრულეს თავიანთი ბოროტი განზრახვა.

ი ო ს ე ბ ი ს გ ა ყ ი დ ე ბ ა
(დაბ. 3, 14-35).

ერთხელ იაკობმა გაგზავნა იოსები მინდორში თავის ძმებთან, რომელთაც საქონელი შორს წაესხათ და რამდენიმე დღე მამამ მათი არა იცოდა რა. იოსები წაეიდა, ბევრი ეძება და ბოლოს მიაგნო თავის ძმებსა. ძმებმა რომ შოწიდან დაინახეს იოსები, ერთმანეთს უთხრეს: „მაგრე ჩვენი სიზმრად მნახველი მოდის; მოლით, მოცკლათ იგი და მამას უთხრათ, მხეცს გაეგოჯა და შეეჭამათქო, მაშინ ვნახოთ, როგორ ასრულდება მისი სიზმრები.“ მართო ყველაზედ უფროსი ძმა,

რუბენი, არ იყო თანახმა და სხვას ურჩევდა ძმებსა: „ისა ღმერთი რომ ძმის სისხლში ხელი არ გავისვაროთ და ჩაცვაღლი ღრმად ხარისხის განზრახვა ჰქონდა, მერმე ჩუმიად ამოუყვანა იოსები იოსებთან და გაეპარებინა მამასთან. გაუგონეს უფროს ძმებსა, გახადეს მათს ტანისამოსი და ჩაცვდეს ღრმად ხაროში. შემდეგ დასხდნენ და დიღს დაუწყეს ჭამა. ამ დროს გამოჩნდნენ მათცენ მომავალი უფროს ძმების ვაჭრები, რომლებიც დატვირთული აქლემებით ეგვიპტეში იყვნენ და ერთმანეთში რჩევა დაიწყეს: „რა სარფას მოვიკვებოთ მოკვლით! უფრო სჯობია მიგყიდოთ ამ ვაჭრებსა, მინამ მისი მკვლელები შევიქნეთ; რაც უნდა იყოს, მაინც ჩვენი ძმია.“ სექვეს დასრულეს კიდევცა. ამოიყვანეს იოსები ხაროდან და მიჰყიდეს უფროს ძმებსა ოც ვერცხლად. ამ დროს უფროსი ძმა რუბენი სხვაგან იყო წასული და არ იცოდა, რა უყვეს ძმებსა იოსებს. როდესად მობრუნდა და ხარო ცარიელი დახვდა, გულს ეღდა ეცა და დიდის სიწყურბულით უახრა ძმებსა: „ზავში აქ აღარ არის, ახლა რაღა მიშეველებათ?“ როგორც უფროს შეიღს, იაკობი მას მოჰკითხავდა თავისი უმცროსი ძმის დაკარგვასა და ამიტომა სწუხდა რუბენი. მოხუცებული მამა რომ მოეტყუებინათ, ძმებსა დაჰკლეს თიკანი, მის სისხლში გასვარებს სხვების ტანისამოსი, მოუტანეს მამასა და ჰკითხეს: „ეს შენი შვილი ტანისამოსი ხომ არ არის, ჩვენ შინდროში ვიპოვნეთო?“ იაკობი იცნო თავის საყვარელად შვილის ტანისამოსი, იფიქრა, უფროდ შეუძლებელია ნაღირმა გამიგლიჯა გზაზედამ და მოხლო მწარე ტირილი და გოდება. შვილები ცდილობდნენ, ნუგეში ეცათ, მაგრამ იაკობი ხანდაზმულად სწუხდა, მათ ნუგეშს არც კი ისმენდა და ამბობდა: „სიწყურბულითა ჩემითა ჩავად საფლავსაო.“



ეგვიპტეში მიყვანეს იოსები ეგვიპტეში და მიჰყიდეს მონად ეთიოპიელს, რომელსაც სახელად ერქვა პეტეფრე. იოსები ამ დროს იყო ჩვიდმეტი წლისა. ღმერთმა თავის მოწყალება არ მოაყოლო იოსებსა. რასაც საქმელს კი ჩააბარებდნენ, იოსები აკეთებდა სწრაფად, მოხერხებით და სინდისიანად. ყოველ საქმეში მას ღმერთი ხელს უშამთავდა და სხვებში ისე ერჩეოდა, როგორც დღე ერჩევა დამიდან. პეტეფრე რომ დაწმუნდა იოსების მხნეობაში და პატრონობაში, მოუწოდა მას თავისთან და ჩააბარა მოურაობა მთელი თავის სახლისა და ქონებისა. ამის შემდეგ ღმერთმა კეთილად წარმართა ყოველი საქმე პეტეფრესი.

მავრამ, საუბედუროდ, პეტეფრეს აყავდა ცოლი მებრად ცუდი, ბოროტი და ღვარძლიანი დედაკაცი. ყველა ცუდ ადამიანს სძულს კეთილი, სინდისიანი ადამიანი, ამიტომ რომ, როცა თავის თავს მასთან ადარებს, თავის საძაგლობას უფრო ცხადად გრძნობს. პეტეფრეს ცოლმაც შეიძულა უმანკო იოსები და მოინდომა იმისი გაძევება თავის სახლიდან. დასწამა რაღაც ცილი იოსებს თავის ქმრის წინაშე და ჩააგლეპინა იგი საბურობილეში. მავრამ მართალი და უმანკო იოსებმა თავისი მშვენიერი ყოფა-ქცევით საბურობილეშიაც მალე მოიპოვებინა და პატრონობა თავისი უფროსისა, რომელმაც დააყენა იგი ბურობილეზე დააბრუნებდა. ამ ბურობილეს შორის ერთი ორი კაცი, რომლებიც უწინ იყვნენ დაახლოვებულნი მსახურნი ეგვიპტის მეფისა. ერთი იყო მებურე, მეორე მელეინე. ერთხელ იოსებმა ნახა, რომ ორივე ძალიან დაღონებულნი იყვნენ და აკითხა: „რად ხართ აგრე მწარედ დაღონებულნი?“ იმათ მიუგეს: „ჩვენ ორივეს სიზმრები ვნახეთ და

არ ვიცი, რას მოასწავებენო." ხოლო იოსებს ღვთისაგან აქონდა
მიცემული იმისთანა ნიჭი, რომ შეეძლო გაეგო ღვთისაგან იყო საჭი-
მარი, თუ არა. და, თუ ღვთისაგან იყო, რას მოასწავებდა. იოსებმა
სახოცა ეთქვათ სიზმრები. მეღვინემ უთხრა: "მე ვნახე სიზმარად,
ვითომც წინ ვიდექი, ხელში მჭერია სამი მტვერანი ყურძნისა, ეწე-
რადი მათგან წვენსა ჯამში და ვასმედი ხელმწიფსა." მეპატონი
უთხრა: "მე მეჩვენა, ვითომც თავზედ სამი კალათა მედგა ერთი კა-
თამანთზედ, მაღლა კალათაში ეწყო სხვადასხვა საჭმელი, ფრინველ-
ასხელებოდნენ. და აკენკავდნენ." როცა იოსებმა მოისმინა ეს სიზმ-
ბი, მეღვინეს უთხრა: "შენი სიზმარი კი რამეს მოასწავებს: შენ
მეცხე ისევ დაგაბრუნებს თავის სასახლეში, და უწინდელსავე თანა-
დებობას ჩაგაბარებს." მეპატონის უთხრა: "სამწუხაროდ შენი სიზმარი
დიდ უბედურებას ნიშნავს: სამი ღლის განმადლობაში შენ მეფის ბრ-
ძანებითა გაგიყვანენ აქედან, ჩამოგახრჩობენ და ფრინველნი დაუწყ-
ებენ შენს სხეულს გლეჯასა." როცა სიზმრების ახსნა გაათავა, იოს-
ბი მიუბრუნდა მეღვინეს და სახოცა: "იმდენი სიკეთე მიყავ, რომ
გამიხსენე, როცა მეცემ ისევ დაგიახლოვოს, შეაბრალე მას ჩემი
ვი და დამიხსენ აქედან. მე აქ სრულიად უდანაშაულოდ ვარ დამწყვე-
ტი."

რაც იოსებმა უწინასწარმეტყველათ, ყველაფერი ისე ასრულდა.
მეპატონე სიკეთელით დასაჯენ, მეღვინეს კი დანაშაული ამატიეს და
უწინდელი აღგილი ისევ დაუბრუნეს. როცა მეღვინე ბედნიერებაში ჩ-
ვარდა, იოსები სრულიად დაივიწყა და აღარ ახსოვდა მისი თხოვნა,
მავრამ უხალი არას ღრის არ დაივიწყებს მართალ აღამიანს.



ორი წელიწადი კრძემ გავიდა და იოსები ისევ საბპრობილემში ეწვალეზოდა. ამ დროს ფარაონმა ნახა ორი სიზმარი, რომლებიც უბრა-
ლო სიზმრებისაგან ცხადად განიარჩეოდნენ და თითქო, რადიფას დიდ უბე-
ღურებას მოასწავებდნენ. ფარაონმა ამიტომ დიდი ყურადღება მიაქცია
ამ სიზმრებსა და შეუყარა მთელი ეკვიპტის მეცნიერნი მათ ასახსნე-
ლად. მაგრამ ვერაეინ ვერ გაიგო, თუ რას მოასწავებდნენ ისინი. მა-
შინ მეღვინეს მოავონდა იოსები, წარსდგა ფარაონის წინაშე და მოახ-
სენა: „საბპრობილემში გახლავთ ერთი ყმაწვილი კაცი, რომელმაც ორი
წლის წინათ მე და მეპურეს საკვირველად სწორად აგვიხსნა სიზმრები;
რაც გვიხსნა, ყველაფერი ისე მოხდა. აქვენი სიზმრების ახსნა იმის
მეტს არავის შეუძლიან.“ მაშინვე გავზავნეს კაცები საბპრობილემში
და წარმოადგინეს იოსები ფარაონის წინაშე.

ფარაონმა უთხრა იოსებსა: „მე ვნახე სიზმრები და მათი ახსნა
ვერავინ შეიძლო. მე მიხსრეს, რომ შენ გაიგონებ თუ არა სიზმარსა,
მაშინვე ახსნი, თუ რას მოასწავებსო.“ იოსებმა მიუგო: „უღვეოდ ფა-
რაონის პასუხის მიგება შეუძლებელია, მაგრამ არის ღმერთი ზეცაში,
რომელიც თავის ერთგულს უცხადებს საიდუმლოთა.“ მაშინ ფარაონმა უთხ-
რა იოსებს თავის სიზმრები:

„მე ვნახე, ვითამც მდინარის პირს ვიდექი, უცებ წყლიდან გა-
მოვიდა ნაპირს შეიდი მშენიერი და მსუქანი ძროხა და მიდიოდ ბალა-
ზის საძოვნიელად, მათ უკან მოჰყვა შეიდი გამხდარი და ისეთი მშვე-
ძროხა, რომ მთელ ჩემ სახელმწიფოში მათი მსგავსი არ მინახავს, და
ამ გამხდარმა ძროხებმა მთლად დაჭამეს მსუქანი ძროხები და მანც
ამის შემდეგ დარჩნენ ისეთივე გამხდრები როგორიც იყვნენ. აქ მე

ვამომხდელითა. მერმე რომ ისევ დავიძინე, სხვა სიზმარი ვნახე. სიზმარა, ვითომც ერას პუიის ლეროზედ ამოვიდა შვიდი სრული და შვიდი ვიღო თავთავი, მერც ამით ამოაყვია შვიდი ფშუტა და ხმელი თავთავი და ამ შვიდმა ფშუტამ თავთავმა ჩაყლაპა შვიდი სრული თავთავი და ფერი კი მოიმატა.“

იოსებმა მოახსენა ფარაონსა: „როცა სიზმარი ერასა და იმავდროს ამის მოახსენებს. ამ სიზმარებით უფალი ატყობინებს ფარაონს მომავალსა. შვიდი მსუქანი ძროხა და შვიდი სრული თავთავი ნიშნავს შვიდ მოსავლიან წელიწადსა, ხოლო შვიდი ვამხდარი ძროხა და შვიდი ფშუტა თავთავი მოასწავებს შვიდ შიმშილობის წელიწადსა. აი დაეჯება ახლა შვიდი მოსავლიანი წელიწადი და გაივსება ეგვიპტე დიდობითა, მაგრამ ამ დალოცვილ დროს მოაყვება შვიდი საშინელი შიმშილის წელიწადი. ეს რომ უფლად აცხადებება და არ დაიგვიანებს იქიდანა ჩანს, რომ ერთი და იკრე ფარაონს უნახავს ორჯერ, ამიტომ, - გაავრძელა იოსებმა, - ფარაონმა უნდა ინებოს ბრძენი და საზრიანი კაცის პოვნა და დაადგინოს იგი მთელი ეგვიპტის მზრუნველად. ამ მზრუნველმა უნდა შვიდი წლის განმავლობაში აკრიფოს მთელ სახელმწიფოში მებაღედი ნაწილი ყოველკვარი მოსავლისა და შეინახოს დიდ ბეღლებში, რომ შემდგომ შიშველ წელიწადებში მთელი ქვეყანა შემშილით არ დაიღუპოს.“

ფარაონს შეტად ჰკუთაში მოუვიდა სიზმრების ახსენა და ძალიან მოეწონა იოსების წინადადება. ამიტომ სთქვა: „სად ეპოვებ იმისანა და ვინა და საზრიან კაცსა, როგორც შენა ყოფილხარ? მენით ღამა-ტაკობს მცირე უფალი, და შენვე დაგადგენ მთელი ეგვიპტის ქვეყნის უფროსად. ყველა შენ სიტყვას დაემორჩილება და უშენოდ არაფერი არ გაკეთდება ჩემ საბოძანებულში. მარტო შე ვიქნები შენზედ უფროსი.“ ეს რომ სთქვა ფარაონმა, გამოიძრო ბეჭედი ხელიდან და ვაუკეთა იოსებსა. ახალციხე ჩამოაქიდა კისერზედ ოქროს ძეწყვი და ბრძანა ჩაე-

ცმობათ ძვირფასი ტანისამოსი, ჩაესვამ მდიდრულ ეტლში, ეტარებინათ
და თვეი ყველას დაეკრა მისათვის. იოსები ამის შემდეგ გახდა მეო-
რე კაცი მთელ ეგვიპტეში და მარათადა მთელ სახელმწიფოსა. ამ
დროს იგი იყო ოცდაათი წლისა.

როგორც იოსებმა სძქვა, ყველაფერი სწორედ ისე ასრულდა. შემ-
დგომი წლიდან დაიწყო მშვენიერი მოსავალი მთელ ეგვიპტეში და მთე-
ლი შეიღი წლის განმავლობაში არ შემცირებულა. ამ დროს იოსებმა
ღიძძალი პური და ყველა ჭირნახული შექურბა ბელღებში. შემდეგ დაე-
გა მტყნარად მშვიერი, სრულიად უმოსავლო დრო და გასტანა მთელი შეი-
ღი წელიწადი. გარეშემო ქვეყნებში პირველსავე შიმშილობის წელიწადს
შემოაკლდა ხალხს პური და რომ შეიტყვეს ეგვიპტეში ბევრი ჭირნახუ-
ლია შეგროვებულთ, იწყეს აქეთკენ დენა პურის სასყიდლად. იოსები
უარს არავის ეუბნებოდა, რადგანაც ჭირნახული იმდენი აქონდა მოგრო-
ვილი, რომ ეყოფოდა ეგვიპტესაც და სხვა ქვეყნებსაცა. ასე გადაარ-
ჩინა იოსებმა ეგვიპტე შიმშილისაგან დაღუპვას და მასთან გაამდიდ-
რა ფარაონის ხაზინა.

იოსების ძმების მისვლა

ეგვიპტეში

(დაბ. 42, 1-38).

შიმშილობა მართო ეგვიპტეში როდი დაუგა. იგი უკვე ქანაანის
ქვეყანასაც, სადაც ცხოვრობდა იაკობი თავის შვილებთან ერთად. ია-
კობმა რომ გაიგო ეგვიპტეში პურსა შეიღიანო, გაგზავნა თავისი შეი-
ღები პურის სასყიდლად. ათი უფროსი ძმა გაუფგა გზასა, მეთერთმეტე
კი, სულ უმცროსი, რომელსაც სახელი ბენიამენი ერქვა, შინ, მამას-
თან, დარჩა. როცა ეგვიპტეში მივიდნენ, ათივე ძმა გამოცხადდა

იოსებთან, როგორც მთელი იმ ქვეყნის უფროსთანა და თავი ვეღარ
მიწამდის დაუტრეს. ვერც ერთმა ძმამ იოსები ვერ იცნო, იმიტომ
კაი ხანი გავიდა, რაც მათ იგი გაყიდეს და იოსები პატარა ყმაველ
ლიდან მასუკან გადაიქცა სრულ, წარმოსადევ კაცად. ამის გარდა,
ძმებს სრულიადც ვერ მოუვიდოდათ ფიქრად, თუ იმათი ძმა, მონად
ბოლოს ისრავლნი მიუახლოვდნენ იმ ქვეყანას, სადაც ისინი მი-
 უყავდა ღმერთსა. შესვლამდის მოსემ, ღვთის ბრძანებით, გაგზავნა
 თორმეტი კაცი ისრავლთა თორმეტი ტომიდან იმ ქვეყნის დასაზვერა
 და გასასინჯადა. მათ ჩემად უნდა დაეარათ ეს ქვეყანა და შეეტ-
 ყოთ: როგორი მიწაა, რამდენად ნაყოფიერია, რამდენი მცხოვრებია,
 რამდენად მამაცნი და მძღვერნი არიან ისინი. თორმეტმა გაგზავნი-
 ღმა დამზვერავმა მშვიდობიანად შეასრულა მინდობილი საქმე და ო-
 მოცი დღის შემდეგ უკანვე დაბრუნდა. თან მათ მოიტანეს იქაური ხი-
 ღი სარეწენებლად და უახრეს ხალხს: „მარტო იმ მიწას გამოსდის რძე
 და თაფლი, ე.ი. იგი არის მდიდარი, მშვენიერი და ნაყოფიერი იალ-
 ღებითა და სავსეა წაბკრითა, მაგონა იქ მცხოვრები ხალხი ეთნო-
 ტად მძღვერი და ცხოვრობს დიდ და ძალიან გამაგრებულ ქალაქებში.



ამასთან ათმა მზევრავთავანმა თავისი დაუყვირვებელი ლაპარაკით ხალხი შიშში ჩააგდო: „ჩვენ იქ ისეთი ვოლიათები ვნახეთ, რომ მათთან ჩვენ ვამოვრნდით ქინკლებად.“ ამ სიტყვებმა აღძრა ხალხისათვის საშინელი ყვირილი, კივილი, კენესა-ჩივილი მოსებზე და ღმერთზე-და: „ჩვენ ღმერთს იქ სწორედ დასახოცად მიგყვეართ და ჩვენი ცოლ-შვილი დასატაცებლად ქანაანელთა ხელით! ის არა სჯობიან, რომ ისევ ეგვიპტეში დავბრუნდეთ?“ - ერთმანეთში იწყეს მოლაპარაკება და პერადენენ პირობასა, რომ ამოერჩიათ ახალი წინამძღვარი, და დაბრუნებულიყვნენ ისევ ეგვიპტეში.

მოსე, აჰრონი, ისო, ნავე და ქალევი ძალიანა სწუხდნენ ამ ხალხის უჯუნჯრებას და ეხვეწებოდნენ: „ღმერთი მოწყალეა ჩვენს; იგი შეგვიყვანს იმ ქვეყანაში, ნუ ხართ მისი წინააღმდეგი; ნუ გეშინიანთ ქანაანის მცხოვრებლებისა, მათ მშველელი არავინა პყავთ, ჩვენთან კი არის ღმერთი!“ მავრამ ხალხი უფრო გაცეცხლდა და იწყო ყვირილი: „ჩავქოლოთ ეგენი ქეთთა!“ მავრამ ამ დროს ღრუბლის სვეტმა, რომელიც კარვის თავზედ იდგა, საშინლად გაანათა - ეს უფალი გამოცხადდა. შელოი იმწამსვე დაშშვიდა. უფალმა უხრა მოსეს: „რამდენი ხანი უნდა მავრის მე მავ ხალხმა? რამდენი ხანი უნდა იყვნენ ჩემი უწმუნო? გავაწყობ მავათ ღედამიწის ზურგადან და შენგან წარმოვშობ უფრო მრავალს და ძლიერ ხალხსა.“ მოსემ დაუწყო ხვეწნა და ვედრება ღმერთსა: „უფალო, მიუტევე ამ ხალხს ეს შეცოდებაც შენი ღიღი მოწყალების გამო, როგორც აქამდე მიგატეგებია მისთვის სხვა შეცოდებანი.“ უფალმა უბასუხა: „მომიტეგებია შენი ღოცვის გამო. მავრამ ამასთან ხალხს გამოუხბაღე: არ ედირსება ქანაანის ქვეყანას ეგ ბოროტი და სუღმოკლე ერი, რადგანაც მრავალჯერ წინ აღმიდგნენ მე; ორმოც წელიწადს იწინაწადებენ უდაბნოში, მანამ არ ამოიხოცებიან ყველანი ოც წელიწადზედ უფროსნი. მე მხოლოდ მათ შევიღე-

ბს შევიყვანე ალექსანდრე ქვეყანაში და დავუმიჯვინებ მათ. ხვალვე უა-
ბრუნდით წითელი ზღვის პირას.“ აჯანყების მოთავენი, ათნი დაწინა-
რადნი, მაშინვე იქმნენ დასჯილნი: ისინი უკებ დაეცნენ მიწასზე
და დაიხოცნენ. მტრად დაღონებულ-დაძმარებულნი ისრადენი გაბრუნ-
დნენ უკანა და ორმოცი წილწიადი დაეხეტებოდნენ უდაბნოში და გაა-
დოდადნენ ერთი ადგილიდან მეორე ადგილზე.

ს ა ნ ე ნ ძ ი ს გ ვ ე ლ ი
(რიცხვ. 21, 6-9).

ვერავითარმა საშინელმა სასჯელმა ვერ ასწავლა ტყუა ისრაელ-
თა და ვერ გადააჩვია ისინი ღვთის ურწმუნობას და წინააღმდეგობას.
სა. წამდაუწუმ ასტებდნენ ხოლმე ისინი ჩივილს და საყვედურს ღმ-
რთისა და მოსეს მიმართ და ღვთის რისხვას დაიშინებდნენ ხოლმე.
ყოველ ამისთანა შემთხვევაში მოსე იყო მათი მოსარჩლე, შეამაგლ-
ბდა უფლის წინაშე, შეეგებებოდა ხოლმე და აბატობინებდა ურწ-
მობასა და წინააღმდეგობასა.

ერთ ადგილას ღმერთმა დაახვია ისრაელთა მათი ურწობის და
კერპობის გამო შხამიანი გველები. ძალიან ბევრი ხალხი დაიხოცა.
ისრაელნი შეიკრიბნენ მოსესთანა და სახოვეს: „დამნაშავენი ვართ,
გახოცეთ, გვაბატოთ და შეეგებდით ჩვენთვის ღმერთსა, რომ მან დაგუ-
ხნას ამ შხამიანი გველებისაგან.“ მოსე შეეხვეწა ღმერთსა და
მან მიუტევა ისრაელთ შეცოდება და უშველა ამგვარად: უბრძანა მო-
სეს გაეკეთებინა სპილენძის გველი და ჩამოეკიდნა მადლ საჩუქად.
„ვინც დაშხამული იქნება გველისაგან, უნდა იმ გველის სახეს შეხ-
დოს და გადურჩება სიკვდილსა,“ - უბრძანა უფალმა მოსესა. მოსემ
ასრულა მაშინვე ღვთის ბრძანება და მას უკან ვინც კი დაშხამულ
შეხვდავდა ამ სპილენძის გველს, ყველანი უვნებლები ხდებოდნენ.

ეს სპილენძის გველი ისრავლთ მას უკან შენახული პქონდათ თავის
კარავში სახსოვრად სასწაულისა.



მოსეს სიკვდილი

(რიცხვ. 20, 1-29; 2 სჯ. 3, 24-27; 4, 1; 34, 1-7).

ლოცვი წლის მოგზაურობის მანძილზე უდაბნოში ეგვიპტიდან გა-
მოსული ყველა მოზრდილი ებრაელი დაიხოცა გარდა ისო ნაფესი და ქა-
ლემისა. დმერთმა არ აღიარა მათ შესვლა და ნახვა ქანაანის ქვეყ-
ნისა მრავალი შეცოდეების კვამი. არ ეღიროსნენ აღქმის ქვეყანაში
შესვლასა არც აპრონი და არც მოსე. არ ეღიროსნენ იმიტომ, რომ ერას
შემთხვევაში სწორედ არ აასრულეს მათ ღვთის ნება და ეჭვის სიტყვა
გააგონეს ხალხს. საქმე მოხდა ამგვარად: მიახლოებულნი იყვნენ ის-
რავლნი ქანაანის ქვეყნის საზღვარსა, როდესაც მათ წყალი შემოაგუ-
დათ; სუდმოკლე ხალხმა მაშინვე დაუწყო ჩივილი მოსეს: „რად გამოგ-
ვიყვანე ეგვიპტიდან ამისთანა უდაბურ ადგილას, სადაც არც ნაყოფია
რამე და არც წყალი მოიძიება დასადევადო?“ შეწუხებული მოსე და
აპრონი შევიდნენ კარავში და იწყეს ლოცვა უფლისადმი. უხალმა უბრ-
ძანა: „შეუკრიბეთ მთელი ხალხი ერთად და ყოველთა წინაშე უბრძანეთ
კლდისა წყლის გამოღება. მოსემ აიღო თავისი კვერახი, მიიყვანა
ხალხი კლდის ძირსა და გაჯაფრებით უბრა: „ექვე ურჩნო, რომ ყვი-
როთ წყალი-წყალიო, საიდან გავაჩინოთ ჩვენ იგი თქვენთვის? განა
ამ კლდიდან შეიძლება გამოვაღინოთ ჩვენ წყალი? და გაჯაფრებულმა
ორჯულ ზედიზედ დაუკრა კლდეს კვერახი და კლდიდან მაშინვე წყალმა
უბნად დაიწყო ღენა და ხალხი დაეწაფა მას, აქ მოსეს სამი შეცდომა
მოუვიდა და დმერთს აძიოთ ძალიან აწყენინა: უბრ ეჭვით უბრა ხალ-
ხსა, „განა ჩვენ შეგვიძლია ღვთის ძალით აქედან წყალი გამოვიყვა-

ნათქვამი? ამ სიტყვებით მან თავისი ექვემდებარება ხალხის წინაშე
ღვთის შემძლებლობაზე, როდესაც რომ იგი ვადღებულ იყო მისი
და შეურყეველი საჩუქრულობა და იმედი ღვთისა ეტყენებინა ხალხისა.
თვის, რომელიც უამისოდაც ბევრჯერ იჩენდა ზრწმუნობასა; მეორე,
მოსეს, ღვთის ბრძანების თანახმად, კლდისათვის უნდა ებრძანებინა
წყლის გამოღენა და არა ჯობი დაეკრა; მესამე: ერთის მაგისტრად, ორ-
ჯერ დაჰკრა ჯობი, თითქო ერთის დაკვირვით ღმერთს არ შეეძლო წყალი
გამოეღინა კლდიდან, ამიტომ უფალმა უთხრა მოსეს და აჰრონს: არა-
განაც თქვენ ხალხს ჩემს შემძლებლობაზედ ეჭვის სიტყვა გააგონეთ
და მაგალითი არ აჩვენეთ, თუ როგორ მტკიცედ უნდა ექნამდე, ამიტომ
თქვენ არ შეიყვანეთ ამ ხალხსა აღქმულ ქვეყანაში.“

აჰრონი მოკვდა მოსებზე ადრე. აჰრონი იყო მღვდელმთავარი ის-
რაელთა. სიკვდილის წინ იგი, ღვთის ბრძანებით, ავიდა ერთ მთაზედ
მოსესთან და თავის უფროს შვილთან ერთად. იქ მოსემ, მთელი ხალხის
თვალწინ, გახადა აჰრონს მღვდელმთავრის ტანისამოსი და ჩააგვა-
მის შვილს, რომელსაც მამის თანამდებობა ჩააბარა. ცოტა ხანს უ-
ამ მთაზედ მოკვდა აჰრონი.

მეორმოცე წელიწადი რომ თავდებოდა, ისრაელნი მიადგნენ ქანა-
ნის ქვეყნის საზღვარს. ამ ქვეყნიდან მათ შუთვდათ მარტო მდინარე
იორდანე. მოსე ევედრებოდა ღმერთსა, რომ მას ეღიარებინა მისი სა-
ყვარელი ხალხის შეყვანა ამ ქვეყანაში, მაგრამ უფალმა ბრძანა: არ
მთხოვ მაგას, აღი ახლო მთაზედ, იქიდან გადახედე ქვეყანას, რომ-
ელიც შე მიგეცე ისრაელის ხალხსა, და მოკვდი, იქ შენ ვერ შეხვალ.
მოსემ დაიწყო მომზადება სასიკვდილოდ. იგი ვამოესაღმა მთელ ხალხს
შეებვეწა ყველას რომ ყოფილიყვნენ. მორწმუნენი და მორჩილნი ღვთი-
სანი, არ დაევიწყებინათ მისი სიკეთე და მზრუნველობა და წინადა-
შეურყევლად დაეცვათ მისი კანონები და ბრძანებანი.

ბოლოს მოსემ აკურთხა მიელი ხალხი, ავიდა ახლო მთაზედ, და-
ხედა აღთქმის ქვეყანასა და მიაბარა უფალს თავისი ღვაწლით საგსტ-
სული. მისი უკანასკნელი სურვილი და ვედრება იყო თავისი ხალხის
ბედნიერება, რომელსაც მან ყველაფერი შესწირა.

მის სიკვდილს არავინ დაესწრო, ასე იყო ნება ღვთისა.

მოსეს გვამი დამარხეს ანგელოზებმა და მისი საფლავი უცნობი
დარჩა ყველასათვის. მოსე მოკვდა ას ოცი წლისა.

მოსემ თავის შემდეგ დატოვა ხუთი წიგნი. ამ წიგნებში მან
ჩასწერა ყველაფერი, რაც კი ღმერთმანა შექმნა ადამიანთათვის ქვეყ-
ნის შექმნიდან დაწყებული მოსეს სიკვდილამდის; აგრეთვე შიგ მოაქ-
ცია რაც კი უფალმან სხვადასხვა დროს ასწავლა ადამიანებს და გა-
მობატა შიგ სჯულნი და კანონნი, რომელიც ღმერთმა ისრაელის ერს მი-
სცა. რაც აქამდის გვიამბნია, ყველაფერი ამ წიგნებიდან არის ამო-
ღებული. მოსე თვითონ როდი სთხზავდა, ის სწერდა მას, რასაც ღმერ-
თი აგონებდა და ასწავლიდა. ამიტომ მის დაწერილ წიგნებს შევითა
„სიტყვა ღვთისა“ ანუ „საღმრთო წერილი.“

შ ე ს ვ ლ ა ი ს რ ა ე ლ ი ს ე რ ი ს ა

ა ღ თ ქ მ ი ს ქ ვ ე ყ ა ნ ა შ ი

(ისო ნავ. I, I-17; 4, 18-23; 5, 12).

მოსეს სიკვდილის შემდეგ ისრაელის ერის წინამძღვრად გახდა
ისო ნავე, თანახმად ღვთის ბრძანებისა. როგორც მოსეს დროს, ისე
ებდა უფალი შველიდა თავის ერსა. ჩაიბარა თუ არა ისო ნავემ წინა-
მძღვრობა, ღმერთმა მაშინვე უბრძანა მას იორდანეში გაეყვანა ხალ-
ხი. იმ დროს გაზაფხული იდგა, წყალი აღიდებული და დიდ მანძილზე
იყო მოღებული. ღვთის ბრძანების თანახმად ისო ნავემ უბრძა მღვდ-

ლეხსა: „აიღეთ ხელში სჯულის კიდობანი, გაუძებით წინ ხალხსა, შე-
 სტოპეთ იორდანეში და გაჩერდით შიგათ.“ რაწამს მღვდლებმა შეხვედნენ
 ფეხი მდინარეში, მაშინვე მათ ზევით რომ წყალი იყო, გაჩერდა და
 მათ ქვეით მყოფი წყალი კი წავიდა. როცა გამოჩნდა ფსკერი, ხალხ-
 მა დაიწყეს გასვლა იქითა ნაპირზე; ამ დროს მღვდლები სჯულის კიდი-
 ბნით ერქსა და იმავდ ადგილას უძრავად იდგნენ მანამ მივლი ხალხი
 არ გავიდა. მერე თვითონაც გავიდნენ იქითა ნაპირზე. დამავეს თუ
 არა მღვდლებმა იქითა ნაპირს ფეხი, გაჩერებულმა მდინარემ ისევ
 იგრილა და დაეშვა ჩვეულებრივად. ქვევით მანამ ეს მოხდებოდა,
 ისო ნავემ ამოაღებინა მდინარის დამშრალი უფსკრულიდან თორმეტი
 ქვა და ააგებინა მდინარის პირას პატარა ძეგლი. „როცა აქვენი შე-
 ლნი და შევიღისშვილნი გკითხავენ, - უთხრა ისო ნავემ, - რად არის
 ეს ქვის ძეგლი აშენებულიო, აქვენ მათ ეტყვიან: იგი არის აგებული
 იმის სახსოვრად, როცა იორდანეს წყალი გაიღო სჯულის კიდობნის წი-
 ნაში და ვხა მისცა მას.“

ამ სასწაულმა ცხადად დაანახვა ხალხს, რომ მათ ახალ წინამ-
 ძღვარსაც ღმერთი ისე შეეწევა, როგორც შეეწეოდა მოსესსა. რაკი მდ-
 ნარე იორდანეს იქით მოექცნენ ისრაელნი, ღმერთმა ცის მანანა მო-
 კლო, რადგანაც ახლა ამ ქვეყნის ნაყოფით შეეძლო მათ თვის გამო-
 ცემა.

დ ა მ თ რ ჩ ი ლ ე ბ ა ა ლ თ ქ მ ი ს ქ ვ ე ყ ნ -
 ი ს ა ი ს რ ა ე ლ თ ა ვ ა ნ

(ისო ნავ. 6,1-24; 10, 12-14; 13, 7-14; 24,1-33.).

ქანაანის მიტოვებნი იყვნენ მრავალნი და ძლიერნი, მაგრამ
 მათ შორის მტრად გაფრცხლებული იყო აბეზრობა და გარყვნილება.

ამიტომ ღმერთმა გადასწყვიტა დაესაჯა ისინი. მან დააძლევინა ისინი ისო ნავეს.



პირველ ქალაქს, რომელსაც შიდაჯგაბ ისო ნავე ასაღებდა, ერქვა იერიქონი. იერიქონი იყო დიდი და გამაგრებული ქალაქი. მის აღებვას ისრაელნი ვერ შეძლებდნენ უფალი რომ არ დახმარებოდა. დაფიქრებულ ისო ნავეს გამოეცხადა უფალი და უხბრა: „ნუ გეშინია, მე ჩაგაგდებინებ შენ ხელში იერიქონსა და მის მიწესა.“ ღმერთის სიტყვით, ისრაელთ ასწიეს სჯულის კიფობანი, და იერიქონის კედლებს გასს შემოეცლენ. სჯულის კიფობანს უკან მისდევდნენ მღვდლები და ჯარი. ასე უარეს ვარშიმუ ექვს დღესა. ბოლოს, როცა მიშვიდე დღეს მიშვიდედ შემოუარეს, მღვდლებმა საყვირები დაუკრეს და მიღმა ხაღმა საშინლად დაჰკვიცა. იმავე წამს ქალაქის კედლები დაიქვა, თავზარდაცემულმა მცხოვრებლებმა ვეღარა გააწყვეს რა, ისრაელნი ზაუბრკოლებრივ შევიდნენ იერიქონში და დაიმორჩილეს ის.

იერიქონის აღების შემდეგ ისო ნავემ მალე დასძლია და დაიმორჩილა ოცდაათ სამეფოზედ მტრი. თუ რა ცხადად ეხმარებოდა მას ღმერთი, გვიჩვენებს შემდეგი შემთხვევა. ერთი ბრძოლის დროს ისო ნავეს საღამო კამმა მოუსწრო. მზის ჩასვლამდის ისე ცოტა დროდა იყო დარჩენილი, რომ მტრის დამარცხებას ვერ მოასწრებდა. მაშინ ისო ნავემ, ღვთის იმედით სავსემ, აიხედა ზევთში და შესძახა: „დადექი მზეო და ნუღარ იძვრი, მთვარე!“ იმ წამსვე მზეც გაჩერდა ერთ ადგილსა და მთვარეც შესდგა, მანამ ისო ნავემ არ გაიმარჯვა და არ დაამარცხა მტერი.

ბოლოს მიღლი ქანაანის ქვეყანა დაიმორჩილეს. მაშინ ისო ნავემ შეუდგა მის გაყოფას. მიღლი ქვეყანა გაჰყო თერთმეტ ნაწილად და მერე წილი აყრდევინა იაკობის თერთმეტი შვილის შიამომაცვლებს. რომელსაც რა ნაწილი ხედა წილად, იქ დაბინავდა. იაკობის მეორ-

მეტე შვილის, ღვიის, შთამომავალს კი არა რგებია ცალკე საცხოვრებელი ადგილი, რადგანაც ისინი იყვნენ საყდრის მსახურნი და ვეღარც ღებან უნდა პქონადათ წილი.

რადგანაც ისო ნავე შეიქნა ას ათი წლისა, მან იგრძნო სიკვდილის მოახლოება და მოინდომა ხალხთან გამოსაღმება. მოუწოდა თავისთან მთელ ხალხს, აკურთხა და დალოცა ისინი, მერე მოაგონა მათ ყოველივე სიკეთე და შეწევნა ღვთისა და ურჩია მტკიცედ დაეცვათ სჯული ღვთისა და ყოფილიყვნენ მისი ერთგულნი. „ვეშინოდეთ ღვთისა და აღასრულებდეთ ყოველსა, რაცა დაწერილია მოსეს სჯულში. ნუ დაუშვებთ რაიმე სხვა ხალხებსა, ნუ ემსახურებთ მათ ღმერთებს, არამედ იყავით ერთმანეთის ერთგულნი და ააყვანისმცემელი ჭეშმარიტი ღმერთისა.“ მთელმა ხალხმა დაიფიცა ისო ნავეს წინაშე, რომ ისინი არასდროს არ გადაუღებიათ თავის ყოვლად მოწყალე ღმერთსა და არასცემენ ააყვანს უცხო ხალხების ღმერთებს

დ რ თ ნ ი მ ს ა ჯ უ ლ მ ა ნ ი

(მსაჯ. 4,4-15; II,29-40.)

ისო ნავეს სიკვდილის შემდეგ ისრაელნი ჩქარა გადაუდგნენ თავის აღქმას და ფიცსა: ერთმანეთში ხშირად ჩამოუფარდებოდათ ხოლმე განხეთქილება და სიძულვილი, იჭერდნენ მეგობრობას კერძო ააყვანისმცემელ ხალხებთან, ააყვანსა სცემდნენ მათ ღმერთებსა და იფიწყებდნენ თავის ჭეშმარიტ ღმერთს. ჭკუაზედ მოყვანისათვის და მორჯულებსათვის ღმერთი ისრაელთ მისცემდა ხოლმე დროებით ბატონად სხვა ხალხს, რომლებიც ქანაანის ქვეყნის ჭარბიმო ცხოვრობდნენ. ეს ხალხები დაეცემოდნენ ხოლმე ისრაელთ, სძლედნენ მათ და არბედნენ. უბედურება უბედდა თვალს ისრაელის ხალხსა თავის შე-



ცოდებაზე და აკონებდა გვერდითი ღმერთსა. მტრებისაგან ილაჯდა წყნობითი ისრადენი მიიტყუოდნენ ხოლმე უფლისაჲს და ევედრებოდნენ, რათა მას ეშველა და ვამოეხსნა მტრების ხელიდან. მაშინ უფალი მათ შორის ამოარჩევდა ხოლმე რომელსამე ღირსეულ კაცსა, რომლის ხელითაც ათავისუფლებდა მთელ ხალხს მტრებისაგან. ეს უფლისაგან დადგენილი პირნი არამც თუ წინამძღოლნი იყვნენ ხალხისა, არამედ ეპარტადნენ მას, სამართალს უჭირდნენ, ანუ ყოველ საქმეს განსჯიდნენ ხოლმე. ამიტომ მათ დაეკრევათ სახელად მსაჯულები.

სულ ვამოიცვალა ისრადელის ერში თორმეტი მსაჯული. მათ შორის ერთ-ერთი ქალი დებორა, ცალი ლაფიჭუდისი, რომელიც მამულის დიდი სიყვარულით, ხალხის ერთგულებით, გვერდითი ღმერთს თაყვანისცემით ყველა მამაკაცებზედ მაღლა იდგა და ამიტომაც იგი ღმერთმა მსაჯულად აღნიშნა ისრადელთა შორის.

ამ მსაჯულთა ღრის ერთმა გასათხოვარმა ქალმა გამორჩინა მეტად დიდი სიყვარული და თავგანწირულება თავისი სამშობლოს უფლისათვის. მისი მამა იეფთაე, რომელიც ამ ღრის მსაჯულად იყო, იმეო მიდიოდა და ღმერთს ამისთანა აღიქმა დაუდო: „თუ მე ამ იმეო გამარჯვებას მომანიჭებ და ჩემს სამშობლოს გამოვიხსნი, რაც პირველად წინ შემხედება ომიდან შინ დაბრუნების ღრის, მსხვერპლად შემოგწირავო.“ მოუმართა ღმერთმა ხელი და მტერი დაამარცხა. გამარჯვებული მსაჯული დიდის სიხარულით მოდიოდა შინ. ამ ღრის ყველაზე პირველად მას გამოეგება წინ სიმღერით შედისერათ გასათხოვარი ქალი. მამის საშინელი ელდა ეცა, როცა თავისი ერთად-ერთი საყვარელი ქალი დაინახა ყველაზედ წინ მოგებულნი და მოაჯონდა თავისი აღიქმა. ქალმა ჰკითხა მამის ეაემის მიწეში და როცა იგი გაიჭო, უპასუხა: „ნუ ყუყმანობ და ნუ სწუხარ: მე შიდად ვარ ჩემი ხალხის ბედნიერებისათვის თავი შევწირეთ უფალსა, მხოლოდ ამასა ვაბოც ორი თვე მადროვო, რამ ჩემს ერთგულ ამხანაგებთან ვამოფიქროვო ჩემი ქალწულობა.“ მათ-

რამ ყოვლად მოწყვალე ღმერთმა არ გაიმეტა ქალი მსხვერპლად შენი.
ვისათვის და მის მიმას ჩააგონა, რომ თავისი ქალი საყდრისად
მსახურად შეეწირა.

ბ ე დ ე ო ნ ი ღ ა ს ა მ ს ო ნ ი
(მსაჯ. 6, 11-40; 7, 1-24; 8, 22-23; 14; 15; 16.).

ყველაზე შესანიშნავი მსაჯული ისრაელთა შორის იყო გედეონი. ერ-
ხელ ისრაელნი, თავისი ურწმუნოების და ღმერთის დაღიწყების გამო,
ჩაცვიფდნენ საშინელ ტანჯვაში. ერთი ახლო მცხოვრები ხალხი დაეს-
ხმებოდა ხალხმე თავსა, აწიოკებდა, არბევდა, ნახნავ-ნაძისს უნად-
გურებდა, სტაცებდა საქონელსა და ბევრს კიდევ სხვა ვაი-ვაგლახს
აყენებდა მათ. შვიდ წელიწადს იყვნენ ამისთანა უბედურებაში ისრა-
ელნი. როცა ბოლოს მათ იღაჯი გაუწყვიტა შიშმა და შიშმიღმა, მი-
გონეს ღმერთი და მხურვალე გულით შესთხოვეს შველა. მაშინ ღმერ-
მა მათ შორის აღადგინა მსაჯულად და ხალხის გამომხსნელად გედე-
ონი.

ზაფხული იყო და გედეონი, ჯერ ისევ ახალგაზრდა ყმაწვილი
თავის მამის კალოზედ ბურის ღეწვას ეჩქარებოდა, რადგანაც უნდ-
და საღმე ტყეში გაქცეოდა მტრებსა, რომლებიც ის იყო შემოესივნენ
ასაკლებად ისრაელთა ქვეყანას. უცებ გამოეხსნა მას ანგელოზი და
უთხრა: „ღმერთი არს შენთან, მაშაცო კაცო!“ გედეონმა ფრ იღწი
ანგელოზი და მიუგო: „ახ, ჩვენთან რომ ღმერთი იყოს, ხომ ამისთან-
ა უბედურება აღარ დაგვემართებოდა! არა, ეტყობა უფადმა სარული
დაგვიფიწყა.“ „ადექი, წადი და იხსენ ისრაელნი ან უბედურებისა-
გან, მე ვაგზიანნი შენა!“ - უთხრა ანგელოზმა. გედეონმა უპასუხა:
„სად შემიძლიან ისრაელთა გამოხსნა ერთი უკანასკნელთაგანი ვარ
ისრაელთა შორის.“ ანგელოზმა მიუგო: „მე ვიქნები შენთანა და შენ

დასძლევე მტერსა.“ გედეონმა იპოქრა, ეს უულოდ წმინდა კაცი ვინ-
მეა, უფლისაგან გამოგზავნილიო, დაპატიებება მოინდომა, გაიქცა ში-
ნა, მოარბენინა ხორცი და პური და მოიპატიება. ანგედოზმა გედეონს
გოტანლი საჭმელი ქვაზედ დააწყობინა და თავისი კვერახით შეეხო
მას; უცებ ქვიდან გამოტყვრა ცეცხლი და დასწვა, რაც ზედ იდგა. ამ
დროს ანგედოზიც გაქრა. გედეონმა ახლა კი შიშით დაინახა, თუ რა
არსებობსთან ქქონდა მას საუბარი.

ანგედოზის გამოცხადებამ და მისმა სიტყვებმა ცხადად დაარწმუნ-
ნეს გედეონი, რომ იგი უფლისაგან იყო ამორჩეული თავისი ხალხის ვა-
დამსხნელებად. ამიტომ მან, გაგზავნა სხვადასხვა ქალაქებში კაცები და
დაიბარა ისრაელნი თავისთან მტერზედ ჭალაშქრებისათვის. მსურველნი
ბევრნი გამოჩნდნენ და გედეონთან მოიყარა თავი ოცდაათიათას კაც-
ზედ მომეტებულმა, რომელნიც კიდევაც მომზადებულნი იყვნენ საომრად.
გედეონი შეეხვეწა უფალსა: „არაიმე ნიშნით მაცნობე, დავძლევე მტერს
ამ ჯარით თუ ვერაო: აი, ჩემს კალზედ გავშლი მატყლსა, - ეუბნე-
ბოდა უფალსა გედეონი ლოცვაში, - და თუ ამადამ მარტო იგი დაინამე-
ბა, სხვა კი ყველაფერი დედამიწაზედ ვშრალი იქნება, მაშინ დავრწ-
მუნდები, რომ შენი მიშეგობით უულოდ გამოვიხსნი ისრაელთა.“ უფალმა
მისცა გედეონს ეს ნიშანი. მეორე ღილაზედ მთელი დედამიწა ვშრალი
იყო და მატყლი კი სულ ნამით იყო სველი. გედეონს უნდოდა, რომ უფ-
რო მტკაცედ დარწმუნებულყო უფლის შეწვევაში და ამიტომ ისევ შეე-
ხვეწა: „უფალო, ნუ გამოირისხდები, ერთხელ კიდევ მომიცი ნიშანი ამ
მატყლზედ შენი შემწეობისა; ამადამ კიდევ დავდებ კალზედ და დავ,
იგი ვშრალი დარჩეს და მთელი დედამიწა კი დაინამოს.“ სწორედ ისე
მოხდა, როგორცა სთხოვა გედეონმა.

ამის შემდეგ, იმდროს სავსე გედეონი თავისი ჯარით წავიდა პირ-
დაპირ მტერთან საბრძოლველად, მაგრამ უფალმა ნება არ მისცა გედეონს

ამოღენა ჯარი წიგნებისა თანა. „შესაძლებელია, - ეხებებოდა უფრო
გედონსა, - ისრადენი გაამპარტავდენ მტრის დამარცხების შემდეგ
და სთქვან: ეს ჩვენ საკუთარი ძალით და სიმარჯვით გამოვიხსენით
თავი,“ ამიტომ უფალმა უბრძანა გედონსა, რომ მას ამოერჩია ამ
ჯაროდან მარტო სამასი კაცი და სხვანი კი დაეთხოვა სახლებში.
მართინ ცხადი გახდებოდა ყველასათვის, რომ მხოლოდ ძალით დღესათ
გამოიხსნა ისრადენი მტრის ხელიდან. ამ ერთბეშო ჯარით მიუხალო
ვდა დამით მტრის ჯარის ბინასა გედონი და მის დასამარცხებლად
იხმარა შემდეგი ხერხი: ყველა თავის ჯარისკაცს მისცა საყვირი,
ანთებული მამხადა და ქოთანნი, სადაც ეს მამხადა უნდა დაეშალა.
მერმე ყველას უბრძანა, გარს შემოტყუმოდენ ჩუმაღ მტრის ბანაკსა
და უთხრა: „როცა მე საყვირს დაგუკრავ, დაუპარიოთ თქვენ ყველამ ეს
მამხადა და დაჰკვივლეთ: „მახვილი ღვთისა და გედონისა თქვენსად
ზედ!“

ყველა სწორედ ისე მოემზადა როგორც გედონმა უთხრა: როცა
გაიგონეს თავისი წინამძღოლის საყვირის ხმა, ჯარისკაცებმა ერთ-
ბაშად დააყვირეს საყვირნი, დაამსხვრიეს ქოთანები, ამვირეს მად-
ლა მამხალები და საშინელი ხმით დაიძახეს: „მახვილი უფლისა და
გედონისა.“ ამ ხმამ უცებ გამოადგინა მტრის ჯარი. ისინი წამოდ-
ვიდნენ ფეხზედ თავზარდაცემულნი, გულგახეთქილები, ეგონათ უნდა-
ღესი ჯარი დაგვესხაო, აირივნენ, დაიბნენ სრულიად და ბნელში გა-
იქცნენ მინდვრისაკენ. ერთმანეთისას ვეღარას იტყობდნენ, თავისი
ამხანაგებიც ისრადენი ეგონათ და ერთმანეთს ხოცავდნენ. გედონმა
დიდ მანქილზედა სდია მათ და დაატყვევა ყველა უფროსები და მიწე-
ები ჯარისა. თითქმის მთელი ჯარი მტრისა დაიღუპა ამ ბრძოლის დრ-
ის. ამის შემდეგ ისეთი შიშით ჩამოცარდა იმ უცხო ქვეყანაში, რომ
ისრადელთა შეწუხება ფიქრადაც აღარავის მოსდოდა.



მტკიცებად განთავისუფლებულ ისრაელის ერს უნდადა თავის მე-
 ნიდე გაეხადა გეგონი და ამით გადაეხადა მისთვის სიკეთე, მაგრამ
 გეგონმა უარყო და თქვა: „თვით უფალი დიერთი ჩვენი მეგობრეს
 თქვენზედ“

ყველა მსახურებს სიმამაცით გადააჭარბა სამსონმა, რომელიც
 განთქმული იყო გასაოცარი ღონითა. ამ ღონეს იგი ხმარობდა ფილის-
 ტიმელების წინააღმდეგ, რომლებიც ამ დროს ძალიან აწუხებდნენ ისრა-
 ელის ხალხსა. ერთხელ სამსონი მარტოდ მარტო დაერია ფილისტიმელთა
 ჯარს და გამხმარი ცოლის ყბითა ათასი კაცი მოკლა.

ერთხელ ფილისტიმელებმა სამსონი დამით მოიმწყვდიეს თავის ქა-
 ლატში, დაუკოტეს კარებები და მეორე დღეს უნდა დაეჭირათ და შეებო-
 ჭათ, მაგრამ სამსონმა აღაყაფის კარები ქაღალქისა მძლავრ აგლიჯა და-
 მით, აიკიდა მხრებზედ, აიტანა მადლა მთაზედა და იქ დაბრუნდა.

მესამედ, მინდორში ღამი დახვდა სამსონსა და გაექანა მისკენ
 გასაგლეჯად, სამსონი მიცარდა, ჩაველთ თავისი მძლავრი ხელები ყბე-
 ბში, გასწია აქეთ-იქით, ყბები გაუხლიჩა ღმისა და მოჰკლა.

მაგრამ სამსონი ბოლოს წესცდა და ცოლად ფილისტიმელი ქალი შე-
 ირთა. ქალმა უღალატა და ძილის დროს დაასხა თავსა ფილისტიმელის
 ჯარი. მათ მძინარე სამსონი შებოჭეს და თვალები დასახარეს.

ბოლოს სამსონმა მაინც სამაგიერო გადაუხადა თავისი მამულის
 მტრებსა. ერთხელ ის მიიყვანეს ფილისტიმელებმა ერთს უმეღელზედ და-
 რბაზში; სადაც მათ გამართული პქონდათ დღესასწაულის ვამო დიდი ღბ-
 ინი. გამხიარულებულმა ხალხმა მასხრად აიგდო ჭსინათლო სამსონი.
 სამსონს ჯანრით ყელში მოეხუჩინა სისხლი, იპოვა ღედა-ბოძი დაჩაბა-
 ზისა, რაც ძალი და ღონე პქონდა მოსწია, გამოაყვალა სახლსა და დას-
 ტა იგი ძირსა და მის ქვეშ თავისთან დამარბა მრავალი ფილისტიმელი.



მსაჯულების დროს, ერთხელ, საინსტრუქციო მიმართული გაჩნდა მთ-სადელიანობის გამოს. ერთი ინსტრუქციანი, სახელად ელიმელექი, თავისი სახელობით, ცოლით და ორი ვაჟით გადასახლდა თავის ქვეყნიდან მოაბის ქვეყანაში და თავი რომ ეტყინა. აქ ის მალე მოკვდა, ორივე მისი შვილი იქვე დაქორწინდნენ და ცოლებად შეირთეს წარმართთა ქალები. ცოტა ხნის შემდეგ ორივე ძმები უშვილოდ დაიხოცნენ. მათი მსახურებული უბედური დედა, სახელად ნოემინ, დაიწყო უცხო ქვეყანაში თავისი ორი ახალგაზრდა რძალთან, როცა ნოემინმა შეიტყო, რომ საინსტრუქციო მსადელიანი დრო ისევ მობრუნდაო, ადგა, აიბარვა და წავიდა თავის საშობლოში; თან გაჰყვინდა მას ახალგაზრდა ქვრივი რძლებიცა. დედამთელს ეცოდებოდა თავისი რძლები, არ უნდოდა, რომ ისინი მისი გულისთვის უცხო ქვეყანაში ჩადევინულიყვნენ სიღარიბეში და ამიტომ გზაზედ გულამომჯდარმა უახრა: „დაბრუნდეთ, შვილებო, აქვენს დედამამსთანა; ღმერთმა ნუ მოგაკლავთ თავისი მოწყალეობა ჩემი და ჩემი გარდაცვალებული შვილების ერთგულებისათვის და სიყვარულისათვის. რძლები ატირდნენ და დაუწყეს დედამთელს ხვეწნა, რომ თან წავეყანა ისინიცა. დედამთელი მაინც უჩვენდა დაბრუნებულებს თავის დედამამსთანა: „მე გული ძლიერ-მეწვის აქვენზედა, შვილებო, ეუბნებოდა დედამთელი, ბედმა მძიმე უბედურებაში ჩამაგდო; რა გინდამ ჩემთანა? ტანჯვისა და წვალების მეტს ჩემთან ვერასა ნახავო! ერთმა რძალმა ვაუკობა თავის დედამთელსა, ბევრი იტყრა, გამოესაღმა და დაბრუნდა თავის საშობლო სახლში. მაგრამ მეორე რძალმა კი, სახელად რუმა, გადაჭრით უახრა თავის დედამთელსა: „ნუ მომართებ შენს თავსა! საიდაც შენ წახვალ, მეც იქით წამოვალ; შენი ხელები

შეიქნება ჩემი ხალხი და შენი ღმერთი იქნება ჩემი ღმერთი; გეფიცობი, რომ სიკვდილის ვერტი ვერა ვამყრის რა შენგან, სადაც შენ დაგმარხავენ, ჩემი სასულავიც იქ იქნება." გულამომჯღარი და თავდაცრემლიანი ღეღამილი გადაეხვია თავის მოსიყვარულე რძალსა და აღარ უახრას უარი თან წაყვანაზედ. ჩქარა რძალ-ღეღამილი მივიდნენ ბეთლემს.

წოთინი ბეთლემში რომ მოვიდა, არც ფული ჰქონდა და არც საზრდო. ამიტომ ის ან მათხოვარი უნდა გამხდარიყო, ან შეშინილი მომკვდარიყო. მაგრამ მოსიყვარულე რუმი დაიხსნა იგი სირცხვილისაგანაც და უბედურობისაგანაც. ამ დროს შუა ზაფხული იდგა და მკა ვარაუდებული იყო, ამიტომ რუმი გადიოდა მინდვრად, შედიოდა ერა დიდ ხოდაბუნში, სადაც მრავალი მუშა მკიდა ყანასა, და ნამკაღში ჰკრეფდა დაბნეულ თავთავსა. ერთხელ ყანაში მოვიდა მისი პატრონი, სახელად ბოლსი და რომ დაინახა რუმი, ჰკითხა თავის მოსამსახურეს, მომკვდარის თავმჯდომისა: „ეს ყმაწვილი ქალი ვინ არის?“ მოსამსახურემ მოახსენა: ეს ქალი გახლავთ უცხო ქვეყნიდან, რომელსაც მოხუცებული ღეღამილის გულისათვის დაუტოვებია თავისი საშობლო და წამოჰყარია აქ მას. მან ნება მთხოვა დაბნეული თავთავების აკრეფისა. და იგი, მთელი დღე შრომობს დიდიდან მოკიდებული საღამომდის ღუკმა-ბურის საშობნელად. ბოლსი იყო მდიდარი და გულკეთილი კაცი, მას გაუკვირდა ამისთანა სიყვარული რძლისა ღეღამილისადმი, გაუკვირდა მხნეობა მისი, მიუხაზოვდა რუმი და უახრა: „მომისმინე, შეგილო, ნუ ივლი თავთავებისათვის სხვის ყანებში, აგრძედე რამდენიც უნდა ჩემს ყანაში და ჩემს მოახლეობად ერთად იყავი. მე იმათ ვეტყვი კარგად მოგექნენ და არ დაიშურონ შენთვის არც საჭმელი და არც სასმელი.“ რუმი მდაბლად დაუკრა თავი და მოახსენა: „ართი ღეღამსამსახურე ვც შენი მოწყალეობა? მე ვარ ერთი უბრალო, უცხო ქალი.“ ბოლსმა მიუვო: „ნუ მიამსებს, თუ რა კარგად მოქცევინებ მოხუცებულ

და უბედურ ღედამთილსა; დაგიტოვებია მისთვის სამშობლო ქვეყანა
და ნათესაენი და წამოსულხარ უცხო ხალხში, უცხო ქალაქში; ღმერთ-
მა გადაგიხადოს, შეიღო, სამაგიერო მაგ კეთილი საქმისათვის.“
ტარა ხანს უკან მომკლებს სადილი მოუტანეს. ბოოსმა რუდიც მიიწვია,
სადილის დროს რუდმა თავისი კერძი ორად გაჰყო: ნახევარი ღედამ-
თილს შეუნახა და ნახევარიც კი თვითონ ისადილა. საღამოსხელ იქვე
დაბეგვა შეგროვილი თავთავი, გამოანიცა პურის მარცვლები, ჩაჰყარა
პარკში და მოუტანა ღედამთილსა, აგრეთვე ცახშემად მიიარადა სადილი-
დან მისთვის შენახული კერძი და უამბო, ეს ყანაში ჰყრიდა მთელი
ღღუ თავთავი და როგორი მოწყალე იყო მასთან პატრონი ყანისა.

რუდი ამის შემდეგ ყოველ ღღუ ღადილდა ბოოსის ყანაში და ბაბა-
ნაქება ღღეებში მუშაობდა მზის ამოსვლიდან ჩასვლამდე, სანამ მკა-
გაბადებოდა. თავისი სიყვარულიც და ხაზრინობით იგი იყო ღიღი ნე-
ბეში მოხუცებული ღედამთილსა. „შენი რძალი სჯობია შენჯ ღღიქლ ფა-
რსა,“ - ეუბნებოდნენ ნოომინს მეზობლები.

ჯიღღუც კარგი მიიღო თავისი გულკეთილობისათვის რუდმა უფლისა-
ვან, რომლის თავყანისმცემელიც შეიქნა იგი თავისი წარმართი ღმერ-
თების დატოვების შემდეგ. ეს უბრალო და ღარიბი ქვრივი მდიდარმა
და კეთილმა ბოოსმა შეიკათო ცოლად, რადგანაც მას ძალიან მოეწონა
მისი კეთილი გული და მხნეობა. რუდის უთამომავლობიდან წარმოსდგ-
ნენ შემდგომში მეფენი ისრაელისანი და ბოოსი თვით მაცხოვარიცა.

ს ა მ ი ე ლ ი ს ღ ა ბ ა ღ ე ბ ა
 ღ ა ა ღ შ რ ღ ა

(1მეფ. 1,1-28; 2,11.).

სამონის შემდეგ მსაჯულის თანამდებობა ჩაიბარა ელი მდებ-

ღმა. იგი სტხოვრობდა ქალაქ სელმში, იმიტომ რომ კარავი კრებუ-
ლისა აქ ედგათ ისრაელთა ქანაანის ქვეყნის დაჰერის შემდეგ. სე-
ლომი შეიქმნა ხალხის კრების ადგილად. აქ ყოველი კუთხიდან მოდიო-
დნენ ისრაელნი სალოცავად და სამარადის გადასაჭრელად.

ერთხელ, დღესასწაულის დროს, მლოცველ ერს მოჰყვა თან ერთი
ხნიანი კეთილმსახური დედაკაცი, რომელსაც სახელად ერქვა ანნა.
სხვათაგანთ იგი მზიარულად არ მიდიოდა სალოცავად. იგი იყო დაღ-
ნებული და შეწუხებული, ამიტომ რომ გულზედ ედო ღივი დიდი დარდი-
სა - ისრაელნი დიდ უბედურებად სთვლიდნენ უშვილობასა. უშვილობა
გათ ღვთის რისხვის ნიშნად მიიჩნედათ - საწყალო ანნა იყო დიდი ხნ-
ის უშვილო. ბევრი დარდი და ნადველი გამოატარა ამ უშვილობაში და
ბევრი ცრემლი დააღვრევინა. ბოლოს შინ განიზრახა წასულიყო სალო-
ცავად სელმში და იქ შეგედრებოდა ღმერთსა ამ უბედურებიდან თავის
დასახსნელად. მივიდა თუ არა სელმში, ანნა მაშინვე გაეშურა კრე-
ბულის კარვისაკენ, დაიჩქარა მის კარებთან და დიუხანს ღოუღობდა
ცხარე ცრემლით. „ყოცად შემძლებელს უფალო, - ამბობდა თავის ღო-
ცვაში, - გადმოხედო მოწყალებით შენს მონას და მიხსენ ამდენი ხნ-
ის უბედურებისაგან. მომანიჭე ვაჟიშვილი და მე მას სამუდამოდ შე-
ცნირავ მსახურად შენს წმინდა სახლსა, კრებულის კარავსა.“ დი-
უხანს და მზურცაღედ ღოცულობდა ანნა. მხოლოდ ბაგენი მისნი მოძრა-
ობდნენ, სიტყვები კი მისი პირიდან არ ამოდიოდა, რადგანაც გულში
ღოცულობდა. ამ ღოცვის დროს ანნა დაინახა ელი მღვდელმა და ეგონა,
ეს დედაკაცი დგინონასტამიან და ამიტომ არის ჭკუყინდილო. მივიდა
ახლო და ეს საწყენი სიტყვები უთხრა: „წადი აქედანა, ჯერ გამო-
ფიხლდი და მერე ილოცე!“ ანნამ თავმდაბლად და პატივისცემით უბა-
სუხა: „არა, ბატონო, მე ჩემს დღეშიაც არ დაჰრდევია დვინო, ნუ

მსახიფ ცუდ დედაკაცად. მე ვარ მხოლოდ უბედური და ჩემს ნაღველს
ცუტხადებ მოწყალე უფალსა." მაშინ მღვდელთმთავარმა უხარა
დობით წადი; უფალი აგისრულებს შენს თხოვნასა." ამ სანუგეშო სი-
ტყვებში მღვდელთმთავარსა და დიდი იმედი მისცა ანნასა და იგი და-
უნდა შინ დამშვიდებული და გამხიარუებული.

მადე აუბდა ელის სიტყვები ანნას, უფალმა აუხარა ვედრება
და წლის თავზედ მისცა ვაჟიშვილი, რომელსაც დაარქვა სამოელი. მ-
იხარდა თუ არა ბავშვი, დედამ აასრულა თავისი ადექმა უფლის წინა-
შე, წაიყვანა იგი სელომს, მიიყვანა მღვდელთმთავართან და უხარა:
„ბატონო ჩემო, მე ის დედაკაცი გახლავარ, რომელიც ერთი წლის წი-
ნად აქ ღოცულობდა. მე მაშინ ეთხოვდი უფალსა აი, ამ ვაჟის მოცუ-
მასა. მოწყალე უფალმა ამისრულა ვედრება ჩემი და ავერ ახლა მე
ესწირავ ამ ყმანწილს ღმერთსა. იგი მთელი თავისი სიცოცხლე უნდა
იყოს აქ და ემსახურებოდეს ღმერთსა.

სამოელი დარჩა ელისთან და გახდა ერთგული მოსამსახურე კრ-
ბულის კარვისა. ამასთან, იგი შეიქმნა მოწაფე სკოლისა, რომელიც
პქონდა მღვდელთმთავარსა, მშვენიერად სწავლობდა ყველაფერსა და
ისე კარგად იქცეოდა, რომ ყველას საყვარელი იყო. როცა დედა საღო-
ცავად მიდიოდა სელომში და მიპქონდა ახალი ტანისამოსი თავისი სა-
ყვარელი ვაჟისათვის, ქების შეტი არაფერი ესმოდა თავის შეილებედ,
რომელიც როგორც სწავლით, ისე ზნეობით იყო ჩინებული, უპირველესი
მოწაფე თავის ამხანაგებში.

განსაკუთრებით სწავლობდა მას და ადამიანთაც სხვებზედ მიმდინარე-
ლად უყვარდათ.

ერთხელ სამოელს კრებულის კარვის კარებთან ეძინა და უნებ-
შემოესმა თავისი სახელის ძახილი. სამოელს ეგონა ეს უფოლ მღვლე-
ლმთავარი მეძახის თავის კარავიდანაო, ალუა, მიორზინა და უბრა-
ლაგერ, გვახელით, რად მეძახდიო? „მე შენთვის არ დამიძახია! წა-
ღი შინ, დაწექ და დაიძინე,“ - უპასუხა ელიმ. მეორედაც ასეთი სა-
კვირველი საქმე დაემართა სამოელს. ელის გაუკვირდა, მაგრამ ვერ
მიხვდა კიდევ, რას მოასწავებდა ეს ძახილი. მხოლოდ როცა მესამე-
დაც მიორზინა სამოელმა მასთან და უკითხა: „რა ვქნა, რას მეძახიო?“
მამინ ელიამ ცხადად დაინახა, რომ უნააური ხმა, რომელიც ეძახდა
სამოელსა, უფლისა უნდა ყოფილიყო და ასე დააჩივრა იგი: „როცა კი-
დევ დაგიძახონ, შენ უპასუხე: ბრძანე, უფალო, მონა შენი ისმენს.“
უფალმა კიდევ დაუძახა სამოელსა, სამოელმა მიუგო ისე, როგორც ას-
წავდა ელიმ. მამინ უფალმა გამოუცხადა: „ელის და მის შვილებს მი-
ელით სასტიკი დასჯა და ისინი ამ სასჯელს ვერ აიშორებენ თავიდან
ვერა შესაწირავითა, რამეთუ ცოდვანი მათნი არიან მძიმენი.“ ღი-
ლით მღვდელმთავარმა დაუძახა სამოელსა და უკითხა: „რა გითხრა
შენ უფალმა? ნუკას დამიშაღაც, ყველაფერი შითხარი!“ სამოელმა ყვე-
ლაფერი უამბო. ელიმ ამბზედ სთქვა: „იყო ნება ღვთისა. აღსრულეს
ისე, როგორც მას სწავლიან.“ მის შვილებს ,,ი ამ მუქარამ უფლისამ
ყუოვბიც არ გააპურტყინა: ისინი უწინდებურადვე არღვედნენ სჯულ-
სა და ატარებდნენ თავის ცხოვრებას სხვადასხვა ბიწიერებაში.

რ ი ს ხ ვ ა უ ვ ღ ი ს ა ე ღ ი ს
ო ჯ ა ხ ზ ე



(I მცგ. 4,1-18; 5, 1-12; 6,1-14; 7,7-16.).

დიდი სასჯელი მიაყენა უფალმა ელის სახლობასა. ეს სასჯელი მოხვდა ყველა სხვა ისრაელთაცა, რადგანაც მათ შორის ამ დროს ბერი უსჯულო საქმეები ხდებოდა. საისრაელოს დაეცნენ მტერნი. პირველ ბრძოლაშივე დამარცხდნენ ისრაელნი. მის მაგივრად, რომ ღმერთს შევედრებოდნენ შემწეობასა და შეველას ისრაელთა ვაკვირდნენ სელოში კაცები და მოითხოვეს კიდობანი სჯულისა; ეკონათ, რომ ეს წმინდა ნიგთი თვითონ დაუშვარცხებდა მტრებსა. ღმერთი უფრო გაუწყრა მათ ამ უკუღმარაობაზედ და საშინელი უბედურება მიაყენა. როცა ელიმ კიდობანი სჯულისა გაისტუმრა იმში, დაუდა კრებულის კარვის წინ და ვუღის თრთოღით. ელადა იმშიდან ამბავსა. უცებ მოფარდა მოამბე შემოფლეთილი პერანგითა და თავზედ მიწაგადაყრილი (ეს ებრაელთა შორის ნიშანი იყო მწუხარებისა). „რას იტყვი, შეიღო ჩემო, რა ამბავია?“ - ჰკითხა ელიმ. „ისრაელის ჯარი საშინლად დამარცხდა; შენი ორივე შვილი მოჰკლეს; სჯულის კიდობანი წარმართებს ჩაუფარდათ ხელში.“ ეს რომ ვაიკონა მოხუცებულმა ელიმ ელდისაგან ვადმოფარდა საცარძლიდან, ზერხემალი ვაიკება და იქვე მოკვდა. წარმართთა ჯარმა თან წაიღო სჯულის კიდობანი. მაგრამ ჩქარა იძულებული შეიქნა უკანვე დაებრუნებინა ისრაელთათვის, რადგანაც საცა კი მიიტანეს სჯულის კიდობანი, ყველგან უბედურება ვარდა: ზოგან ავათყვოფობა დაერია ხაღბსა, ზოგან ნახნავე-ნათესი თავგებით აივსო, ზოგან ეტრები ჩამოღვივდა ტაძარში და დაიშხხნა.

ბოლოს დაუღეს კიდობანი სჯულისა ერთ ურემზე, შეაბეს ორი ღემული და ვაუშვეს ღვთის ანაბარადა თუცა ამ ღემულებს შინ ვაბ-

მული ხბორები უყავდათ, მაგრამ შინც ვაწიეს პირდაპირ საბაბად
ლოში და მიიტანეს სჯულის კიდობანი. ისრადელი სიხარულით ეს
გნენ, ჩამოიღეს კიდობანი და შეიტანეს კარავში; დამატებები და
ეს და შესწირეს უფალს მსხვერპლად, თვითონ ურემი კი შემად
რეს მსხვერპლის დასაწველად.

ამ დამარცხების შემდეგ ისრადელი ოცი წელიწადი თავის მტრ-
ბის მონობაში იყვნენ. მაგრამ ბოლოს უფალმა შეიცვალა და სამოელის
თაოსნობით მიანიჭა მათ გამარჯვება მტრებზედა. სამოელი მართლაც
ისრადელთა, როგორც მსაჯული და როგორც წინასწარმეტყველი. მას მხურ-
ვალად უყვარდა თავისი ხალხი, სურდა, რომ იგი ყოფილიყო დროის მ-
შიში, ერდობის მოყვარე, ცუდს მორიდებოდა და სათნო ცხოვრება უკ-
ნოდა. იგი იყო სასტიკი, მაგრამ სამართლიანი მსაჯული. ამიტომ
მთელ ხალხს დიდი ხათრი და პატივისცემა უკონდა სამოელისა.

ს ა უ ლ ი ს ა მ ო რ ე ე ვ ა მ ე ფ ე ჯ

(1 მეფ. 8, 1-10; 9, 1-27; 10, 1-27.).

სამოელი რომ დაბერდა, მსაჯულებად დაიყენა თავისი ორი შვი-
ლი, მაგრამ მისი შვილები მამასავით არ იქცეოდნენ: უსამართლობა
უყვარდათ, ქრთამებს იღებდნენ, მართლებს ამტყუნებდნენ და მტყუ-
ნებს ამართლებდნენ ფულის გულისათვის. ბოლოს ხალხი გაჯანჯდა, მი-
ვიდნენ სამოელთანა და უახრეს: „შენ მოხუცი და შენი შვილები შენ-
სავით სამართლიანად არ იქცევიან. დაგვიყენე მეფე, როგორც ყველა
სხვა ხალხშია ასევე; იგი იქნება ჩვენი მსაჯული და წინამძღო-
ლიც მტრთან ომის დროს.“ სამოელს არ მოეწონა ხალხის ეს სურვილი,
რადგანაც მეფის ყოლა სხვა ხალხებს დაამსგავსებდა ისრადელთა და ბე-
ფის ურჩობა მათ, რომ ხელი აეღოთ თავის განზრახვაზედ, მაგრამ ხალ-

ბმა თავისი შიშინე არ დაიშალა. შიშინ ღმერთმა უბრძანა სამოელსა, რომ დაჰყოლოდა ხალხის ნებასა. სამოელმა გამოუცხადა შეკრებილ ხალხსა, რომ იგი აბსრულებდა მათ სურვილსა, დაიმედებულნი ხალხი დაიშალა. მალე უფალმა თვითონ უჩვენა სამოელს სამეფო კაცი ისრაელთათვის.

ერთ ებრაელს სახეწერები დაეკარგა. საძებნელად გაზზანა თავისი შვილი საული და თან მოჯამაგირეც გაატანა. დიდხანს ეძებეს, ბევრი ადგილი დაიარეს და ბოლოს მივიდნენ იმ ქალაქში, სადაც სამოელი იყო. მოჯამაგირემ უთხრა საულსა: „აქა ცხივრობს კაცი ღვთისა, ყოველი იმისი სიტყვა მარადდება, მივიდეთ მასთან და იქნება გვიმხრას, სად უნდა ვეძებოთ ჩვენი დანაკარგი.“ საულმა გაუგონა მოჯამაგირეს და ვზას გაუდგა. ვზაზედ შეხვდა მათ სამოელი. ამ დროს უფალმა უთხრა სამოელსა: „აი, მომავალი მეფე ისრაელისა.“ სამოელი დაბატონებული იყო და მიდიოდა საზოგადო სადილზედ, რომელიც დღესასწაულის გამო ხალხსა შეიკრებოდა მომზადებული. „ვერ მიმასწავლი წინასწარმეტყველსა?“ - ჰკითხა საულმა სამოელსა. „მე თვითონ ვარ წინასწარმეტყველი, - მიუგო სამოელმა, და დაუმატა, - დღეს ჩემთან სადილად წამოდი, ხვალ გეტყვი, რაც საჭიროა, სახეწერების ჯაფრი სულაც ნუღარ გეძინება, ისინი ეხლა ნაპოვნი ჰყავთ შენს შინაურებსა.“ სადილზედ სამოელმა საული დასცა პირველ ადგილზედა და უბრძანა, რომ თავი საჭმელი მისთვის მიერამიათ. საულს უკვირდა ამისთანა პატივი, სადილის უკან სამოელმა წაიყვანა თავისთან საული დამის გასადივად და მეორე დღეზედ გასაძვირებლად გაჰყვა. ქალაქის გარეთ რომ გავიდნენ, სამოელმა საულის მოჯამაგირე წინ გაისტუმრა, თვითონ საული კი შეაჩერა, დაასხა თავზედ ნაკურთხი მითონი, აკოცა საულსა და უთხრა: „აი, უფალი ვხდის შენ თავისი ხალხის მეფედ.“ საული ვახდა ცხებული უფლისა. მის თავზედ დას-

ხმული მიზანი ნიშნავდა, რომ სული წმინდან აძლევს მას მეფობის
ღებასა და მიანიჭებს ძალასა და გონებასა ხალხის სამართაობად.

საული რომ შინ დაბრუნდა არაეის არ ეუბნებოდა, რაც მას გა-
დახდა. არც სამსჯელობა გამოამყვადენა ეს ამბავი. მას სურდა, ხალხ-
სათვის ცნადად დაენახებინა, რომ თვითონ იმან კი არ ამოარჩია თა-
ვისი ნებია მეფე, თვით ღმერთი იყო ამომრჩეველი. ამიტომ შეკრება
ხალხი და ყარა წილი. წილში მეფობა ერგო საულსა. საული ამ დროს
იქ არ იყო, როცა იგი იპოვნეს და მოიყვანეს ხალხის წინაშე და რა-
ცა წარმოსადგურ ვაგაყი ისრადღო დაინახეს, სიხარულით აღიგნენ და
შესძახეს: „გაუმარჯოს ჩვენს მეფესა!“ მართალია, ზოგნი ამბობდნენ:
„რა შეუძლია, როგორი მეფე უნდა იყოს ეილაც უბრალო ტეტისა შეილი!“
მაგრამ საულმა მათ ბოღვას ყურიც არ ათხოვა და ჩქარა ყველას დაუ-
ტკიცა, რომ ღვთის შეწვენით მას ხალხის მართლაც კარგად შეუძლო და
მტრებისათვის პასუხის ვაცემაც.

ჩქარა საული შეიქმნა ხალხის საყვარელი მეფე. საქმეების გა-
რევაში მან დაამკვიდრა სიმართლე, ქრთამი სრულიად ამოკვეთა; მამუ-
ლის მტრები ყველანი დაამარცხა; მართლაც დიდი ხანი იყო, რაც ხალხს
ასე მშვიდობიანად აღარ ეცხოვრა.

მაგრამ საუბეჯუროდ საულმა თავისი ბედნიერება ვერ შეიშნოდა,
თავი ღიად რადმე ჩათვალა და გაამჰმარტავენდა. ხალხზე ზრუნვის მაგი-
ერ თავის ნებას ასდევდა. მშშინ სამოღესა გამოუცხადა საულსა: „რა-
გორც შენ უარკყავ ნება ღვთისა, ისე იგი უარკყოფს შენა. იგი ვარ-
მევს შენ მეფობასა და აძლევს შენზედ უკეთესსა.“ მაგრამ საული ამის
შემდეგ არამც თუ არ შეიცვალა, უფრო კერპი და ახვმოყვარე შეიქნა.
ამიტომ მაღმეან ღვთისამან სრულიად დასტოვა იგი.



სამოელის ჯავრობა საუღბედ. იგი პეტრსა სტიროდა თავისი ხალხის ბედზედ, რომელსაც პირველივე მეფემ უღაღატა. მერმე უფალი გამოეცხადა მას და უთხრა: „სამოელ, რამდენი უნდა იტორო შენ საუღბედ? აიღე მირონი და წაიღე ბელღემში იესესთანა; მე ამოვარჩიე სამეფოდ ერთი იმის შვილთაგანი; მე გირცენებ შენ მას და შენ ცხებე მირონსა.“

სამოელი მივიდა ბეჟღემში და მოხუცებულთა მათ ქალაქისათა უთხრა: „მე მოვედ აქა იმ განზრახვით, რომ აღვენათან ერთად მსხვერპლი შეესწიროს ღმერთსა; შეიკრიბენით და მოუწოდეთ იესეს და მის შვილებს.“ როცა ყველანი შეიკრიბნენ და სამოელმა დაინახა იესეს უფროსი შვილი, რომელიც იყო ტანოვანი და მშვენიერი, იფიქრა, უთუოდ ეს უნდა იყოს მომავალი მეფეო, მაგრამ უფალმა უთხრა: „ნუ უყურებ მის პირისახის სილამაზეს, ეგ არ არის ჩემი ამორჩეული; მე აღამიანებოვით პირისახეს როდი ვუცქერი, მე ვუყურებ სულსა კაცისასა.“

იესემ, სამოელის სურვილის თანახმად, რიგ-რიგობით წარუდგინა მას ყველა თავისი შვილი, მაგრამ უფალი თვითუღბედ ეუბნებოდა: „ეგ არ არის ჩემი ამორჩეული.“ სამოელია ბოლოს უკითხა იესეს: „სულ ესენი არიან შენი შვილებით?“ იესემ მიუტოვა: „რა კიდევა მყავს ყველაზედ უმცროსი, რომელიც ებლა მეცხვარედ არის მინდორში?“ „გაგზავნე და ახლავე მოაყვანინე,“ – უთხრა სამოელმა.

ამ უმცროს შვილს იესესას ერქვა სახელად დავითი. შესდგა თუ არა დავითმა ცუბი სახელში, უფალმა უთხრა სამოელსა: „სცხე მას ძირონი, ეგ იქნება მეფე.“ სამოელმა დაუძახა დავითს თავისთან და თავზედ დაასხა მირონი. მაშინვე სული წმინდა ჩამოვიდა მასზედ და

ამ დროიდან იმყოფებოდა დავითთან.

რასაკვირველია, ჯერ სრულიად არავინ იცოდა, თუ დავითი ვე-
ფედ იყო ღვთისაგან დანიშნული, არც საულმა, არც სხვებმა და არც
დავითის ნათესავებმა. სამოელმა არავის უახხა, თუ რისთვისა სცბო
მირონი დავითსა. ვინც მირონცხება ნახა, იმით შეეძლო ეფიქრება,
რომ სამოელმა დანიშნა დავითი წინასწარმეტყველად, რადგანაც ზოგ-
ჯერ წინასწარმეტყველობა მირონცხებით ეძლეოდათ ღვთისმოყვარე ბიჭ-
ბსა ისრაელთა შორის.

ხორციელ მშვენიერი დავითი იყო მშვენიერი სულითაც. იგი იყო
მომამენი, თავმდაბალი, უწყინარი, ყველასათვის სიკეთის მოსურნი
და მორიდებული ბოროტისა, მაგრამ ყველაზედ მომეტებული იგი იყო ერ-
გული ლოცვისა. ვედრება ღმრთისა, მის წინაშე ამოქმედა თავისი სი-
ხარულისა და დარღისა, თხოვნა ყველასათვის სიკეთისა იყო ყველაზედ
საყვარელი და სასიხარულო საქმე დავითისათვის. ღმერთმაც ამიტომ
განსაკუთრებით შეიყვარა დავითი. მწყემსობის დროს დავითმა მოიკ-
ნა შევიდსიმიანი საკრავის, ქნარის, ვაკეთება და მშვენიერად ისწა-
ვლა მასზედ დაკვრა. თავის ვედრებას უფალთან დავითი ლექსადა ხა-
ზავდა და უკრავდა ამ საკრავზედ. ამ ლექსებიდან შესდგა „დავითი“
ანუ „ფსალმუნნი.“

დავითი იყო შვილის-შვილის-შვილი ბოოსისა და რუთისა, იაკო-
ბის შვილის, იუდას, შამშომავლობიდან, რომლისგანაც, თანახმად ი-
კობის წინასწარმეტყველებისა, უნდა გამოსულიყვნენ მეფენი. ჯერ
მანამ ისრაელის ერის მეფობას ჩააბარებდა ღმერთი დავითსა, იგი ვა-
ხდა გამორჩენილი კაცი საულისა და ერისა. ღმერთმა შემდეგ მას გამო-
აცდევინა არაერთი უბედურება და თავგადასავალი, რომ უფრო კარგად
მოემზადებინა იგი მეფობისათვის და ერის სამართლიანი მართვისათ-
ვის.

დავითის გამარჯვება
გოლიათზე



(I მფ. 16, 14-22-58; 18, 1-4).

მასუკან რაც საული მიატოვა უგაღმა, იგი ჩავარდა მძიმე უბედურებაში. საშინელი დარდი და ვარამი შემოაწვა საულს გულზედა. აღარაფერი მას აღარ ახარებდა და არ ანუგეშებდა. მგლოვიარესავით იგი შეიპყრო აუტანელმა მწუხარებამა. საულის ახლობლებმა არ იცოდნენ რა ექნათ და რითი განექარვებინათ მისი მწუხარება. ბოლოს ურჩიეს მას ეშოვა კარგი დამცვერი და მომღერალი. „სიმღერა, გალობა და საკრავის დაკვრა გულიდან დარღს გადაგიყრისო,“ - ეუბნებოდნენ შინაურები საულსა. დაუწყეს ძებნა ამისთანა კაცსა და მიაგნეს დავითსა, რომელიც მთელ თავის ქვეყანაში განქმული იყო მშვენიერი ქნარის დაკვრით, საამური გალობით, ჩინებული ლექსებით და სიმღერითა. დავითი ამ დროს ცხნარში იყო. იგი მამინვე გამოჰყვა მეფის კაცებსა და მოვიდა საულის კარსა. საულს ძალიან მოეწონა მშვენი, ღაზათიანი, მახვილჯონებიანი დავითი, დასტოვა თავისთან მგალობლად და მომღერლად და დანიშნა თავის შებაჯრედ.

ერთხელ დავითი დაეთხოვა საულსა და წავიდა რამდენიმე თვით თავის დედ-მამასთანა. ამ დროს უეცრად საისრაელის შემოესია შრავალი ჯარი ფილისტიმელთა. საულმა სარქაოვად შეჰყარა იგი ჯარი და გავიდა მტერთან საბრძოლად. მოწინააღმდეგე ჯარები დაუახლოდნენ ერთმანეთს ერთს გრძელ მელზედა და იდგნენ ერთი-ერთმანეთის პირდაპირ გაჩერებულნი; ორივე მხარე ბრძოლისათვის ემზადებოდა. ამ დროს ფილისტიმელების ჯარიდან გამოვიდა ერთი უმეღებელი ტანის კაცი, სახელად გოლიათი და გაჩერდა ორ ჯარს შუა. მას თავზედ ეხურა რკინის ქუდი, ხელში ეჭირა ვეებერთელა ფარი და შუბი და ტანზედ ეცვა

ჯაჭვის პერანგი. გოლიათმა დაუძახა ისრაელთა: «რად უნდა ეიღბა
ყველამა? ამოარჩიეთ თქვენში ერთი კაცი და შეემბრძოლოს მე, თუ
იგი დამძღვეს და მომკლავს, ჩვენ ყველანი დაგემორჩილებით თქვენა;
თუკი მე ვაჯობებ, მაშინ თქვენ ყველანი უნდა დაგემორჩილდეთ ჩვენა.
საულის ჯარში ცოტანი არ იყვნენ მამაცნი და ღონიერნი ვაბჟაენი,
მაგრამ ამისთანა ვმირთან შებმა კი ვერაყინ გაბედა. გოლიათი ასე
გამოდიოდა ყოველ დღე და ითხოვდა საბრძოლოდ ისრაელთა, მაგრამ თვის
ჩინებული ვაჟკაცნი შიშით უკან გაიქცეოდნენ ხოლმე, როცა გოლიათი
უახლოვდებოდა ისრაელის ჯარსა. გადიდგულებულმა გოლიათმა დაწყო
დაცინვა ისრაელთა და არცხვენდა მათ. სწორედ ამ დროს მოვიდა დავი-
თი ისრაელის ჯარში. იგი მამამ გაგზავნა თავის შვილებთან, რომე-
ბიც ჯარში ერივნენ, თან გაატანა საზრდო მათთვის და დააბარა რომ
მათი ამბავი შეეტყუო და მოეტანა შინა. გოლიათის კვებნა და დაცინ-
ვა რომ გაიგონა, დავითმა სძქვა: «მე გავაღ და შევემბრძოლები მავა-
საო.» მისი სიტყვები მიუტანეს საულსა. საულმა დაიბარა, და რომ
შეხედა დავითსა, უახრა მას: «შენ როგორ შესძლებ ამ გოლიათთან ბრ-
ძოლას? შენ ჯერ ბაწმევი ხარ, ის კი ამში გამოცდილი ვმირია.» დავი-
თმა მოახსენა: «მე, ჩემო ბატონო, მიცხვარე გახლდი მამარემის სახ-
ლში, როგორც მოგეხსენება, როცა ღმირი ან დავი მიმტაცებდა ხოლმე
ცხვარსა, მოვეწყოდი და პირიდან გამოვტაცებდი; თუ მხეცი მე მიმვა-
რდებოდა, კისერში დავანებებდი ხელსა, წავუჭერდი ღონივრად და ვახრ-
ჩობდი. ამ წარმართსაც იმ საქმეს დავმართავ, რასაც ნადირა ვეწირე-
ბოდი. როგორა ბედავს ეგ უფლის ჯარის დაცინვასა? უფალი დამაძღვე-
ნებდა ხოლმე ნადირთა, დამაძღვევინებს მავ მტერსაცა.» მაშინ საულმა
უახრა: «გადი, დმერთი იყოს შენი შემწე.» და ამასთან უბრძანა, რომ
რკინის ქუდი დაეხურათ, ჯაჭვის პერანგი ჩაეცმიათ და მახვილი მიე-
რათ ხელში. დავითმა გაიარა-გამოიარა ამ ტანისამოსით და სძქვა: «მე

ყველა ეს მეჩოთირება, დარცეული არა ვარ ამისთანა რამესა.“ გაი-
ხადა საომარი ტანისამოსი, ჩაიკვია თავისი საკუთარი, გაავსო პარკი
ქვებითა, დაიჭირა ხელში შურდული და გავიდა გოლიათის პირდაპირ.
გოლიათმა რომ დაინახა პატარა, ღამაში მოწინააღმდეგე, უიარაღოდ
გამოსული, დაუძახა: „ქვებით და ჯობით გამოდინარ ჩემთან? ძალი
ხომ არა ვარ, რომ მაგითი შემაშინო. მოდი ახლო, და მე შენ თავს
შევაჭმევ დღესვე მინდურის ნადირობა და ცის ფრინველთა.“ დავითმა
მოუგო: „შენ მოდინარ ჩემზედ მახვილით და ფარითა, მე კი მოვლივარ
ძალითა დედასითა. ყოვლად შემძლებელი დემერთი აქვენ ყველას ჩვენს
ხელში ჩაგყრიო. მაშინ ყველანი ცხადად დაინახავენ, რომ უფალი იხს-
ნის კაცსა არც ხანჯლითა და არც ფარიანა.“ როცა გოლიათი მიუახლოვ-
და დავითსა, ამან ისე მძლავრად ესროლა ქვა შურდულითა, რომ შეზღვი
შეუტეხა და გოლიათი მიწაზედ დასცა. დავითმა მიიჭმინა და შისივე
მახვილით მოჰკვეთა გოლიათს თავი. ფილისტიმელების ჯარმა რომ ეს
გასაოცარი უბედურება დაინახა, საშინლად შეშინდა და უკან გაიქცა.
ისრაელის ჯარი გამოუდგა უკანა, დაამარცხა მტერი და ბევრი ზარალი
მისცა. საუღმამაშინე ჯარის ერთი ნაწილის უფროსობა ჩააბარა დავი-
თსა, რომელსაც ეკუთვნოდა მთელი გამარჯვების პატივი.

უფროსს შევიღს საულისას, იონათანს, ამ ღროს ძალიან მოეწონა
დავითი, თავისი სულივით შეიყვარა იგი და გაუხდი გულითადი მეგობ-
ბარი. ორივემ ერთმანეთს ფიცა მისცა, რომ სიკვდილამდე მეგობრები
იქნებოდნენ. მეგობრობის ნიშნად მეფის შევიღმა იონათანმა უბრალო
მწყემსს არუქა თავისი საომარი ტანისამოსი, ძვირფასი ქამარი, მშე-
იდ-ისარი და მახვილი.

(I მთვ. 18,5-11; 19,10; 19,8; 20,5-34, 41-43; 20,11-19; 21,1-9; 22,20; 23,1-5; 24,1-23; 26,1-25.).

გოლიათზე გამარჯვებამ ძალიან ასახელა დავითი, მაგრამ იგივე გამარჯვება გახდა მიზეზი ბევრი მისი მძიმე უბედურებისა. როცა საულს დავიითთან ერთად შინ ბრუნდებოდა ისრავლთა ქალაქებიდან გამოდის და მძიმე ქალები, წინ უხედებოდნენ ჯარს და თავის სიმღერებში საულზედ მომეტებულად აქებდნენ დავითსა. „საულმა დაამარცხა ათასნი, ხოლო დავითმა ათი ათასნი,“ – მღეროდნენ ისინი ლექსად. საულის დარდინს სულს ესლა აკლდა. მას ჩაუვარდა გულში შური დავითისა, მოერგინა, რომ დავითი თვითონ ეძებს მეფობასა და ხალხსაც იგი სურსო და შეეშინდა მეფობა არ წამართვასო. საული გახდა მისი მოსისხლე მტერი და ეძებდა შემთხვევას, რომ როგორმე დაეღუპა იგი. რამდენჯერმე სცადა დავითი მოეკლა: ერთხელ, როცა იგი საულის წინ იჯდა და ქნარს უკრავდა, აიღო ლახვარი საულმა და დაჭრა დავითსა, მაგრამ დავითმა შვიდობით აიცილნა და გაიქვა. საულმა დავითი მრავალჯერ გაგზავნა ომში, ეგება მტრებმა მოკლანო, მაგრამ დავითი გამარჯვებული დაბრუნდა ყოველთვის. ერთხელ დავითი დაეთხოვა საულს და წავიდა შინა. საულმა შეაგულიანა რამდენიმე კაცი, გაგზავნა იესეს სახლში და უბრძანა, როგორმე მოეკლათ დავითი, მაგრამ დავითმა შეუტყო მამ ბროტი განზრახვა, სახლიდან გაიქვა და საერთოდ აღარ ერგენებოდა საულსა. ხანი რომ გავიდა, საულმა ჰკითხა თავის უფროს შვილს იონათანსა, ვითომც არაფერი იცოდეს: „სადღეზედ რატომ აღარს გხედავ დავითსაო?“ იონათანს არ უნდოდა პირდაპირი პასუხით გაეჯავრებინა გაბროტებული მამა და ამიტომ უთხრა: „სადღესასწაულოდ დედ-მამასთან



დამეფობოვო.“ „აი შე უმსგავსო! - დაუყვირა საულმა იონათანსა,
 - განა მე არ ვიცი, რომ დავითის მეგობარი ვახდი ჩემს შემოარტყვე-
 ნად. განა არ იცი, რომ მანამ ის ცოცხალია, შენ მიხედ ვერ გახდ-
 ბი? ეხლავე აქ მოიყვანე, იგი უთუოდ უნდა მოეკლა!“ იონათანმა გა-
 მოსარჩლება დაუწყო დავითსა: „რისთვის უნდა მოეკლა შენ იგი? რა უქ-
 ნია ცუდი ან შენთვის, ან სხვისთვის?“ საული ისე გააცეცხლეს ამ
 სიტყვებში, რომ წამოაგლო ხელი დახვარსა და ესროლა იონათანს გულ-
